ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა
Akhali Taoba

21 ნოემბრიდან!
„ახალი თაობა“ + საოჯახო ტომი 11 სამზარეულო
2 ლარი და 60 თეთრი




პარასკევი, 22 ნოემბერი, 2013 №277 (6278) ფასი: 30 თეთრი

# „ალექსანდრე ჭიკაიძე 26 მაისის საქმეზე უნდა დაიკითხოს!“

ნაციონალებმა თავიანთი უზნეობა კიდევ ერთხელ გამოავლინეს

გვ. 2



## ბიძინა ივანიშვილი: არასოდეს არ ვმართავ კულისებიდან, ამას არ ვაკადრებ საკუთარ ქვეყანას და საკუთარ გუნდს“

გვ.3



## ნაციონალური მოძრაობის თელავის ოფისში პოლიცია შევიდა

გვ.3



## ლაშა ნაცვლიშვილი მთავარი პროკურორის მოადგილის თანამდებობიდან გადადგა

გვ.4

## სოლომონ პავლიაშვილი: „2014 წელს დიდი ეკონომიკური წინსვლის იმედი არ უნდა გვქონდეს“



გვ.6



გვ.4

## სოზარ სუბარი: „თუ ნანა კაკაბაძეს შეუძლია, დამირეკოს, რატომ უნდა აეკრძალოს ეს ბიძინა ივანიშვილს?“

## კახა კახიშვილი: „რამდენიმე მინისტრი შესაცვლელი იყო“



გვ.4

## დავით უსუფაშვილი: „წინ არის ძალიან დაძაბული შრომის 3 წელიწადი“

გვ.4



## ჯონ მაკკეინი: „არ შეიძლება ითქვას, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი და მისი მთავრობა ყოველთვის საუკეთესოები იყვნენ“

გვ.5



ISSN 1987-9385

4 ქვეყანაში დაკარგულად 2000-მდე ადამიანი მიიჩნევა

5 ირაკლი ღარიბაშვილმა შს მინისტრად ალექსანდრე ჭიკაიძის დანიშვნას ხელი მოაწერა

5 კახა კუკავა: „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე უნდა გაგრძელდეს“

5 ავღანეთში სამხედრო ოპერაციის დროს ქართველი სამხედროების ჯავშანმანქანა აფეთქდა

# შალვა ხაჭაპურიძე: „ალექსანდრე ჭიკაიძე 26 მაისის საქმეზე უნდა დაიკითხოს!“

## ნაციონალებმა თავიანთი უზნეობა კიდევ ერთხელ გამოავლინეს

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძესთან

*— პარლამენტში მთავრობის დამტკიცების პროცესი მიმდინარეობს, ვხედავთ, როგორი დებატები მოჰყვა ამ ყველაფერს. ნაციონალები საკმაოდ მაღალ გონორზე არიან და თქვენი აზრით, რამ განაპირობა მათი ასეთი სითავხედე?*

— რატომ არიან ასეთ მაღალ გონორზეო და რატომ არ უნდა იყვნენ? ფაქტობრივად ყველა დანაშაულეობები, რაც მათ ჩადენილი ჰქონდათ, ეს ელიტარული კორუფცია და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, ამ კოჰაბიტაციის გამო, ვერ მივიდა საქმე ბოლომდე. თუნდაც ნავთობის თემა ავიღოთ, სადაც სააკაშვილი სულ იძახდა, რომ აი, ხომ გაიძახოდით, რომ ერთი ლარი მიდის მთავრობაში და რატომ ვერ დამიმტკიცეთ ესო. არავის გამოუძიებია და როგორ დაუმტკიცებდნენ. მე მაქვს ამის მასალები, როგორ მიდიოდა ერთი ლარი ზუსტად ნაციონალურ მოძრაობაში და მიდიოდა ვანო მერაბიშვილის, ადეიშვილისა და სააკაშვილის ჯიბეში. ეს ფაქტები, სხვა ფაქტები რადგან არ იქნა გამოძიებული, ბუნებრივია, ეს ადამიანები გათამამდნენ და დაუსჯელობის სინდრომია ქვეყანაში. ამ დაუსჯელობის სინდრომმა მიიყვანა იქამდე, რომ გამოდის ახალგაზრდა პრემიერი, წარადგინა თავისი პროგრამა, შეხვდა უმცირესობის წარმომადგენლებს და ამ შეხვედრაზე იყო უზრდელობისა და უზნეობის ზეიმი ნაციონალების მხრიდან. განსაკუთრებით ბარამიძეს თუ ავიღებთ. ბარამიძეს, კაცს, რომელსაც უამრავი სისხლის სამართლის დანაშაული აქვს ჩადენილი. ბარამიძე შეიძლება ამას თვითონ ვერ აცნობიერებდეს, მისი ინტელექტუალური დონე ვერ სწვდება იმ დანაშაულეობების ხარისხსა და ხასიათს, რაც მას ჩადენილი აქვს. თუმცა გუნდში ხომ არიან ისეთი ადამიანები, რომლებმაც ძალიან კარგად იციან, რა აქვთ ნაციონალურ მოძრაობას ჩადენილი. აი, ამ დაუსჯელობის სინდრომმა გამოიწვია ის, რომ ფაქტობრივად მათი მიზანი იყო კრიტიკის ქარცეცხლში კი არ გაეტარებინათ პრემიერმინისტრობის კანდიდატი, არამედ გაელანძღათ, დაემცირებინათ და ასე შემდეგ. რაც არ გამოუვიდათ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ამას როცა საზოგადოება უყურებდა, ხალხში კიდევ უფრო მეტად გაღვივდა სიბრაზე ნაციონალების მიმართ ამ ყველაფერმა ზედაპირზე ამოიწია, ამათი უმსგავსო საქციელის გამო. დაუსჯელობის სინდრომი, აი, ეს არის ყველაფრის მიზეზი!

*— ეს ალბათ ახალი ხელისუფლების ბრალია, არ შესრულდა დაპირება, არ აღდგა სამართლიანობა და სწორედ ამიტომ ბედავს ამდენს ნაციონალური მოძრაობა...*

— რომ არ შესრულდა სამართლიანობა და რომ არ მივიდა ეს საკითხები ბოლომდე, ამას გარკვეული მიზეზები ჰქონდა. სამართლიანობის პროცესის აღდგენა, ქართული ოცნების ხელისუფლებაში მოსვლის პირველი დღიდანვე დაიწყო. სახეზე გვაქვს ძალიან ბევრი სასიკეთო ძვრა, რეალურად გადადგმული ნაბიჯები სამართლიანობის აღდგენისაკენ, მაგრამ ეს ყველაფერი წარიმართა საკმაოდ მტკივნეულად და პროცესი ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი. სწორედ ამიტომაც წავიდა გენერალური პროკურორი თავისი პოსტიდან. იმიტომ, რომ აქ მთავარი სიტყვის



მთქმელი გახლდათ მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე პროკურატურა. პროკურატურას უნდა მთავარი სიტყვა, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, უამრავი გამამართლებელი განაჩენი გამოიტანეს და ასე შემდეგ. აქ, რა თქმა უნდა, არაუკანასკნელ როლს თამაშობს სასამართლო სისტემა. მართალია ქალბატონმა წულუკიანმა კი თქვა, შეუმჩნეველი არ უნდა დაგვრჩეს ის სასამართლო რეფორმა, რომელიც გატარდა, მაგრამ როგორც ჩანს, ეს საკმარისი არ არის.

*— რა ხდება დღეს სასამართლო სისტემაში?*

— დღეს ქვეყანა დაადგა სულ სხვა გზას, მართებულ გზას, მაგრამ სასამართლო აშკარად ამ კურსის საწინააღმდეგო გზას ადგას. სასამართლო არ ასრულებს დამოუკიდებელი სასამართლოს ფუნქციას. ის არის ტენდენციური, მიკერძოებული. სასამართლოს თემაზე შეგვიძლია საკმაოდ ბევრი ვისაუბროთ, მაგრამ იმ სიმპტომებს ვეტყვი საზოგადოებას, რომელიც აშკარად გამოიკვეთა. იცით, რომ ყველაზე პრობლემატური იყო სისხლის სამართლის საქმეები. დღეს სისხლის სამართლის მოსამართლეების 90% უკვე მართლა ჩადგა მართლმსაჯულების ფერხულში და მართლაც ეს ადამიანები ჭეშმარიტად ახორციელებენ მართლმსაჯულებას. დარჩენილი 10% კუბლაშვილს შემონახული ჰყავს პოლიტიკური საქმეებისთვის, ანუ თავისი თანაგუნდელებისთვის. ეს იქნება გვარამიას საქმე, ეს იქნება გიგი უგულავას საქმე, ეს იქნება ადეიშვილის, მერაბიშვილის და ასე შემდეგ. თითოეული ეს საქმე სპეციალურად არის დაწერილი იმ მოსამართლეებზე, რომლებიც ნაციონალური მოძრაობის ჯიბის მოსამართლეები იყვნენ და სამწუხაროდ, დღესაც ასეთებად დარჩნენ. ისინი აშკარად ლახავენ მოსამართლის ამ უდიდეს წოდებას. რომ შევაფასოთ სისხლი და ადმინისტრაციული სამართალი, გამოსწორების გზაზე დგას და კარგი სიმპტომები შეინიშნება.

*— სამოქალაქო საქმეებს რაც შეეხება?*

— რაც შეეხება სამოქალაქო საქმეებს, ამ კუთხით, ვინაიდან პროკურატურა კოჰაბიტაციის გამო ფაქტიურად უმოქმედოდ იყო ამ პერიოდში, იმ ადამიანებმა, ვისაც ქონება წაართვეს და ვისი უფლებებიც შეილახა, თავიანთი ქონებების დაბრუნების მიზნით მიმართეს სამოქალაქო სასამართლოს. სამოქალაქო სასამართლო ადრე თავისუფალი იყო ნაციონალების ზეწოლისაგან და დღეს სწორედ სამოქალაქო სასამართლო ჩაიგდო ხელში კუბლაშვილმა. მაგალითად, უზენაესი სასამართლოს კოლეგიის გადაწყვეტილებას ხელს აწერს სამი პროკურორი, რომლებიც პროკურორებად მუშაობდნენ და მოსამართლის მუშაობის არანაირი გამოცდილება არა აქვთ. ახლა დავაკვირდეთ, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ამა თუ იმ საქმეზე, ფაქტიურად ნიშნავს სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრებას. ეს სამივე მოსამართლე, ფაქტიურად ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები არიან. ეს ყოფილი პროკურორები, რომლებიც ამჟამად უზენაესში არიან, ამკვიდრებენ პრაქტიკას, რომ ქონებას ვეღარ დაიბრუნებ, რაც უნდა მართალი იყო. კატასტროფული მდგომარეობაა. თუ ამას არ ეშველა, ნაციონალების დროს კი იძახდნენ, რომ ხერხემალი შინაგან საქმეთა სამინისტროაო, მაგრამ ეს ასე რომ არ იყო, აგერ 9 წლის მერე ჩატარებულმა არჩევნებმა და კრახით დამთავრებულმა ნაციონალურმა მოძრაობამ აჩვენა. მთავარი, ქვეყნის დემოკრატიის განმსაზღვრელი და ქვეყნის წინსვლის განმსაზღვრელი, ყოველთვის გახლავთ სასამართლო. სასამართლო დღეს ისევ ნაციონალური მოძრაობის ხელშია, ძირითად საქმეებზე და მნიშვნელოვან საქმეებზე. ახლა რაც არ აინტერესებთ ნაციონალებს, არ აინტერესებთ და ეგ არის. ეს თუ სასწრაფოდ არ გამოსწორდა, ძალიან ცუდ შედეგებამდე მიგვიყვანს, მინდა გითხრათ.

*— რაც შეეხება მომავალ შინაგან საქმეთა მინისტრს, ცნობილია, რომ დიდი აჟიოტაჟი ატყდა მასთან დაკავშირებით, ითქვა, რომ 26 მაისს ის მოწინააღმდეგეთა ბანაკში იმყოფებოდა და ასე შემდეგ. თქვენ როგორ უყურებთ და აფასებთ ამ ყველაფერს?*

— დიახ, ეს ინფორმაცია მეც გამაჩნდა. როდესაც მისი კანდიდატურა გაჟღერდა, მას შემდეგ მივიღე მე ეს ინფორმაცია, რომ ეს ადამიანი ნამდვილად იმყოფებოდა იმ აქციაზე, თუმცა მე როგორც ვიცი და ინფორმაციაც გამაჩნია, იგი დარბევაში მონაწილეობას არ იღებდა. როგორც მე ვიცი, მიმდინარეობს გამოძიება 26 მაისთან დაკავშირებით, თუ გამოძიება მივიდა იმ მომენტამდე, რომ უნდა დაიკითხოს ესა თუ ის პირი, ის უნდა დაიკითხოს. იქნება ის შინაგან საქმეთა მინისტრი, პრეზიდენტი თუ ვინც უნდა იყოს. მე მომიტინგეებისგან გამაჩნია ინფორმაცია, რომ ეს ადამიანი იყო ამ აქციაზე, მაგრამ დარბევაში მონაწილეობას არ ღებულობდა. რამდენი ხანია ვწერ გაზეთებში და ვყვირი, რომ შეგვიძლია რამდენიმე პოლიციელის ამოცნობა და ჯერჯერობით არც არავის დავუკითხივარ. ადრე დაგვიბარეს, მაგრამ რომ შევხედე გამომძიებლის გვარს და ვნახე, რომ იგივე გამომძიებელი იძიებდა 26 მაისის საქმეს, რომელიც ნაციონალების დროსაც იძიებდა, აღარც მივსულვარ. ასეთი გამომძიებლისთვის ჩვენების მიცემას რა აზრი აქვს. ალბათ, გამოძიება გაარკვევს, ვინ რა მონაწილობას იღებდა.

*— გამოძიება დაადგენსო, აცხადებთ, იქვე იმასაც ამბობთ, რომ იგივე გამომძიებელი იძიებსო და რამდენად უნდა გვქონდეს ობიექტური გამოძიების იმედი? დაადგენს კი?*

— მე რა ინფორმაციაც გამაჩნია, ახლა ამ საქმეს იძიებს პროკურატურა და პროკურატურა ახორციელებს პოლიციაზე საპროცესო ზედამხედველობას და პროკურატურისათვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს, დაკითხოს ნებისმიერი მაღალჩინოსანი, პოლიციის იქნება თუ სხვა უწყების. იმიტომაც არის პროკურატურა ასე ცალკე გამოყოფილი უწყება და სტრუქტურა. თუ გახდება საზოგადოებისთვის ცნობილი, რომ არასწორი გზით მიმდინარეობს გამოძიება, მაშინ მოვახდენთ ამაზე რეაგირებას. გეტყვით, რომ მომავალ შინაგან საქმეთა მინისტრს ვიცნობ მისი საქმეებიდან და ის არ ტოვებს ცუდ შთაბეჭდილებას. ჩემზე მან კარგი შთაბეჭდილება დატოვა, როგორც ოპერატიულმა მუშაკმა. ვნახოთ, ყველაფერს დრო გვიჩვენებს და მინდა ამ ადამიანს წარმატება ვუსურვო, რომელიც აუცილებლად დასჭირდება.

*— ფიქრობთ, რომ თუ საჭირო გახდა, შესაძლოა ჭიკაიძე დაიკითხოს კიდეც?*

— თუ გამოძიება ჩათვლის საჭიროდ, რა თქმა უნდა, დაიკითხება. ვიმეორებ, დედამიწის ზურგზე არ არსებობს ადამიანი, რომლის დაკითხვაც არ შეიძლება. თუ საჭიროა, უნდა დაიკითხოს. ახლა ვანო მერაბიშვილს რომ ბრალი დაუდასტურო, რომელიც მას წარდგენილი აქვს, საჭიროა უამრავი ადამიანის დაკითხვა და პირველ რიგში იმ პოლიციელების დაკითხვა, ვინც იმ აქციაზე იმყოფებოდა, ხომ?! ვინც იმ აქციაზე იმყოფებოდა, მე ვფიქრობ, რომ ყველა ადამიანია დასაკითხი, როგორც აქციის მონაწილე, ისე პოლიციის თანამშრომელი თუ სახანძროს თანამშრომელი, ჯანდაცვის და ასე შემდეგ. დაკითხვა თავისთავად არაფერს ნიშნავს. ბევრმა თქვა, ჭიკაიძე დავინახეთ აქციაზეო და პირადად მე არ დამინახავს.

*— მოდით, კიდევ ერთ საინტერესო საკითხს, კეზერაშვილის თემას შევეხოთ. საფრანგეთში იმყოფებოდა ირაკლი ღარიბაშვილი და გამოდის ხმები, რომ კეზერაშვილმა გამოძიებასთან თანამშრომლობა დაიწყო და სერიოზული ინფორმაციებიც მიაწოდაო. თქვენ რა ინფორმაციებს ფლობთ, მართლაც რამდენად იყო ის ჩართული იარაღის ბიზნესში და რა საქმეები შეიძლება გასკდეს?*

— არ ვიცი, მე რასაც სოციალური ქსელებიდან ვადევნებ თვალყურს, ის ინფორმაციები მაქვს. ასევე საფრანგეთიდან ერთ-ერთი ჟურნალისტი იმყოფება თბილისში, მასთანაც მქონდა შეხვედრა. ის ჩახედულია ამ საკითხებში. მე როგორც ვიცი, მას ედავებიან სხვა დანაშაულს და ის საქართველოს მოთხოვნით არ დაუკავებიათ, რადგან ინტერპოლით ძებნა კეზერაშვილის, ფაქტიურად რამდენიმე დღის წინ გამოცხადდა. სხვა საქმეებზეა აქ საუბარი. გაჟღერდა იარაღით ვაჭრობა. მე არაფერს არ გამოვრიცხავ, გარკვეული ინფორმაციებიც გამაჩნია, მაგრამ ამ ეტაპზე თავს შევიკავებ, გარკვეული ინტერესებიდან და მომენტებიდან გამომდინარე, რომ გავაჟღერო ეს ინფორმცია. თუმცა საზოგადოებისთვის მალე გაირკვევა, რა არის, რა მოვლენასთან გვაქვს საქმე.

*— სააკაშვილს რაც შეეხება, ვნახეთ, რომ დაიხურა ქუდი და წავიდა. რას უნდა ველოდოთ, რამდენად დადგება მისი პასუხისმგებლობის საკითხი?*

— თუ ჩვენ ვამბობთ, რომ ეს იყო რეჟიმი და ამ რეჟიმმა უამრავი უბედურება დაატრიალა და ათასგვარი უკანონობები იქნა ჩადენილი, ამ უკანონობებს ჩადიოდნენ ადამიანები, ხომ? და ამ ყველაფერზე ბრძანების გამცემი და მთავარი ორგანიზატორი გახლდათ სააკაშვილი. თუ ვინმე პასუხისგებაში მიეცემა 26 მაისის გამო, უკანონოდ ხალხის დაპატიმრებისთვის, ადამიანების წამებებისთვის, რასაკვირველია, სააკაშვილი პირველ რიგში უნდა დაიკითხოს. პირველ რიგში, რაც ყველაზე ახლოა, ეს არის მისი დაკითხვა. შემდეგ თუკი გამოიკვეთება მისი ბრალეულობა, ის პასუხისგებაში უნდა მიეცეს.

*— თუმცა გვესმის ჩვენ დასავლეთიდან, რომ კითხვებიც კი არ დაუსვამთ მასო და რამდენად სწორია ასეთი მითითებები?*

— არა მგონია, ამას დასავლეთის სერიოზული პოლიტიკური წრეები აკეთებდნენ ამ განცხადებას. ამას, ჩემი აზრით, აკეთებენ ის ადამიანები, ვინც ნაციონალების მიერ ლობისტური ორგანიზაციების მიერ არიან ცრუ ინფორმაციების მიწოდებით მოტყუებულნი. გახსოვთ თქვენ, ნებისმიერი არჩევნები რაც უნდა ჩატარებულიყო, სულ გაყვიროდნენ დემოკრატიულიაო. დაახლოებით ეგეთი სურათი გვაქვს, მაგრამ ეს ნელ-ნელა უკვე გადადის უკანა პლანზე და მე აღარ მგონია ჭკუათმყოფელი რომელიმე პოლიტიკოსი, რომელიც გამოვა და ნაციონალებს დაიცავს. სანამ სააკაშვილი ხელისუფლებაში იყო, ეს კიდევ გასაგები იყო, რომ მას იცავდნენ, მაგრამ აწი არ მგონია, რომ ევროპამ და ამერიკამ დიდად თავი გამოიდოს სააკაშვილის დასაცავად.

## შსს-მ ნარკოდანაშაულის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის პირველი მთავარი სამმართველოს მესამე სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოტანის ფაქტზე 1962 წელს დაბადებული, წარსულში 5 ჯერ ნასამართლევი ქეთევან ჯ. დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ქეთევან ჯ. გარდაბნის რაიონის სოფელ ვახტანგისში იმ დროს დააკავეს, როდესაც მან საქართველო აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვარი გადმოკვეთა და საქართველოს ტერიტორიაზე ნარკოტიკული საშუალება შემოიტანა.

ქეთევან ჯ-ს პირადი ჩხრეკისას სამართალდამცველებმა 37 შეკვრად დაფასებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით ამოღებულია ჰეროინის შემცველი 20,0797 გრ ნარკოტიკი.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა შენახვისა და საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს – სსსკ-ის 260 მუხლის 1-ლი ნაწილით და 262 მუხლის 1-ლი ნაწილით.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა გოლავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ბიძინა ივანიშვილი: არასოდეს არ ვმართავ კულისებიდან, ამას არ ვაკადრებ საკუთარ ქვეყანას და საკუთარ გუნდს“

შორენა მარსაგიშვილი

უკვე მეორე დღეა, რაც ბიძინა ივანიშვილი მთავრობაში აღარ არის. ხელისუფლების მშვიდობიანი გზით შეცვლის შემოქმედი 24 ნოემბერს პოლიტიკიდან საერთოდ წავა. 24 ნოემბერს „ქართული ოცნების“ ყრილობა გაიმართება. ამ დღეს ის პარტიის თავმჯდომარის პოსტსაც დატოვებს.

პოლიტიკაში დიდი ხნით რომ არ დარჩებოდა, ეს თავიდანვე გვითხრა. თუმცა არავის ეგონა, რომ ის ასე მალე წავიდოდა. თვითონ ამბობს, რომ არსად არ მიდის და ისევ ჩვენთან იქნება. ივანიშვილი სამოქალაქო სექტორში აპირებს წასვლას.

ნაციონალები პოლიტიკაში შემოსვლას დიდი წიოკით შეხვდნენ. გაცილებით მეტად გაინერვიულეს თავი, მისი წასვლის ამბავი რომ გაიგეს. ამტკიცებენ, ეგ კაცი არსად არ მიდის და მთავრობის მართვას კულუარებიდან აპირებსო. მისი მისამართით უამრავი ბრალდება გაისმა. ზოგს უკვე უპასუხა, ზოგსაც წასვლამდე გასცემს პასუხს. გუშინ კი მან ღია წერილი გამოაქვეყნა, რომელიც პასუხია გავრცელებულ ინფორმაციაზე, თითქოს ივანიშვილი პოლიტიკიდან წასვლის მიუხედავად ქვეყნის კულუარულად მართვას აპირებს.

„ახალი თაობა“ პოლიტიკიდან მიმავალი ივანიშვილის წერილს მცირეოდენი შემოკლებით გთავაზობთ, სადაც ბევრ კითხვაზეა გაცემული პასუხი. თუმცა რაღაცების ჩაზუსტება საჭიროა და იმედია ჩაგვიზუსტებს.

— ამ წერილით იმ ერთადერთ კითხვას მინდა გავცე პასუხი, რომელიც პოლიტიკიდან წასვლის შესახებ ჩემს განცხადებას მოჰყვა. ქართული, ევროპული და ამერიკული საზოგადოების ერთ ნაწილს გაუჩნდა კითხვა — ხომ არ ვაპირებ, კულუარულად ვმართო ქვეყანა.

ბევრი აბსურდული ბრალდება ისმოდა ჩემ მიმართ მაშინაც, როდესაც პოლიტიკაში შემოვედი. რას არ მაბრალებდნენ — კრემლის აგენტობით დაწყებული, საარჩევნოდ მაცივრების დარიგებით დამთავრებული. აღარაფერს ვამბობ ისეთ სიცრუეზე, თითქოს პოლიტიკაში საკუთარი ქონების გადასარჩენად მოვედი ან დიდი ჰესების ხელში ჩაგდება მინდოდა.

და ახლა, როცა უკვე პოლიტიკიდან წავედი, მინდა ვუპასუხო იმ ბოლო აბსურდს, რომ თითქოს კულუარებიდან მინდა ვმართო ქვეყანა და გავლენა მოვახდინო ხელისუფლებაზე. და როცა გავლენაზე მიანიშნებენ, სამწუხაროდ, მხოლოდ უარყოფით კონტექსტს გულისხმობენ. მთელი ჩემი ცხოვრებით, მთელი ჩემი ბიოგრაფიით მე დავამტკიცე, რომ უკადრისი არასოდეს არაფერი ჩამიდენია.

ჩემი ცხოვრების უდიდესი ნაწილი რუსეთში მომიწია ყოფნა და საქმიანობა. ეს მართლაც ურთულესი პერიოდი იყო, ბიზნესი ძალიან სწრაფი ტემპით ვითარდებოდა, ძალიან მოკლე დროში უამრავი საკუთრება გაიცა და ხშირად ეს უხეშ ფორმებსაც იღებდა. რთული იყო ასეთ ვითარებაში გამჭვირვალე და კანონიერი ბიზნესის კეთება. და მიუხედავად ამისა, ჩემი ბიზნესი იყო სრულიად სამაგალითო და გამჭვირვალე. ბევრს ეცადნენ, ბევრი ეძებეს ოპონენტებმა, მათ შორის უცხოელებმაც, მაგრამ ვერც ერთი შავი ლაქა ვერ იპოვეს ჩემს ბიზნესში. მე არათუ კანონი არ დამირღვევია არასდროს, კონტრაქტიც კი არ მომიშლია, მეტიც, სიტყვაც არ გამიტეხია.

ჩემი რუსეთში საქმიანობის 20-წლიან პერიოდზე ყველა კითხვას გავეცი პასუხი ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან გამოცემაში, ,,ვედომოსტში“. ეს იყო ერთადერთი ინტერვიუ, რომელიც პოლიტიკაში მოსვლამდე მივეცი. ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია ნახოს და თავად დარწმუნდეს, როგორი რეპუტაცია მქონდა რუსეთში და ბიზნესწრეებში.

ჩემი ცხოვრების მთავარი ხელწერა არის აბსოლუტური გამჭვირვალობა. ასე ვიყავი ბიზნესში და ასეთივე ვიყავი პოლიტიკაშიც. როდესაც 2003 წლის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში ახალი ხელისუფლება მოვიდა, მე მათ კონსულტაციას ვუწევდი მათივე თხოვნით, 3 წლის განმავლობაში სააკაშვილს მრავალჯერ შევხვდი, ცხადია, ყოველთვის მისივე სურვილით. ვერც სააკაშვილი და ვერც მისი გუნდის რომელიმე წევრი ვერ გაიხსენებს ერთ შემთხვევასაც კი, როდესაც მე მათ რამე პირადი თხოვნით მივმართე ან პირადი ინტერესების გამო შევხვდი. მე მათ ყოველთვის ისეთ რჩევებს ვაძლევდი, რომლებიც ჩემს ქვეყანას, ჩემს სახელმწიფოს სჭირდებოდა და არა პირადად მე.

ჩემი ინიციატივით იმ ფონდს ვაფინანსებდი, რომელიც ორნახევარ წელზე მეტხანს მთელ მთავრობასა და პარლამენტს ხელფასებს უხდიდა, რათა ქვეყანა კორუფციის ჭაობიდან ამოსულიყო და ევროპული განვითარების გზას დადგომოდა.

რჩევებს ვაძლევდი მერაბიშვილსაც, ვეხმარებოდი პოლიციას პატრულის მანქანების ყიდვაში და არავითარ შემთხვევაში — იარაღის შეძენაში. ვეხმარებოდი ჯარს, ვაშენებდით ყაზარმებს, ვყიდულობდით ტანსაცმელს ჯარისკაცებისთვის. და იქაც მქონდა პრინციპული პოზიცია, რომ ამ დახმარებით არ ეყიდათ იარაღი. მე არასდროს მიმიღია მონაწილეობა რომელიმე მინისტრის ან პრემიერ-მინისტრის დანიშვნაში. თავს ვარიდებდი და არ ვერეოდი ამ საქმეში. ანუ მაშინ, როდესაც არ ვიყავი საჯარო ფიგურა და მართლაც „კულუარებიდან“ მქონდა ურთიერთობა ხელისუფლების უმაღლეს წრეებთან, ფაქტია, რომ არ მომინდომებია „კულუარებიდან მართვა“.



პოლიტიკაში ორწლიანი მოღვაწეობისას ჩამოვაყალიბეთ გუნდი, რომელიც კარგად მიცნობს, უამრავი ადამიანი გავიცანი, უამრავს დავუმეგობრდი, ძალიან ბევრი ხშირად მაკრიტიკებს კიდეც, თუმცა ვერავინ იტყვის, რომ მე ორმაგი სტანდარტით ვცხოვრობ და ვმუშაობ. ერთ ეპიზოდსაც კი ვერ გაიხსენებს ვერავინ, რომ მე რაღაც კულუარულ თამაშებში ვერთვებოდი. პირიქით, ზოგჯერ ჩემივე გუნდის წევრები სწორედ „კულუარებში“ მაკრიტიკებდნენ პოლიტიკოსისთვის ზედმეტი გულახდილობისა და საჯაროობისთვის.

ნებისმიერი ჩვენი გუნდის წევრი, ნებისმიერი მინისტრი მაქსიმალურად თავისუფალი იყო, მე მათ არასოდეს თავს არ ვახვევდი არაფერს, მხოლოდ მსჯელობისა და საღი აზრის პატივისმცემელი ვარ. ასეთია ჩემი მუშაობის წესი. მე არასოდეს არ ვმართავ კულისებიდან, მე ამას არ ვაკადრებ საკუთარ ქვეყანას და საკუთარ გუნდს, რომელსაც უაღრესად დიდ პატივს ვცემ.

ამიერიდან მე ვიქნები საზოგადოების აქტიური წევრი, ჩემი საქმიანობა იქნება სრულიად გამჭვირვალე და, რა თქმა უნდა, მექნება გარკვეული გავლენაც. ამასთანავე, მე ამ გავლენას არათუ სათაკილოდ ვთვლი, არამედ ძალიანაც შევეცდები მის გაზრდას. სხვანაირად როგორ შეიძლება იყო სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წევრი?

ხელისუფლებაზე საზოგადოების გავლენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რაც, პირველ რიგში, პოლიტიკური სისტემის სიჯანსაღის, ანუ დემოკრატიის მანიშნებელია, რადგან ეს გავლენა ხალხის, საზოგადოების წინაშე ხელისუფლების ანგარიშვალდებულებას და მასთან უკუკავშირს გულისხმობს.

საბოლოოდ, საზოგადოება აქტიური მოქალაქეების, ინდივიდების კრებულია. ბუნებრივია, რომ მაღალი საზოგადოებრივი ნდობის მოქალაქის გავლენა პოლიტიკაზე, შესაბამისად, მაღალი იქნება. და თუ ეს მოქალაქე ყოფილი პოლიტიკოსია, როგორც ამ შემთხვევაში მე, მაშინ ეს წესი აღარ მუშაობს?! თუ მხოლოდ საქართველოში არ უნდა მუშაობდეს და საფრთხის შემცველად განიხილებოდეს ის, რაც აბსოლუტურად ნორმალურად ითვლება დემოკრატიულ ქვეყნებში?!

ადამიანის უფლებები, ევროპული ღირებულებები, ევროატლანტიკური სივრცისკენ სწრაფვა, ის, რომ ამერიკა უნდა იყოს ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი, ის, რომ აუცილებლად უნდა დავალაგოთ ჩვენს მეზობლებთან და, მათ შორის, რუსეთთანაც ურთიერთობა, ეს არის ჩემი ღირებულებები, და თუ ვინმე ამის წინააღმდეგია, ისინი ნამდვილად უნდა შფოთავდნენ, რადგან დიახაც რომ, მე მოვახდენ გავლენას ამ მიმართულებით.

ამ ღირებულებებს რომ ვცემ პატივს და ერთგული ვარ მათი, ეს არაერთხელ განვაცხადე. მეტიც, კოალიციის დეკლარაციასაც მოვაწერე ხელი, რომელიც მთლიანად ამ ღირებულებებს ეფუძნება. ამ ღირებულებებს ვცემდი პატივს ყოველთვის, და თუ ვინმე ფიქრობს, რომ დღეს, 57 წლის კაცი შევიცვლი ღირებულებებს, ასეთებისთვის პასუხის გაცემას არ ვაპირებ.

მე სხვა ინტერესი, გარდა ჩემი ქვეყნის წინსვლის და ევროპული განვითარებისა, არასოდეს მქონია. ყველამ კარგად იცის, რომ საქართველოში ბიზნესი არა მაქვს და ამას არც მომავალში ვაპირებ, და როგორ შეიძლება რამე სხვა მოტივი მამოძრავებდეს, გარდა ჩემი ქვეყნის სამსახურისა.

თუ შევძლებ და მართლაც მოვახდენ ევროპული მიმართულებით ქვეყნის წინსვლის საქმეში გავლენას ხელისუფლებაზე, ამას უნდა მიესალმებოდეს ყველა. არც საჯარო მხარდაჭერას, არც რჩევებს დავამადლი და არც კრიტიკას მოვაკლებ მთავრობას, რომელიც ჩემს ხალხთან ერთად შევქმენი და რომელზეც პასუხისმგებლობა ავიღე.

მინდა ყველას გასაგონად ვთქვა: ის, რომ პოლიტიკიდან წასული ლიდერები გავლენას ახდენენ ქვეყნის ცხოვრებასა და პოლიტიკაზე, ჩვეულებრივი ამბავია და მიღებული ტრადიციაა დემოკრატიულ ქვეყნებში. ძალიან ბევრი მაგალითი არსებობს ამისა, ბევრი პოლიტიკოსი შეგვიძლია გავიხსენოთ, რომელთა გავლენა პოლიტიკაზე ათეული წლებია ნარჩუნდება, და ეს არავის აფრთხობს.

ვფიქრობ, ჩემგან არ უნდა ესწავლებოდეთ ჩვენს დასავლელ მეგობრებს, რომ ასეთი ტიპის ,,ტჰინკ ტანკ“-ის (ანალიტიკური ცენტრების) გავლენა პოლიტიკაზე, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, იმდენად მაღალია, რომ ამ ,,ბრაინ ტრუსტ“-ების კეთილგანწყობისა და ნდობის მოპოვება მთელი რიგი ქვეყნების მთავრობებისგან დიდ დიპლომატიურ ძალისხმევას მოითხოვს და, ხშირ შემთხვევაში, მოქმედი ადმინისტრაციის კეთილგანწყობის მოპოვების ტოლფასია. ამ ,,ტჰინკ ტანკ“-ის სათავეებთან კი, როგორც წესი, ყოფილი პოლიტიკოსები დგანან.

და მაინც, ყველაზე დიდი აბსურდი, რასაც მომაწერენ, არის ის, თითქოს მეშინია, თითქოს გავურბივარ პასუხიმგებლობას და ამიტომ მივდივარ პოლიტიკიდან. შეიძლება არსებობდეს თანამდებობის დაკარგვის შიში. მაგრამ როდესაც მე ჩემი ნებით უარს ვაცხადებ თანამდებობაზე, რა შიშზე შეიძლება იყოს ლაპარაკი?

მე მაშინ არ შემშინებია, როდესაც უმძიმეს ვითარებაში მივიღე პოლიტიკაში შემოსვლის გადაწყვეტილება, როდესაც ჩვენს ქვეყანას ავტორიტარული რეჟიმის მრავალწლიანი მმართველობა ემუქრებოდა, როდესაც საზოგადოებაში სრული სასოწარკვეთილებისა და უპერსპექტივობის განცდა მეფობდა, როდესაც მთლიანად განადგურებული იყო ოპოზიციური ძალები, — სწორედ მაშინ დავდე სასწორზე მთელი ჩემი ცხოვრება, ჩემი ოჯახი, შვილების უსაფრთხოება და სამშობლოს გადარჩენის გადაწყვეტილება მივიღე.

მე მოვახერხე და გავაერთიანე პოლიტიკური ძალების საუკეთესო ნაწილი, ერთ მუშტად შევკარი საზოგადოება და ვაიძულე სააკაშვილის რეჟიმი მშვიდობიანად, უსისხლოდ გადმოებარებინა ხელისუფლება. და ახლა, როდესაც ხელისუფლებაში ნამდვილი დემოკრატიული ძალები მოვიყვანე, თავად ხელისუფლების ზენიტში მყოფმა, დავტოვე ხელისუფლება. ეს, ალბათ, ძნელი გასაგებია ბევრისთვის, რადგან ვერავინ დაასახელებს პოლიტიკოსისგან მსგავსი ნაბიჯის გადადგმის მაგალითს.

შეიძლება სწორედ ეს აბნევთ ვიღაცებს, რადგან ნებისმიერი პოლიტიკური პარტიისა თუ პოლიტიკური ლიდერისთვის ერთ-ერთი უმთავრესი მოტივაცია, ამოცანა და მიზანია ხელისუფლებაში მოსვლა, ქვეყნის მართვა და თავისი შეხედულებით სახელმწიფო საქმეების გაძღოლა.

მინდა მივმართო ყველას — ნუ დავრჩებით თითქმის ზოგადსაკაცობრიო სტერეოტიპის ტყვეობაში, უნდა დავიჯეროთ, რომ შეიძლება ადამიანს ჰქონდეს ჭარბი სიმდიდრე და ჭარბი ძალაუფლება, მაგრამ გული და გონება მაინც სხვაგან მიუწევდეს, რადგან მისთვის კიდევ უფრო მაღალი ღირებულება არსებობს და ეს არის თავისუფალი სამშობლოს თავისუფალი მოქალაქეობა. ამ ოცნების ასრულებისთვის გახდა აუცილებელი ჩემი პოლიტიკაში დროებით მოსვლაც და ამასვე ემსახურება ჩემი პოლიტიკიდან წასვლაც. აი, ასე მარტივია სინამდვილეში ყველაფერი, — ნათქვამია ივანიშვილის ღია წერილში.

მის მიმართ კითხვები ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგაც გაჩნდა. ნაცმოძი ისევ თავისას ამტკიცებს. ამბობენ, პრემიერად მან ირაკლი ღარიბაშვილი იმიტომ დაასახელა, რომ ისევ თავად მართოს ქვეყანაო. მასთან დაკავშირებით კიდევ ბევრ შეფასებას მოვისმენთ. იქნება როგორც დამსახურებული, ასევე უსაფუძვლო კრიტიკაც. მის საქმეს ისტორიაც შეაფასებს. როგორი იქნება შეფასება, ვერ გეტყვით. ერთს კი ვერავინ დაუკარგავს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ის იყო ერთადერთი ლიდერი, რომელმაც ხელისუფლება არჩევნების შედეგად შეცვალა.

სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ხალხმა არჩევნებში დამარცხებული ძალის ანუ ნაციონალების წინააღმდეგ ანგარიშსწორება არ დაიწყო.

და კიდევ, ივანიშვილი ჯერჯერობით ერთადერთი ლიდერია, რომელიც პოლიტიკიდან არჩევნების შემდეგ წავიდა.

მას გუნდში პელეს ადარებენ, მე კი მისი გადაწყვეტილება მიუნხენის „ბაიერნის“ მწვრთნელის იუპ ჰაინკესის გადაწყვეტილებას მაგონებს. ამ უკანასკნელმა მიმდინარე სეზონში გუნდს ყველა ჯილდო მოაგებინა, როგორც ევროპულ ტურნირებზე, ასევე გერმანიაში და ამის შემდეგ გამარჯვებული წავიდა.

იუპ ჰაინკესს საკმაოდ ღირსეული ცვლა შეხვდა პეპ გვარდიოლას სახით. ის წინამორბედის დაწყებულ საქმეს კარგად ართმევს თავს.

ივანიშვილმა ესტაფეტა ღარიბაშვილს გადააბარა. ვნახოთ, იგვარდიოლებს თუ არა ახალი პრემიერი, რომელიც ამავე დროს პარტიის თავმჯდომარეც იქნება.

# ნაციონალური მოძრაობის თელავის ოფისში პოლიცია შევიდა

შირენა მარსაგიშვილი

ოცნების ტალღაზე აწყობილი ერი ახალ მთავრობას ზეიმობს. მათგან განსხვავებული განწყობა სუფევს ნაცმოძში. მათი მტკიცებით, საოცნებო მთავრობა ქვეყანას დააქცევს. ეს მათაც ახარებთ, რადგანაც სწამთ, რომ დაქცეული ქვეყნის მოქალაქეები მათ ხელისუფლების სათავეში დააბრუნებენ. ოცნება კი ამბობს, მაგათ მობრუნებამდე თავი არ გეტკინოთო.

ვინ მობრუნდება და ვინ ამობრუნდება, ჯერ ნათლად არ ჩანს. ახლა მხოლოდ ნაციონალების მარტვილობის შესახებ ვრცელდება ხმები. ნაცმოძმა გუშინაც შემოჰკრა განგაშის ზარებს და დასავლეთს მათი მორიგი აწიოკების შესახებ აუწყა.

ნაციონალურმა მოძრაობამ გუშინ საგანგებო განცხადება გაავრცელა და გვამცნო, რომ პარტიის თელავის ოფისში პოლიცია შევიდა. როგორც პარტიის სახელით გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, თელავის რაიონული ორგანიზაციის ოფისში, რომელიც ნადიკვრის ქუჩის №8-ში მდებარეობს, ექსპერტიზის ჩასატარებლად საჭირო აზომვითი სამუშაოების საბაბით, სამართალდამცველები შევიდნენ. პარტიის ინფორმაციით, პოლიციის შესვლა სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე მოხდა.

ნაცმოძის განმარტებით, სისხლის სამართლის საქმე აღძრულია ვინმე გია სესიტაშვილის განცხადების საფუძველზე, რომელიც აცხადებს, რომ იგი პარტიამ აიძულა, ფართი გაეყიდა.

აწიოკებულ პარტიაში განმარტავენ, რომ ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ აღნიშნული ფართი კანონის სრული დაცვით და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ზემოხსენებული პიროვნებისგან, 2006 წელს მართლაც შეიძინა. მათი თქმით, არც მაშინ და არც მას შემდეგ, რაიმე სახის პრეტენზია აღნიშნულ პიროვნებას არ ჰქონია.

— საყურადღებოა, რომ გია სესიტაშვილი „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი აქტივისტია. ყოველივე ეს ნათელყოფს, რომ საქმე პოლიტიკურადაა მოტივირებული. ეს არის თვითმმართველობის წევრებსა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ადგილობრივ აქტივისტებზე განხორციელებული ზეწოლის ლოგიკური გაგრძელება, რომელსაც სათავე ჯერ კიდევ 2012 წლის 1 ოქტომბრიდან დაედო და რომელიც პოლიციის, პროკურატურისა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ხორციელდება. როგორც ჩანს, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ჩვენ მიერ გამოთქმული ვარაუდი პოლიტიკური ზეწოლის ახალი ტალღის შესახებ მართლდება, — ნათქვამია პარტიის განცხადებაში.

შსს-ს კი სხვა თვალით უყურებენ ამ ამბავს. ალექსანდრე ჭიკაიძის უწყებაში განმარტავენ, რომ იმ ფართის მესაკუთრემ, სადაც ახლა პარტიის ოფისია განთავსებული, ტერიტორია 2004 წელს გაყიდა. ახლა კი აცხადებს, რომ ტერიტორია შანტაჟის ქვეშ, საბაზრო ღირებულებაზე ნაკლებ ფასად გაასხვისა. გამოძიება მუქარის მუხლით მიმდინარეობს.

— ნადიკვრის ქუჩის 8-ში მდებარე ფართი 2004 წელს „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კონკრეტული პირისგან შეიძინა. მოგვიანებით, ამ პიროვნებას პრეტენზია გაუჩნდა, რომ პარტიამ ეს შენობა თითქოს შანტაჟით მოიპოვა, მესაკუთრე დააშანტაჟა და ღირებულებაზე ნაკლები თანხა გადაუხადა. საქმე მუქარის ფაქტზე სსკ-ის 151-ე მუხლით აღიძრა. გამოძიება მიმდინარეობდა, მაგრამ მაშინ არაფერი გამოკვეთილა. ახლა ისევ განახლდა საქმე პროკურატურის ზედამხედველობით. საგამოძიებო პროცედურაში შედიოდა, რომ ამ შენობაში სასაქონლო ექსპერტიზა ჩაეტარებინათ. თბილისიდან ექსპერტები ჩამოვიდნენ, აზომვითი სამუშაოები ჩაატარეს, რომ შეადარონ, იმ დროისთვის რა ღირებულების იქნებოდა ეს ფართი, — აცხადებენ შსს-ში.

ნაციონალური მოძრაობის თელავის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი გიორგი ბოტკოველი, ისევე როგორც მთელი პარტია აღნიშნულ ფაქტს პარტიაზე ზეწოლად აფასებს. მისი თქმით, ნაციონალურმა მოძრაობამ საოფისე ფართი კერძო პირებისგან კანონის სრული დაცვით შეისყიდა.

— მივიდნენ ნაციონალური მოძრაობის ოფისში, ლევან სამხარაულის სასამართლოს ბიუროს თანამშრომლები ვართო და აზომვითი სამუშაოები უნდა ჩავატაროთო. ჩემთვის როგორც ცნობილია, თელავის რაიონული პოლიცია გამოძიებას აწარმოებს აღნიშნული ოფისის შესყიდვის კანონიერებასთან დაკავშირებით. რამდენიმე პიროვნება დაკითხულია კიდეც. ეს არის კერძო საკუთრება, რომელიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 2006 წელს კერძო პირებისგან გია სესიკაშვილისგან და მალხაზ სამადაშვილისგან შეიძინა. გამოძიება კი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დაიწყო, თითქოსდა ეს ფართი ჩვენ ძალით წავართვით. ეს არის პოლიტიკური ზეწოლა ჩვენზე. თან გია სესიკაშვილი „ქართული ოცნების“ აქტივისტი იყო და შემოსავლების სამსახურში მუშაობს, როგორც ვიცი, — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს გიორგი ბოტკოველმა.

ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ოპოზიციაში გადასულმა ნაცმოძმა გუშინ კიდე ერთხელ წამოისხა მხრებზე წამებულის მანტია.

# სოზარ სუბარი: „თუ ნანა კაკაბაძეს შეუძლია, დამირეკოს, რატომ უნდა აეკრძალოს ეს ბიძინა ივანიშვილს?“

ნათია ხურცილავა

როგორც გაირკვა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი სოზარ სუბარი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისგან რჩევებს იღებს. ითვალისწინებს თუ არა ამ რჩევებს, ამის შესახებ მას გუშინ ჟურნალისტებისთვის არაფერი უთქვამს, თუმცა უკვირს, რატომ არ უნდა მიიღოს მსგავსი პოზიციიდან ბიძინა ივანიშვილისგან რჩევა.

სოზარ სუბარმა უკვე ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის სამოქალაქო სექტორში გადასვლა შეაფასა. ის ფიქრობს, რომ თუ ნანა კაკაბაძეს შეუძლია რჩევა მისცეს, რატომ უნდა აეკრძალოს ეს ბიძინა ივანიშვილს სამოქალაქო სექტორიდან.

— ბიძინა ივანიშვილმა შეასრულა თავისი სიტყვა. თქვა, რომ საქართველოს გაათავისუფლებდა სააკაშვილის რეჟიმისგან. ეს გააკეთა. მეორე — მან თქვა, რომ მაქსიმუმ ორ წელიწადში წავიდოდა პოლიტიკიდან და წავიდა. მესამე — ივანიშვილი ჩემთვის ყოველთვის იქნება საკითხავი ადამიანი. ახლა გაჩვენებთ ზარებს ჩემს ტელეფონზე. რამდენიმე ზარია შემოსული ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებისგან. ბოლო ზარი გელა ნიკოლაიშვილისგან შემოვიდა, იმის წინა კი — ნანა კაკაბაძისგან. თუ ნანა კაკაბაძეს შეუძლია, დამირეკოს და რაღაც რჩევა მომცეს, რატომ უნდა აეკრძალოს ეს ბიძინა ივანიშვილს? — განაცხადა სოზარ სუბარმა.

სუბარის თქმით, ივანიშვილის მხრიდან არცერთხელ არ ყოფილა იმის მცდელობა, რომ ის სამინისტროს საქმიანობაში ჩარეულიყო.

— იგი იყო პრემიერ-მინისტრი, ჩვენ ვიყავით მინისტრები. მისი მხრიდან არცერთხელ არ ყოფილა მცდელობა, ზედმეტად ჩარეულიყო სამინისტროს საქმიანობაში — მოადგილეების შერჩევა იქნებოდა, თუ ნებისმიერი საკადრო გადაწყვეტილება ან ნებისმიერი რეფორმის გატარება. ის ისმენდა ჩვენს მოსაზრებებს და გვქონდა მისგან მაქსიმალური მხარდაჭერა. ის არ ერეოდა მინისტრების მუშაობაში ზედმეტად. ზოგჯერ შეიძლება გვაკლდა კიდევაც — თუ რატომ არ იყო ჩართული უფრო მეტად. როგორ ფიქრობთ, ადამიანი, რომელიც ასე იქცეოდა პრემიერის პოსტზე, წავა და ახლა სადმე ჩრდილიდან შეიცვლის თავის ქცევას? ეს ამ ადამიანის ბუნებაში და სტილში არ არის. რაც შეეხება ობიექტურობა-არაობიექტურობას, ეს დამოკიდებულია იმაზე, ადამიანს აქვს თუ არა ობიექტურად შეფასების უნარი. ბიძინა ივანიშვილმა კი დაამტკიცა მთელი ცხოვრების ბოლო ორი წლის განმავლობაში, პოლიტიკაში




ყოფნის პერიოდში, რომ ობიექტური ადამიანია და ასრულებს დაპირებებს. — განაცხადა სოზარ სუბარმა.

სასჯელაღსრულების მინისტრი დარწმუნებულია, რომ უკვე სამოქალაქო სექტორში გადასული ბიძინა ივანიშვილი ქვეყნის მართვას კულისებიდან არ აპირებს, რადგან ეს ამ ადამიანის ბუნებაში არ არის.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც მინისტრისგან ჟურნალისტებს პასუხი აინტერესებდათ, საკადრო პოლიტიკა იყო. შეცვლის თუ არა სუბარი მოადგილეებს ან დეპარტამენტის უფროსებს? გაირკვა, რომ სოზარ სუბარი მოადგილეების შეცვლას არ აპირებს.

ასევე უარყო სასჯელაღსრულების მინისტრმა გავრცელებული ინფორმაცია, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის, მიხეილ ღურწკაიას მის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

მინისტრის თქმით, მან მოადგილეების სია ახალ პრემიერ-მინისტრს დასამტკიცებლად უკვე გადაუგზავნა.

— ჩემი მოადგილეები იქნებიან ისინი, ვინც მყავდნენ — გიორგაძე, თალაკვაძე, ჯაფარიძე, დევდარიანი. — აცხადებს სუბარი.

თუმცა, სასჯელაღსრულების მინისტრმა სამინისტროს დეპარტამენტებსა და სამმართველოებში საკადრო ცვლილებები არ გამორიცხა.

— მთელი ამ ხნის განმავლობაში პრესა აქტიურად საუბრობდა, რომ თანამდებობიდან მივდივარ, თუმცა ვერც ერთი ასახელებდა, საიდან მოდიოდა ეს. არასერიოზულად მიმაჩნია ასეთ თემებზე პასუხის გაცემა. დღეს მე არც ერთი მოადგილე არ მყავს, ისევე, როგორც არც ერთ მინისტრს. მოადგილეები დასამტკიცებლად ახალ პრემიერს დღეს უნდა წარვუდგინო. რაც შეეხება საკადრო ცვლილებებს, იქნება, ბუნებრივია, ეს იქნება დეპარტამენტებსა და სამმართველოებში, ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური პროცესია. — განაცხადა სუბარმა.

# კახა კახიშვილი: „რამდენიმე მინისტრი შესაცვლელი იყო“

ნათია ხურცილავა

ექსპერტი კახი კახიშვილი მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით პრესასთან საუბრობს.



კახიშვილი მიიჩნევს, რომ პრემიერ ირაკლი ღარიბიშვილის მიერ მინისტრთა კაბინეტის უცვლელი შემადგენლობით წარდგენა, კოალიციაში ბალანსის შენარჩუნებას ემსახურება.

— არ მივიჩნევ, რომ ყველა მინისტრი იმსახურებდა მინისტრთა კაბინეტში დარჩენას. საჭირო იყო კონკრეტული ცვლილებები, ზოგიერთი სამინისტრო ინერციით მუშაობს. კაბინეტის უცვლელი შემადგენლობით დატოვება განპირობებულია იმით, რომ მმართველი გუნდი მრავალპარტიულია და კონკრეტული მინისტრის უკან კონკრეტული პოლიტიკური ძალა და პოლიტიკური ინტერესი დგას. შესაძლებელია, ცვლილებას მმართველ ძალაში დისბალანსი მოჰყოლოდა. — განაცხადა კახიშვილმა.

იგი მიიჩნევს, რომ მინისტრები აუცილებლად შეიცვლებიან თვითმმართველობის არჩევნებამდე, მას შემდეგ, რაც პარტია „ქართული ოცნება“ გაძლიერდება.

კახი კახიშვილი აცხადებს, რომ პროცესები სწორედ, პარტიის გაძლიერებისკენაა მიმართული, მათ შორის, ფრაქციის თავმჯდომარის შეცვლაც ამ მიზანს ემსახურებოდა.

როგორც ექსპერტმა საინფორმაციო სააგენტო „პირველის“ პრესკლუბში განაცხადა, ზოგიერთი მინისტრი თანამდებობას, ადრე თუ გვიან, აუცილებლად დატოვებს.

— კონკრეტული ცვლილებების განხორციელება აუცილებელი იყო. ზოგიერთი სამინისტრო ინერციით მუშაობდა ანუ გინდ ყოფილიყო მინისტრი, გინდ არა, ის მაინც გააგრძელებდა მუშაობას იმ ტემპებით, რა ტემპითაც კონკრეტული ხელმძღვანელობის პირობებში მუშაობდა. მინისტრების შეუცვლელობა განპირობებული იყო იმით, რომ კოალიცია მრავალპარტიულია, რთული პერიოდია, ამავდროულად, კონკრეტული მინისტრების უკან დგანან კონკრეტული პოლიტიკური ძალები, პოლიტიკური ინტერესები, შესაძლებელია, რომელიმე მინისტრის ცვლილებას კოალიციაში დისბალანსი მოჰყოლოდა, ამიტომ ვფიქრობ, რომ მინისტრთა კაბინეტის წევრები აუცილებლად შეიცვლებიან, ალბათ, მას შემდეგ, რაც პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ გაძლიერდება. ხედავთ, რომ პირველი გადაწყვეტილებები უფრო პარტიის გამაგრების მიზნით არის მიღებული — ფრაქციის ლიდერი შეიცვალა, ასევე, პარტიის ხელმძღვანელი რგოლი. როგორც კი პარტია გაძლიერდება, უფრო ადვილად მოხდება საკადრო გადაადგილებები მინისტრთა კაბინეტში, ალბათ, თვითმმართველობის არჩევნებამდე. — განაცხადა კახიშვილმა.

კახიშვილმა გუშინ ჟურნალისტებთან პროკურატურის როლზეც ისაუბრა. მას მიაჩნია, რომ პარლამენტმა პროკურატურის ადგილი უნდა განსაზღვროს.

როგორც ექსპერტმა განაცხადა, დღეს კანონმდებლობაში ნათლად არ არის ჩამოყალიბებული, ხელისუფლების რომელ შტოს მიეკუთვნება პროკურატურა.

კახიშვილი ასევე მიიჩნევს, რომ საგამოძიებო ორგანოს დამოკიდებულობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენისგან მისი გათავისუფლების უზრუნველსაყოფად კარგი იქნება, პროკურატურა სასამართლო ხელისუფლების ნაწილი იყოს.

— აქ ერთი მომენტია: არ არის ნორმალურად განსაზღვრული, პროკურატურის ადგილი ხელისუფლების რომელ შტოშია. დღეს პროკურატურა აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილია, იუსტიციის სამინისტროში შემავალი ერთ-ერთი რგოლი, მთავარი პროკურორი სახელმწიფო მოხელეების რანგით მინისტრის მოადგილესაც კი არ უტოლდება, ამიტომ ჩემი აზრით, პროკურატურის მიერ მხოლოდ კანონზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების უზრუნველსაყოფად საჭიროა, მისი სტატუსის ნორმალურად განსაზღვრა, ასევე, იმაზე მუშაობა, თუ რომელ სახელისუფლებო შტოში უნდა იყოს ის. მე მაინც ვფიქრობ, რომ პროკურატურის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა, რომ ის სასამართლო ხელისუფლებაში იყოს და არ ემორჩილებოდეს აღმასრულებელ ხელისუფლებას. აღმასრულებელ ხელისუფლებაში ყველა სამინისტროს ხელმძღვანელი არის პოლიტიკური თანამდებობის პირი, პირი, რომელიც არის მმართველი კოალიციის წარმომადგენელი, ამიტომ ბუნებრივია, რთულია, შეინარჩუნო დამოუკიდებლობა იმ დროს, როდესაც შენ ხარ პროკურორი და არ ხარ ხელისუფლების წევრი, მაგრამ ამავდროულად, გიწევს იმ უწყებებზე ზედამხედველობა, სადაც პირველი პირები პოლიტიკური გუნდის გამოკვეთილი ლიდერები არიან, ამიტომ ცუდი არ იქნებოდა, თუ საქართველოს პარლამენტი ამ საკითხზე იმსჯელებდა და პროკურატურის ადგილს განსაზღვრავდა. — განაცხადა კახიშვილმა.

ექსპერტს მიაჩნია, რომ პროკურატურა დღეს სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. კახიშვილმა განაცხადა, რომ პროკურატურას მუშაობა ერთი მხრივ, საქმეების გამოძიებაზე, მეორე მხრივ კი, პროკურორის ინსტიტუტის როლის ამაღლებაზე მოუწევს.

— პროკურატურა ძალიან სერიოზული გამოწვევის წინაშე დგას. ერთი მხრივ, ძველი, მიმდინარე საქმეები და მეორე მხრივ, გაფუჭებული საქმეები. ამაში ვგულისხმობ იმ საქმეებს, რომელთა გამოძიება დაიწყო და არასწორი მიმართულებით წავიდა წლების განმავლობაში, თუნდაც ახალი ხელისუფლების პირობებში. სისხლის სამართლის საქმის გაფუჭება ძალიან ადვილია, ყველა იურისტი, ვინც სისხლის სამართალში მუშაობს, დამეთანხმება, რომ შესაძლოა, გამოძიების პირველივე ეტაპზე ისე გააფუჭო სისხლის სამართლის საქმე, რომ შემდგომში ძალიან გართულდება ამ საქმის ფარგლებში ბრალეული პირების გამოკვეთა და მათი პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა სასამართლოში არსებითი განხილვის შედეგად. ამიტომ პროკურატურა ძალიან რთული ამოცანის წინაშე დგას. ამასთან, ბოლო პერიოდში მან დაკარგა საზედამხედველო ფუნქცია. სამწუხაროდ, ბოლო ერთი წლის განმავლობაში პროკურორებმა დაკარგეს რეალური საპროცესო ხელმძღვანელობის შესაძლებლობა, რამაც, ვფიქრობ, გარკვეული პრობლემა შექმნა გამოძიებაში მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამიტომ, გარდა იმისა, რომ პროკურატურა იქნება პასუხისმგებელი საკუთარ სისტემაში გამოძიების შედეგებზე, ამავდროულად, მან უნდა იმუშაოს პროკურორის ინსტიტუტის როლის ამაღლებაზე და უნდა უზრუნველყოს, რომ პროკურორები ნამდვილად იყვნენ საპროცესო ზედამხედველები და არა უბრალოდ, ხელს აწერდნენ საპროცესო დოკუმენტებზე. — აცხადებს კახიშვილი.

# ქვეყანაში დაკარგულად 2000 — მდე ადამიანი მიიჩნევა

საქართველოში ამ დრომდე 2 000 ადამიანი მიიჩნევა დაკარგულად, რომელთა ძებნაც დღემდე გრძელდება. ამ ადამიანებს შორისაა როგორც გასული საუკუნის 90-იანი წლების კონფლიქტების დროს დაკარგული პირები, ასევე 2008 წლის ომის დროს დაკარგული ადამიანებიც. ამის შესახებ გაზეთი „რეზონანსი“ წერს.

გამოცემის ინფორმაციითვე, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, საქართველოში 631 ადამიანია გაუჩინარებული, მათგან 194 პირი, 2010 წელსაა დაკარგული. სტატისტიკური მონაცემებით, ყველაზე მეტი ადამიანი 2011 წელს დაიკარგა – 198, 2012 წელს კი 156 ადამიანია დაკარგული. რაც შეეხება 2013 წლის, დღეს არსებული მონაცემით, სულ 83 ადამიანი ითვლება დაკარგულად.

შს სამინისტროს ინფორმაციით, ყველაზე ხშირად საქართველოში 25-დან 44 წლამდე ასაკის ადამიანები იკარგებიან. ბოლო ოთხ წელიწადში ამ კატეგორიის 225 ადამიანია დაკარგული.

ექსპერტ ვახტანგ მაისაიას განცხადებით კი, 2008 წელს სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ჯაშუშობის ეჭვითა თუ პოლიტიკური მიუღებლობის გამო, ასეული ადამიანია ლიკვიდირებული. მაისაიას აზრით, დაკარგული ადამიანების საქმეების ძიებისას, დიდი ალბათობით, ბევრი ყოფილი მაღალჩინოსნის სახელი ამოტივტივდება. ექსპერტის თქმით, ერთ-ერთი ასეთი ჩინოვნიკი, ვანო მერაბიშვილის ყოფილი პირველი მოადგილე ამირან მესხელი იქნება.

„2008 წელს ადამიანთა დაპატიმრება მასობრივად ხდებოდა, განსაკუთრებით კი კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ. ხდებოდა ადამიანების გატაცება ოფიციალური ბრალდებით, შემდეგ პოლიციაში მიჰყავდათ და მათ აწამებდნენ. ვინც წამებას ვერ უძლებდა, კვდებოდა და შესაბამისად, მათ გვამს ანადგურებდნენ. ისინი დღეს უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სიაში არიან“ — განაცხადა მაისაიამ.

ნიუსპრესი

# ლაშა ნაცვლიშვილი მთავარი პროკურორის მოადგილის თანამდებობიდან გადადგა



საქართველოს მთავარი პროკურორის პირველმა მოადგილემ ლაშა ნაცვლიშვილმა მთავარ პროკურორს ოთარ ფარცხალაძეს გადადგომის შესახებ განცხადებით მიმართა.

„დღეს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ახალი მთავარი პროკურორი დანიშნა. მიუხედავად იმისა, რომ „პროკურატურის შესახებ“ კანონი ასეთ შემთხვევებში არ ითვალისწინებს მთავარი პროკურორის მოადგილეთა უფლებამოსილების ავტომატურ შეწყვეტას, საჯარო სამსახურის ეთიკიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ უწყების ახალ ხელმძღვანელს უნდა მიეცეს სრული საკადრო თავისუფლება, რის გამოც მივმართე მას განცხადებით, დაკავებული თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე“ — განაცხადა ნაცვლიშვილმა.

ახალი პროკურორის მიერ მასშტაბური საკადრო ცვლილებების განხორციელების გეგმებზე ინფორმაცია ბოლო რამდენიმე დღეა ვრცელდება. ოთარ ფარცხალაძემ დღეს თავადაც დაადასტურა, რომ გარკვეულ საკადრო და სტრუქტურულ ცვლილებებს არ გამორიცხავს.

ნიუსპრესი

# დავით უსუფაშვილი: „წინ არის ძალიან დაძაბული შრომის 3 წელიწადი“



პარლამენტის თავჯდომარის დავით უსუფაშვილის შეფასებით, გუშინწინდელი დღე, როდესაც პარლამენტმა ახალ მთავრობას ნდობა გამოუცხადა, ქვეყნის ისტორიაში მნიშნელოვანია, რადგან ეროვნულ დონეზე ხელსიუფლების ფორმირების 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებით დაწყებული ციკლი დასრულდა.

„ჩვენ გვყავს უკვე პარლამენტი, არჩეული პრეზიდენტი, ნდობა გამოცხადებული მთავრობა და წინ არის ძალიან დაძაბული შრომის 3 წელიწადი“— განაცხადა უსუფაშვილმა.

პარლამენტმა 93 ხმით 19-ის წინააღმდეგ ირაკლი ღარიბაშვილის მინისტრთა კაბინეტს და მის მიერ წარდგენილ სამთავრობო პროგრამას ნდობა გამოუცხადა. ახალ მინისტრებს თანამდებობებზე ღარიბაშვილი უახლოეს დღეებში დანიშნავს.

ნიუსპრესი

# გრიპის ვირუსის გამოვლინება ჯერ არ ყოფილა

საქართველოში ამ სეზონზე გრიპის ვირუსის ჯერ არ გამოვლენილა. როგორც ,,მედიანიუსს“ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ხათუნა ზახაშვილმა განუცხადა, გრიპისმაგვარ დაავადებებზე ყოველდღიური დაკვირვება მიმდინარეობს, მაგრამ ამ მხრივ ჯერჯერობით სიმშვიდეა.

გრიპის სეზონი იწყება მეორმოცე კვირიდან, მაგრამ საქართველოში ჯერ გრიპის ვირუსი არ ყოფილა.

,,შარშან იანვარში გვქონდა გირპის ვირუსის შემთხვევების მატების ტალღა, ჯერჯერობით ერთეული შემთხვევებიც არ ჩანს. საერთოდ საქართველოში უფრო ტიპიური არის მატება თებერვალში. ასე იყო 2009 წლის პანდემიამდე, პანდემიის შემდგომ წინ გადმოინაცვლა ტალღურმა პერიოდმა და წელს ვნახოთ, როგორ იქნება“, —განაცხადა ხათუნა ზახაშვილმა.

მისი თქმით, ვაქცინაცია რეკომენდირებულია მთელი მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით კი მაღალი რისკის კატეგორიის ადამიანებისთვის, ბავშვებისთვის, მოხუცებისთვის, ორსულებისთვის და ქრონიკული დაავადების მქონე პირებისთვის.

,,ჯერჯერობით ვაქცინაცია ფასიანია, თუმცა სახელმწიფოს აქვს გადაწყვეტილება, რომ განსაკუთრებული კონტინგენტისთვის შეიძინოს ვაქცინა. ეს იგეგმება წელს, მაგრამ ეს იქნება მცირე კონტინგენტი და არა ფართო. ვაქცინაცია შესაძლებელია პოლიკლინიკებში, იმუნიზაციის ცენტრში, ექსპრესკლინიკაში“, — აღნიშნა ზახაშვილმა.

მედიანიუსი

# ავღანეთში სამხედრო ოპერაციის დროს ქართველი სამხედროების ჯავშანმანქანა აფეთქდა

ჰელმანდის პროვინციაში, „რეგიონალური სარდლობა სამხრეთ დასავლეთის“ დაქვემდებარებაში მყოფმა ბათუმის ცალკეულმა მსუბუქმა ქვეითმა ბატალიონმა, ნოუზადის რაიონში სამხედრო ოპერაცია ჩაატარა.

კოდური სახელით – „სემკეპი“ ჩატარებული ოპერაციის მთავარი მიზანი, პასუხისმგებლობის რაიონში თალიბების თავისუფალი გადაადგილების აღკვეთა, ბუფერული ზონების შექმნა, „წითელი გზის“ დაცვის გაძლიერება და ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა იყო.

ბათუმის ბატალიონის – „ალფა“ და „ჩარლი“ ასეულების ჯარისკაცებმა, ამერიკელ საზღვაო ქვეითებთან ერთად, ოპერაცია დილის 9 საათზე დაიწყეს. სამხედრო მოქმედება ოთხ ფაზად დაიყო.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სოფელ შინ კარეზში ჩატარებულ ოპერაციას ქართული დანაყოფისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან დასახლებულ პუნქტში თალიბების კინეტიკური აქტიურობა საშუალო დონემდე იყო მისული და საჭირო გახდა ერთგვარი ძალის დემონსტრირება. სოფელში შესვლის დროს, ქართველი სამხედროები ერთ-ერთ მოსახლეს გაესაუბრნენ და ადგილობრივების პრობლემები მოისმინეს.

სოფლის უხუცესებთან შეხვედრისას (შურა), ქვეითი პატრულის უსაფრთხოების უზრუნველყოფით დაკავებული ქართველების ჯავშანმანქანათვითნაკეთ ასაფეთქებელ ნივთიერებაზე აფეთქდა. თუმცა, ეკიპაჟის არცერთი წევრი არ დაშავებულა. ოპერაციის მეთაურის ბრძანებით, უსაფრთხოების გაძლიერებისთვის ბათუმის ბატალიონის სწრაფი რეაგირების ძალები და გამნაღველთა ჯგუფი გამოიძახეს, ხოლო პირადმა შემადგენლობამ აფეთქებული მანქანის გარშემო უსაფრთხოება უზრუნველყო. ტერიტორიის განაღმვის შემდეგ, მანქანის ბაზაზე ევაკუირება მოხდა.

ოპერაცია „სემკეპი“ 7 საათის განმავლობაში გაგრძელდა და წარმატებით დასრულდა. კომბინირებული ოპერაციაში ქართველების ორ ოცეულთან ერთად, ამერიკელ საზღვაო ქვეითთა „ქართული მეკავშირე ჯგუფისა“ და საცეცხლე მხარდაჭერის (საჰაერო, საზღვაო საარტილერიო) „ანგლიკო“ ჯგუფის სამხედროები მონაწილეობდნენ. ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეებს ძირითადად მხარდამჭერის ფუნქცია ჰქონდათ. მათ საჭიროების შემთხვევაში დროულად უნდა გამოეძახათ სამედიცინო ევაკუაცია და საცეცხლე მხარდაჭერა. ჯავშანმანქანების გარდა, ქართველი და ამერიკელი ჯარისკაცების უსაფრთხოებას ჰაერიდან „სუპერ კობრა“ და იროკეზიანკი მოდელის ვერტმფრენები უზრუნველყოფდნენ.

**ნიუსპრესი**

# ჯონ მაკკეინი: „არ შეიძლება ითქვას, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი და მისი მთავრობა ყოველთვის საუკეთესოები იყვნენ“

საქართველოში არსებული ვითარება და „აღმოსავლეთ პარტნიორობის ვილნიუსის“ სამიტის საკითხები მარშალის ფონდში განიხილეს.



ფონდის ვაშინგტონის სათაო ოფისში გამართულ შეხვედრაში აშშ-ს კონგრესის, სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსნები, აშშ-ში საქართველოს საკითხზე მომუშავე ანალიტიკოსები და ევროპელი დიპლომატები მონაწილეობდნენ.

თბილისიდან კი, მასზე მოხსენებებისთვის „თავისუფალი უნივერსიტეტის“ ხელმძღვანელი კახა ბენდუქიძე, პოლიტოლოგი გია ნოდია იყვნენ მიწვეული. შეხვედრას საქართველოს ყოფილი ელჩი აშშ-ში თემურ იაკობაშვილიც ესწრებოდა.

მარშალის ფონდის კონფერენცია სენატორმა ჯონ მაკკეინმა გახსნა, რომელმაც საქართველოს წინა მთავრობის დამსახურებებზე ისაუბრა, თუმცა აღნიშნა, რომ მიხეილ სააკაშვილს შეცდომებიც ჰქონდა.

„არ შეიძლება ითქვას, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი და მისი მთავრობა ყოველთვის საუკეთესოები იყვნენ. ჩვენ ვაღიარებთ მათ დაშვებულ შეცდომებსაც და „ვარდების რევოლუციიდან“ ათი წლის მანძილზე ნათელია, რომ ქართულმა ხალხმა გადადგა ცვლილებებისთვის კიდევ ერთი ნაბიჯი. ქართველ ხალხს ახალი ხელისუფლების დიდი მოლოდინი აქვს, თუმცა ბოლოდროინდელი მოვლენები არ არის ისეთი, როგორსაც ჩვენი აზრით, ხალხი ელოდა და იმსახურებდა. ყოფილი მთავრობის ზოგიერთი ყოფილი წევრის დაკავება და გასამართლება ჩანს, რომ შერჩევითი და პოლიტიკურად მოტივირებულია. მართალია, სამართლიანობა უნდა აღდგეს, მაგრამ ისე, რომ დემოკრატიის პრინციპები არ დაირღვეს“– განაცხადა სენატორმა.

კონფერენციაზე კარნეგის ცენტრის ანალიტიკოსმა თომას დე ვაალმა თომას ჰამერბერგის მოხსენებიდან, წინა ხელისუფლების დროს ელიტურ კორუფციასთან დაკავშირებით ამონარიდი წაიკითხა – „მმართველი პარტია, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ აკონტროლებდა პარლამენტს. ასევე, ცენტრალურ და ადგილობრივ ადმინისტრაციას. მიწის და სხვა კერძო საკუთრების კონფისკაცია ხდებოდა და საშუალება ამის გასაჩივრების იყო მცირე ან საერთოდ არ არსებობდა. სახელმწიფოს კერძო საკუთრება გადაეცემოდა ზეწოლის ან შიშის საფუძველზე. იყო საჩივრები ელიტურ კორუფციაზე“.

კახა ბენდუქიძეს თქმით კი, ელიტური კორუფცია ან არ არსებობდა ან ამჟამინდელი შინაგან საქმეთა სამინისტრო იმდენად სუსტია, რომ მტკიცებულებები ვერ იპოვა.

„დარწმუნებით საუბრობენ, რომ არსებობს ელიტური კორუფცია, მაგრამ თითქოს ის დამალულია. ეს იგივეა, რომ თქვა ამ ოთახში თქვენს უკან ნიანგები არიან და რომ შეხედავთ გაქრებიანო. წელიწადზე მეტია ახალი მთავრობა აკონტროლებს პროკურატურას, შინაგან საქმეთა სამინისტროს და ფინანსურ პოლიციას. აქამდე გვაქვს მხოლოდ ორი შემთხვევა ელიტურ კორუფციაზე. აქედან გამომდინარე, არის ორი სავარაუდო პასუხი – ელიტური კორუფცია ან არ არსებობდა ან არსებობდა და ახალი მთავრობის შინაგან საქმეთა სამინისტრო და ფინანსური პოლიცია იმდენად სუსტები არიან მტკიცებულებებს ვერ პოულობენ“– განაცხადა ბენდუქიძემ.

შეხვედრას შეერთებული შტატების მდივნის თანაშემწე ერიკ რუბინიც ესწრებოდა, რომელმაც განაცხადა, რომ ამერიკის ადმინისტრაცია მხარს უჭერს საქართველოს ევროკავშირთან დაახლოებას და ვილნიუსის სამიტზე ევროკავშირთან ასოცირების და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების პარაფირებას.

ვაშინგტონში გამართული შეხვედრის შესახებ ინფორმაცია ტელეკომპანია „რუსთავი2“-მა გაავრცელა.

**ნიუსპრესი**

# „საქართველოს კონსტიტუცია დაბალანსებელია“

*თამარ ნინიძე*

საქართველოს კონსტიტუცია რომ სერიოზულ ცვლილებებს საჭიროებს, ეს სადავო საკითხი არ არის. პარლამენტში იქმნება კონსტიტუციაზე მომუშავე კომისია, რომელშიც შევლენ დეპუტატები, იურისტები, კონსტიტუციონალისტები, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, პოლიტიკური პარტიების წევრები და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები. კონსტიტუციაში სამხედრო საკითხებთან და პრეზიდენტის უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით შენიშვნები აქვს სამხედრო ძალების ვეტერანს, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის დაზვერვის სამმართველოს ყოფილ თანამშრომელ ალექსანდრე ტოლსტოის. „ახალი თაობა“ ალექსანდრე ტოლსტოის ესაუბრა.

– კონკრეტულად რა შენიშვნები გაქვთ კონსტიტუციაში იმ ნაწილთან დაკავშირებით, რომელიც სამხედრო საკითხებს ეხება?

– 2012 წლის 17 ნოემბრიდან მოყოლებული, ცხარე დებატებია ტელევიზიითა და პრესით პრეზიდენტის უფლებებსა და მოვალეობებზე. სამხედრო ძალები, როგორც ასეთი, არ არსებობს. თუ გაგიგონიათ ოდესმე, სად არის განლაგებული სამხედრო ძალების მმართველობა? სად არის დისლოცირებული სამხედრო ძალების გენერალური შტაბი? რატომ არ იყო 2008 წელს დანიშნული სამხედრო ძალების გენერალური შტაბის უფროსი? კონსტიტუცია დაირღვა. დღესაც არავინ კითხულობს, რატომ არ გააჩნია სამხედრო ძალების მთავარსარდალს დებულებები. 2008 წლის აგვისტოს ომის მოვლენების შემსწავლელ კომისიას არ გახსენებია, ჩვენება ჩამოერთმია სამხედრო ძალების გენერალური შტაბის უფროსისთვის. კანონით საქართველოს თავდაცვის შესახებ სამხედრო ძალები შედგება შეიარაღებული ძალებისა და სასაზღვრო პოლიციისგან. საკითხავია, რა უფლებები აქვს სასაზღვრო პოლიციას, რომ იტვირთოს ქვეყნის დაცვა. ყველა სხვა ქვეყანაში ტერიტორიული მთლიანობის დაცვა ევალებათ სამხედრო ძალებს. სხვა უწყებები შედიან შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში საომარი მდგომარეობის გამოცხადების დროს. ჩვენთან სამხედრო ძალები არ არსებობს და საჭირო არ არის სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობა. 17 ნოემბრიდან გენშტაბი გაუქმებულია და გადადის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში. სამხედრო ძალები დარჩა მართვის ორგანოს გარეშე. ვინ უნდა დაუსახოს ოპერაციები და ამოცანები ამ სამხედრო ძალებს? არავინ დარჩა.

კონსტიტუციით პრეზიდენტი ნიშნავს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს. ახალი კონსტიტუციით ეროვნული საბჭოს წევრებად ითვლებიან პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, შს მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, ფინანსთა მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი და უშიშროების საბჭოს მდივანი. ამ შვიდი წევრიდან ხუთს ნიშნავს პრემიერ-მინისტრი. პრეზიდენტს წართმეული აქვს ყველა უფლება, პრეზიდენტს არა აქვს ელჩების მიღების უფლება, სხვა სახელმწიფოებთან მოლაპარაკებების უფლება არა აქვს მთავრობის ნებართვის გარეშე. განსაკუთრებული ყურადღება მინდა მივაქციოთ კონსტიტუციის 50-ე, 73-ე და მეასე მუხლებს. მაგალითად, პრეზიდენტმა გამოაცხადა საომარი მდგომარეობა ქვეყანაში. ხომ მოგეხსენებათ, ეს რა არეულობას გამოიწვევს, მით უმეტეს, რომ ეს ცხადდება ყოველ ორ საათში ერთხელ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. საკითხავია, რას მოიმოქმედებენ ამ ვითარებაში ჩვენი მეზობელი ქვეყნები და პირველ რიგში – რუსეთი. უშუალო აგრესიის შემთხვევაშიც კი რუსეთს უფლება აქვს, ჩაებას ჩვენთან საომარ მოქმედებებში.

– კონსტიტუციის აღნიშნული მუხლები, თქვენი აზრით, გაუმართავი და შინაარსობრივად შეუსაბამოა?

– დიახ, კონსტიტუცია ანიჭებს უფლებას პრეზიდენტს, გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა, მაგრამ 48 საათის განმავლობაში შეაქვს თავისი გადაწყვეტილება პარლამენტში დასამტკიცებლად. სხვა მეზობელ ქვეყნებს ეს შეაქვთ დაუყოვნებლივ. ქვეყანა უნდა მოემზადოს საომარი მდგომარეობისთვის, ყველაფერი წინასწარ მზადდება. ამის გარეშე შეუძლებელია, ისეთი დაზვერვა არსებობს მსოფლიოში, რომ მოუმზადებლად არაფერი კეთდება. პარლამენტი შეკრებიდან კიდევ 48 საათის განმავლობაში იხილავს ამ გადაწყვეტილებას, დაამტკიცოს თუ არა საომარი მდგომარეობა. საომარი მდგომარეობა უნდა გაუქმდეს, თუ 48 საათის განმავლობაში პარლამენტი პრეზიდენტის ამ გადაწყვეტილებას არ დაამტკიცებს. გამოდის, რომ პრეზიდენტი არასერიოზული ადამიანია. თუ აცხადებს ამ გადაწყვეტილებას, მაშინ ნათლად უნდა ჩანდეს, რის საფუძველზე აცხადებს, სად არიან დაზვერვა, კონტრდაზვერვა, უშიშროების საბჭო, ანალიტიკოსები. ამიტომ ამ მუხლის ასეთი ფორმულირება ძალიან სახიფათოა ქვეყნისთვის. თუ პარლამენტი არ შეიკრიბება ხუთი დღის განმავლობაში ან არ დაამტკიცა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულება, მაშინ გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა უქმდება. რას ნიშნავს, როცა სახელმწიფოს მეთაური აცხადებს საგანგებო მდგომარეობას, მაგალითად, სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის დახმარების აღმოსაჩენად და პარლამენტი ამ დროს არ იკრიბება. ამ პუნქტში პარლამენტი გამოდის, როგორც საბოტაჟის მომწყობი და გულგრილი ორგანო. ეს მუხლი უნდა ამოიღონ კონსტიტუციის ამ რედაქციიდან. საერთოდ შესაცვლელია კონსტიტუცია. სამხედრო ხაზით ეს მუხლები დანაშაულებრივია. ეს ქვეყნის სისუსტეს ნიშნავს. სხვა ქვეყნებში საომარი მდგომარეობის გამოცხადება ნიშნავს სამხედრო ძალის გამოყენებას.




– პრეზიდენტისა და სხვა თანამდებობის პირების ფიცის დადებასთან დაკავშირებითაც მინდოდა მეკითხა თქვენ ამაზეც გაქვთ შენიშვნები?

– ფიცის დადების ცერემონიალთან დაკავშირებით გამოვიკვლიე სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკა, ასევე ისტორიული ნარკვევები მოვიშველიე, თამარ მეფის დროს როგორ იდებოდა ფიცი. საქართველო ფიცის დამდები პირველი პირების სიაში არ არის. როცა ფიცის დადების ცერემონიალი ხორციელდება, წარმოითქმება სიტყვა: „ვფიცავ“. ამით პასუხისმგებლობას იღებენ თანამდებობის პირები. „ვფიცავ და საზეიმოდ ვაცხადებ ღვთისა და ერის წინაშე“ – ამ სიტყვებით დაიწყო ზვიად გამსახურდიამ ფიცის დადების ცერემონიალი. მე მაინტერესებს, რატომ შეიცვალა 1995 წლის კონსტიტუციაში სიტყვა „ვფიცავ“ სიტყვით „ვაცხადებ“. შევარდნაძემ ამით, ფაქტობრივად, პასუხისმგებლობა მოიხსნა. მე პირადად შევხვდი ავთანდილ დემეტრაშვილს, ვუთხარი, რომ ეს არასწორი დაფიცებაა. ლიტვის კონსტიტუციაში კონკრეტული მოთხოვნაა ჩადებული სეიმის წევრებისადმი, რომ სეიმის წევრი, რომელიც არ დადებს ფიცს კანონის შესაბამისად ან ფიცს პირობითად დადებს, კარგავს სეიმის წევრის მანდატს. საქართველოს პარლამენტის წევრებს, ჩემი აზრით, რადგან ფიცი არ დაუდიათ, დაკარგული აქვთ მანდატი. მე ვაკრიტიკებ ვენეციის კომისიას, იმიტომ რომ ბევრი მუხლი ჩვენს კონსტიტუციაში არასწორად არის ფორმულირებული და ეს ნაწილობრივ ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გამოა. იტალიის პრემიერი და პრეზიდენტი ფიცის დადების დროს აცხადებენ, ვფიცავთ. რომ ვიქნებით რესპუბლიკის ერთგული და დავიცავთ კონსტიტუციას და კანონებსო.

აი, ასეთი დაუბალანსებელი, გონიერებას მოკლებული კონსტიტუცია მივიღეთ ჩვენ ვენეციის კომისიის დახმარებით 2004 და 2010 წლებში მასში შეტანილი ცვლილებების შედეგად.

# თელავში მამაკაცის დაჭრაში ეჭვმიტანილი პოლიციამ დააკავა

სამართალდამცველებმა თელავში, განზრახ მკვლელობის მცდელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით, 36 წლის მამაკაცი დააკავეს. მან ცეცხლსასროლი იარაღიდან თანამოქალაქეს ესროლა.

ინციდენტი გვიან ღამით , თელავში ნადიკვრის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე კაფეში მოხდა. დაჭრილია თელავში მცხოვრები ზურაბ გოგნაძე, რომელიც თელავის საავადმყოფოში გადის მკურნალობას. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

გავრცელებული ინფორმაციით, მხარეებს შორის კონფლიქტი რამდენიმე წლის წინ დაიწყო. ზურაბ გოგნაძემ 11 წლის წინ ვახტანგ ბუცხრიკიძის ძმა მოკლა და ამისთვის სასჯელიც მოიხადა. ეჭვმიტანილი ამჟამად წინასწარი დაკავების იზოლატორშია გადაყვანილი.

**ნიუსპრესი**

# კახა კუკავა: „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე უნდა გაგრძელდეს“

თბილისის საკრებულოს ადამიანის უფლებათა კომისიის სხდომაზე, პროექტი „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“ და ამ პროექტთან დაკავშირებით 2014 წლის თბილისის ბიუჯეტში გასათვალისწინებელი თანხების საკითხი განიხილეს.

სხდომაზე კომისიის თავმჯდომარე კახა კუკავა სხდომაზე სიტყვით გამოვიდა. მისი განცხადებით, პროექტი „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“, რომელიც დედაქალაქის ინფრასტრუქტურის განახლებას, კულტურული მემკვიდრეობის მოვლას და დაცვას ითვალისწინებს, აუცილებლად უნდა გაგრძელდეს მომავალშიც.

„საჭიროა 2014 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყოს შესაბამისი თანხები“ – აღნიშნა კუკავამ.

მისივე განცხადებით, მას შემდეგ, რაც ბიუჯეტში პროექტის გაგრძელებისთვის საჭირო თანხები ჩაიდება, მისი განხორციელების ფორმატზე კომისია დარგობრივ სამსახურებთან ერთად იმუშავებს.

**ნიუსპრესი**

# ირაკლი ღარიბაშვილმა შს მინისტრად ალექსანდრე ჭიკაიძის დანიშვნას ხელი მოაწერა



პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე ალექსანდრე ჭიკაიძის დანიშვნის შესახებ ბრძანებას ხელი უკვე მოაწერა. დოკუმენტი სოციალურ ქსელში, ალექსანდრე ჭიკაიძის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა.

ჭიკაიძე იმ მინისტრთა კაბინეტის ერთადერთი ახალი წევრია, რომელსაც პარლამენტმა გუშინწინდელ პლენარულ სესიაზე ნდობა გამოუცხადა. მთავრობის ყველა მინისტრის ოფიციალურად დანიშვნას ხელს პრემიერი აწერს.

**ნიუსპრესი**

# სოლომონ პავლიაშვილი: „2014 წელს დიდი ეკონომიკური წინსვლის იმედი არ უნდა გვქონდეს“

შორენა კოწოწაშვილი

**რატომ იგვიანებს ინვესტიციები, ეწინააღმდეგებიან თუ არა საპარლამენტო უმრავლესობაში ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნას და უნდა შეეცვალა თუ არა პრემიერ ღარიბაშვილს ეკონომიკური გუნდის მინისტრები? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის" რექტორთან, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორთან, ეკონომიკურ ექსპერტ სოლომონ პავლიაშვილთან.**

***– ბატონო სოლომონ, ფაქტია, ახალი პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი კვლავ ძველი ეკონომიკური გუნდით წარდგა პარლამენტის წინაშე ახალ პოლიტიკურ რეალობაში. სწორი გადაწყვეტილება მიიღო მან ეკონომიკური გუნდის არშეცვლით იმ ფონზე, როცა შემოსავლების კუთხით ბიუჯეტში 800-მილიონიანი გარღვევაა?***

– ვერ ვიტყოდი, რომ ეს ძალიან ძველი გუნდია. კოალიციური ხელისუფლება, შესაბამისად, ეს მინისტრებიც მხოლოდ ერთი წელია, ხელისუფლებაში არიან, ამიტომ ძველ და ახალ გუნდზე ლაპარაკი ძალიან ძნელია. ახლა მინისტრთა კაბინეტის მნიშვნელოვნად შეცვლა, გარკვეულწილად, ასეთი რადიკალური ცვლილებების გატარება სამთავრობო შემადგენლობაში შეიძლება უარყოფითი ეფექტის მომტანიც ყოფილიყო, იმიტომ რომ ეს მთავრობა, რომელიც ივანიშვილმა დააკომპლექტა, გარკვეულად, შეთანხმებულად მუშაობს. ჯერ ერთი, ბიუჯეტის პრობლემები მარტო ეკონომიკურ გუნდს არ უნდა დავაბრალოთ, ეს მხოლოდ მათი მიზეზით არ მომხდარა. ამის ძირითადი ფაქტორი იყო მთელი რიგი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები. უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ის, რომ შეიცვალა მმართველი პოლიტიკური ძალა და ამ დროს თვითმმართველი ერთეულები, რეგიონები ისევ ძველი ხელისუფლების, ნაციონალური მოძრაობის, განკარგულებაში დარჩნენ. ახალი პოლიტიკური ძალის შეცდომა ან მოუხერხებლობა, შეიძლება ითქვას, ის არის, რომ მათ ვერ მოახერხეს, თავი აერიდებინათ ან გადაელახათ ის გარკვეული საბოტაჟის ელემენტები, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლება ახორციელებდა. ეს არის არა მარტო ეკონომიკური გუნდის, არამედ მთლიანად ამ მთავრობის მუშაობის შედეგი. სუბიექტურმა და ობიექტურმა მიზეზებმა ერთობლიობაში განაპირობა საბიუჯეტო შემოსავლების კუთხით კლება. ფაქტია, ახალი ხელისუფლება სინქრონიზებულად ვერ იმუშავებდა ადგილობრივ ხელისუფლებასთან ანუ იმ ხელისუფლებასთან, რომელსაც ისევ ძველი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები მართავდნენ. ვიმეორებ, ეს უფრო ცენტრალური ხელისუფლების მიზეზია, ვიდრე ადგილობრივის. მათ ისე უნდა ემოქმედათ, რომ ნაციონალებს ან ვერ გაებედათ საბოტაჟი, ან კიდევ ეს წინააღმდეგობები გადაელახათ. უამრავი ფაქტის მოყვანა შემიძლია იმის დასადასტურებლად, რომ ეს ეკონომიკური ჩავარდნა იყო სწორედ ხელისუფლების შტოებს შორის წინააღმდეგობის შედეგი.

***– ამ ჩავარდნის მიზეზი პოლიტიკური ნების არქონაც იყო? ხელისუფლებამ იცოდა, რომ ბიზნესს ნაციონალები აკონტროლებდნენ და შეეძლოთ, ნებისმიერ დროს საბოტაჟზე წასულიყვნენ.***

– რა თქმა უნდა, პოლიტიკური ნება შეიძლება იყო სუსტი, მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ შიდა პოლიტიკური ორიენტაციიდან გამომდინარე. აქ მმართველი პოლიტიკური ძალის მიერ, ალბათ, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ის ზოგადი რეკომენდაციები, რომლებსაც ევროპა და ამერიკა იძლეოდნენ.

***– მინისტრობის კანდიდატთა მოსმენისას საპარლამენტო უმცირესობის წევრებმა აღნიშნეს, რომ მუდმივად იყო საუბარი ნაციონალების ხელისუფლების დროს ელიტური კორუფციის არსებობაზე, მაგრამ ამ ერთი წლის მანძილზე ამის დასადასტურებლად ერთი საქმეც კი ვერ დაიდო. მართლაც ძნელია ელიტური კორუფციის ფაქტების დადება თუ დასავლეთის ინტერესები იწევს წინა პლანზე?***

– აქ უდავოდ მნიშვნელოვნად გათვალისწინებულია დასავლეთის რეკომენდაციები. ელიტურ კორუფციასთან დაკავშირებით, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო ის ფაქტებიც კმარა, რომელზეც წლების განმავლობაში ის ხალხი საუბრობს, ვისაც ამის ანალიზი შეუძლია. ელიტურმა კორუფციამ და მონოპოლიებმა მოიცვა



არამარტო ერთი სექტორი, ვთქვათ, ფარმაცია, ახლა უფრო მეტად არის სხვა სფეროებზე გადასული, იგივე სამშენებლო ბიზნესი, საბანკო სექტორი. შეიძლება ითქვას, გარკვეულად, სხვა სფეროებშიც გადავიდა ეს მონოპოლიები. ხელისუფლება გვპირდებოდა, რომ რაღაცნაირად ამ მონოპოლიებს დაშლიდა, დაამარცხებდა და ეს ფასებზე დადებით გავლენას იქონიებდა, თუმცა ეს ამ ხელისუფლებამ ვერ შეძლო. ჯერ ამ მიმართულებით მუშაობა არც კი დაწყებულა. ამ შემთხვევაში არის არა მარტო გარე ფაქტორი, არამედ ის სისუსტეებიც, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების მუშაობაში გამოჩნდა. ჩვენ არ უნდა გვეგონოს, რომ ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნით ხვალვე ფასები დაიწევს, მაგრამ პრევენცია აქამდე უნდა დაწყებულიყო. ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნა დაგვიანდა, თორემ არავის აქვს იმის ილუზია, რომ ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნით ან ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ჩამოყალიბებით ნავთობზე, სადაზღვევო ან საბანკო სექტორზე რაიმე რადიკალური ცვლილებები მოხდება, მაგრამ ჩვენ აქეთ უნდა ვიაროთ. პრევენციამ ის შედეგი უნდა მოიტანოს, რომელიც ყველას სჭირდება – საზოგადოებასა და მომხმარებელს.

***– ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობაზე გარკვეული ჯგუფი მუშაობდა. ხელისუფლებამ ანტიმონოპოლიურ სამსახურზე უარი თქვა თუ დროებით შეჩერდა იმ მუშა ჯგუფის საქმიანობა?***

– არა, უარი არ თქვა. აქ რამდენიმე ჯგუფი მუშაობდა, მათ შორის ერთში მეც ვიყავი რამდენჯერმე მიწვეული. ძალიან საინტერესო კანონპროექტებია, მაგრამ საბოლოოდ ამ კანონპროექტების შეჯერება არ მოხდა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, გარკვეულ ზღვარზეა მისული ამ კუთხით მუშაობა და კანონპროექტი პარლამენტშია შეტანილი. დარწმუნებული ვარ, ამ კანონს მიიღებენ. მთავარია არა მარტო ამ კანონის მიღება. ჩვენ გვქონდა ანტიმონოპოლიური სამსახური. სხვათა შორის, ინსტიტუციონალურად ძალიან წინ ვიყავით, მაგრამ მაშინ სუსტი პოლიტიკური ნება იყო. მთავარია, ხელისუფლებაში იყოს პოლიტიკური ნება, რომ ამ სამსახურმა იმუშაოს. ანტიმონოპოლიური სამსახური უნდა იყოს ძალიან დამოუკიდებელი, იმდენად დამოუკიდებელი, რომ დაახლოებით ეროვნული ბანკის სტატუსი ჰქონდეს. არ ვიცი, ეს ორგანული კანონით დარეგულირდება თუ ჩვეულებრივით, მაგრამ მთავარია, ანტიმონოპოლიური სამსახურის დამოუკიდებლობა ყველას აწყობდეს – აღმასრულებელ ხელისუფლებას, საკანონმდებლო ხელისუფლებას, პოლიტიკურ ძალებს. ამასთან, ანტიმონოპოლიური სამსახურის ხელმძღვანელი ძალიან დამოუკიდებელი პიროვნება უნდა იყოს, პიროვნულად ძალიან ძლიერი, რომ პოლიტიკური ძალის გავლენის ქვეშ არ მოექცეს, თორემ მარტო ამ სამსახურის არსებობა და მისი შექმნა ვინმეს დასანახად, იცით, რომ დიდი ხანია საერთაშორისო ორგანიზაციები ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნას ითხოვენ, ეს არაფერი შედეგის მომტანი არ იქნება.

***– ითქვა, რომ ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსობის ერთ-ერთ კანდიდატად თქვენი კანდიდატურა განიხილებოდა. შემოთავაზება მართლაც მიიღეთ?***

– მიუხედავად იმისა, რომ მართაც ბევრი მიმუშავია როგორც სამეცნიერო კუთხით, ასევე აქტიურად გამოვთქვამდი ჩემს პოზიციას ანტიმონოპოლიური სამსახურის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით პრესითა და ტელევიზიით, რაიმე რეალური შემოთავაზება არავისგან ყოფილა. არ ვიცი, თუ სადმე კულუარებში განიხილება ჩემი კანდიდატურა, ეს ჩემთვის უცნობია. შემოთავაზების შემთხვევაში, ვფიქრობ, ჩემი მხრიდან თანხმობა იქნება, რადგან ვიცი, როგორ უნდა იმუშაოს ეფექტურად ამ სამსახურმა.

***– ეკონომისტების ნაწილის თქმით, მმართველ გუნდშიც გამოუჩნდნენ ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნას მოწინააღმდეგეები. ასეა?***

– ეს შეიძლება ღიად არ ჩანს, მაგრამ ნამდვილად არის პოლიტიკური ჯგუფების დაინტერესება. ყოველ შემთხვევაში ფაქტი სახეზეა, რომ ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნამ, დაიგვიანა. საზოგადოება დიდი ხანია ამ სამსახურის მოლოდინშია. ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნით ნურავინ იტყვის, რომ საწვავზე ფასები განახევრდება. ენერგოტარიფები დაიწევს და ა.შ. ერთი რამ არის კიდევ: ეს ხელისუფლება ხშირად, პოპულისტური განცხადებების გამო, სხვა ვალდებულებებსაც წამოეგო. იგივე, როცა „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოდიოდა, მას თავის თავზე არ აუღია, რომ საბჭოთა ანაბრების საკითხზე ისინი რაიმე პასუხისმგებლობას იღებდნენ, თუმცა შემდგომში ამ დისკუსიაში ჩაერთო. ასევე იპოთეკით დატვირთულ სესხებზეც პასუხისმგებლობა, გარკვეულწილად, ხელისუფლებამ თავის თავზე აიღო. კიდევ არის მესამე თემა – კოოპერატიული ბინათმშენებლობები. ამაზე გარკვეული ვალდებულება სახელმწიფოს მიერ კი იყო აღებული, მაგრამ... კიდევ არის ძალიან მტკივნეული თემა წართმეული ქონების შესახებ. აქაც მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფომ იმ მოვალეობებისა და ვალდებულებების შესაბამისად უნდა იმოქმედოს, რომლებიც აქვს და ამაზე მეტი თავის თავზე არ უნდა აიღოს. მარტივად რომ ვთქვათ, სახელმწიფოს არ შეუძლია, იმ ათი ათასამდე ადამიანის ზარალი აანაზღაუროს, რომლებიც წინა ხელისუფლების დროს დაზარალდნენ. ქონების ჩამორთმევის თითოეული საკითხი ცალკეა შესასწავლი. ამასთან, ეს ძალიან საფრთხილო თემაა. სახელმწიფომ აქ მხოლოდ კანონით გათვალისწინებული ფუნქციები უნდა შეასრულოს ანუ ის ადმინისტრაციული წესით განახორციელოს თუ სისხლის სამართლის კანონმდებლობით და ამ რეგულაციებში მოექცეს. იმის იქით სახელმწიფომ ფინანსური ვალდებულებები არ უნდა აიღოს. ეს ძალიან რთული თემებია, ამიტომ სამართლიანობის აღდგენა სახელმწიფოს ამ კუთხით რომ მოვთხოვოთ, მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს ფუნქცია უნდა იყოს კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციების განხორციელება და არა ის, რომ ფინანსურ ვალდებულებებს სახელმწიფო გადაიხდის. თუ ეს ქონება, პირობითად, სახელმწიფოს არ გამოუყენებია და სახელმწიფოს არ გააჩნია, ერთი მარტივი მაგალითია: თუ სახელმწიფომ ჩამოართვა რომელიმე კერძო სამართლის იურიდიულ პირს ან ფიზიკურ პირს და ახლა სახელმწიფოს ქონებას წარმოადგენს, იმის დაბრუნება, რა თქმა უნდა, გარკვეული პროცედურებით შეიძლება, მაგრამ ეს დაბრუნებაც ძალიან რთულია. ახლა უნდა მოხდეს პირდაპირი მიყიდვის წესით განხორციელება. ამას მთავრობა სჭირდება. ეს საქმე ყველა პროცედურის დაცვით არის განსახორციელებელი. ამიტომ მე ამის გაკეთება ძალიან რთულად მეჩვენება, თუმცა ეს საქმე დასაწყებია, თანაც ამაში სახელმწიფოს ძლიერი პოლიტიკური ნება უნდა ჰქონდეს, რომ ყველა თემა დეტალურად შეისწავლოს და საბოლოოდ ყველაფერს შესაბამისი პასუხი გასცეს.

***– მოდით, ისევ მთავრობასა და ბიუჯეტს დავუბრუნდეთ. საბიუჯეტო პრობლემების გამო, ფაქტია, პასუხისმგებლობა უკვე ღარიბაშვილზე მოდის. მართლაც გაწირა ის ივანიშვილმა, როგორც ამ საკადრო ცვლილებას ზოგიერთი ექსპერტი აფასებს? მართლაც ცუდ მდგომარეობაშია ახალი პრემიერი?***

– ვფიქრობ, პრემიერის პოსტზე ირაკლი ღარიბაშვილი უდავოდ ძალიან სწორად შერჩეული კანდიდატურაა. პირველ რიგში, ის არის მომზადებული კადრი, პროფესიონალი, მიუხედავად იმისა, რომ მას პოლიტიკური გამოცდილება არ აქვს. ამ შემთხვევაში პრემიერი უფრო გვჭირდება, როგორც, ასე ვთქვათ, გარკვეულად სამეურნეო ფუნქციების განმახორციელებელი. მას აქვს სწორი ხედვა. ამ შემთხვევაში, ეს ის მომენტია, როდესაც ასაკს მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მე ვისმენდი ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლას პარლამენტის წინაშე და მან, ფაქტობრივად, ყველაფერი თავის თავზე აიღო. ეს მისი ადამიანური ბუნებიდან გამომდინარეობს. უმცირესობის ყველა კითხვაზე მას მოუხდა პასუხის გაცემა, იმავე დეფლაციასთან დაკავშირებით, ბიუჯეტის შევსებასთან დაკავშირებით. ფორმატით, ალბათ, ასეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ საკითხებზე მინისტრობის კანდიდატებიდან უფრო მეტი აქტიურობა შეიძლებოდა ადგილებიდან.

***– სწორედ ამ დროს შეახსენა ოპოზიციამ ახალ პრემიერს „ოროსანი“ მინისტრობის კანდიდატები...***

– ჯერ არავინ იცის, ოროსანია მინისტრი თუ ათოსანი. ახლა ათბალიანი სისტემაა და ოროსნის შეფასება არც არსებობს. ამ შემთხვევაში შეფასებები ნაადრევია. ვფიქრობ, ბატონმა ირაკლიმ უნდა შეძლოს სწორი ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბება და, რაც მთავარია, სამინისტროების სრული კოორდინაცია. ეს აუცილებელია, რათა ეკონომიკური რგოლი იყოს ძალიან მოქნილი და კოორდინირებული, იმიტომ რომ ეკონომიკა მარტო ეკონომიკის სამინისტრო ან მარტო ფინანსთა სამინისტრო არ არის. ეკონომიკა არის რეალური სექტორი. ეკონომიკა არის ინსტიტუციები, მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური გარემო. ეკონომიკა არის საგადასახადო კოდექსი. ყველაფერი ეს ქმნის ეკონომიკას.

***– წინა ხელისუფლების დროს პოლიტიკოსებიც და ეკონომისტებიც ამტკიცებდნენ, პოლიტიკური წნეხისგან გავათავისუფლოთ ბიზნესი და ეკონომიკა აღმავლობის გზით წავა. დღეს ბიზნესი ამ წნეხისგან თავისუფალია, შემოსავლების ნაწილში კი გარღვევაა.***

– ხელისუფლებაც შედეგს ელოდება. ამას დრო სჭირდება.

***– გასაგებია, მაგრამ, 2014 წლის ბიუჯეტიდან გამომდინარე, ეკონომისტების შეფასებით, დიდ ცვლილებებს ეკონომიკური კუთხით არ უნდა ველოდეთ.***

– ბიუჯეტში, ფაქტობრივად, იგივე პარამეტრებია, რაც გასულ წელს იყო. აქ პრიორიტეტები ძალიან გარკვევით არის განსაზღვრული. ეს პრიორიტეტებია: ხელმისაწვდომი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა. დაახლოებით 3 მილიარდამდე თანხა მიდის ამ მიმართულებით. ეს არის ბიუჯეტის შემოსავლების დაახლოებით 35%. ეს პრიორიტეტი ამ ეტაპზე აუცილებლად იყო გასაკეთებელი იმ მიზნით, რომ რაღაცნაირად საზოგადოებაში არსებული მძიმე სოციალური ფონი შედარებით შეარბილოს. ჩვენ რადიკალურ გარღვევებს არც უნდა ველოდოთ, იმიტომ რომ ეკონომიკა არის ძალიან ფაქიზი სფეროა. მისი მაღალი ტემპებით, ასე ვთქვათ, ნახტომისებური განვითარება წარმოუდგენელია, მით უმეტეს ქართული ეკონომიკისათვის. რაც შეეხება პარამეტრებს, ის, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა განგვისაზღვრა შედარებით დაბალი პარამეტრები, ეს მარტო ჩვენთან არ გააკეთა. პარამეტრები დაწია კავკასიაშიც და აღმოსავლეთ ევროპაშიც; სომხეთში, შედარებით ნაკლებად – აზერბაიჯანში, უკრაინაში და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ ეს გარკვეულად ობიექტური კანონზომიერებაც არის. რასაც ახალი ხელისუფლება, „ქართული ოცნება“ ამბობს, დიახ, ეკონომიკა უნდა განვითარდეს ყოველგვარი ადმინისტრაციული ზეწოლით და პოლიტიკური ზეწოლის გარეშე, სწორია. ესენი ხელს იშვერენ, თითქოს პოლიტიკური ზეწოლის ქვეშ იყო ეკონომიკა, თანხების ამოღებაც, საგადასახადო შემოსავლებზეა ლაპარაკი, ეს წნეხიც სწორედ ბიზნესს აწვებოდა. ეს პერიოდიც გავიდა. მომავალი წლის პირველი სამი თვე უკვე დაგვანახვებს, რამდენად რეალურად ვითარდება ეკონომიკა. პირველი, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება მაქსიმალურად უნდა შევუწყოთ ხელი ინვესტიციების შემოდინებას. ამიტომ ხელისუფლებამ თავი უნდა შეიკავოს დამატებითი რეგულაციებისაგან, რათა რეგულაციების სისტემამ არ შეზღუდოს ქვეყანაში ინვესტიციების შემოსვლა.

***– აქ მიწების უცხოელებზე გასხვისებაზე მორატორიუმის გადახედვასაც გულისხმობთ?***

– არაერთხელ მითქვამს, ჩვენს ქვეყანას ინვესტიციები ასარჩევად არ აქვს. ძალიან მნიშვნელოვანია ამ რეგულაციებთან დაკავშირებით ახალი პრემიერ-მინისტრის დამოკიდებულება. კურსი უნდა იყოს რეგულაციებისგან გათავისუფლება, იმიტომ რომ ყველა რეგულაციას რაღაც მოტივაცია აქვს. ამიტომ ჩვენ აქცენტები ამ მოტივაციაზე არ უნდა გავაკეთოთ, უნდა ვიფიქროთ, ამ რეგულაციებმა რას შეიძლება ხელი შეუშალოს. ეს მარტო მიწებს არ ეხება. იგივე მოსაზრებებია მონიტორინგის გაძლიერებაზე სხვადასხვა რგოლში – ჯანმრთელობაში, განათლებაში. იგივე ფარმაციაში შემოღებული ახალი სარეცეპტო რეგულაციები. იგივე მიწის გაყიდვასთან დაკავშირებული რეგულაციები. ამ ყველაფერმა არ გამოიწვიოს ინვესტიციების შეზღუდვა, ამაშია საქმე. აქ ძალიან ფრთხილი მიდგომა უნდა, რადგან ინვესტორი ყველაფერს სხვანაირად ხედავს. საქართველოს საქმე ისე არა აქვს, რომ აირჩიოს, ეს ინვესტიცია გვინდა, ეს – არა. რა თქმა უნდა, აქცენტები და მეტი საშუალებები ახლა უფრო გაჩნდება სოფლის მეურნეობაში, მაგრამ ჩვენ ისეთი გარემო უნდა შევქმნათ, რომ დიფერენციაცია მოხდეს როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე მშენებლობაში, საბანკო სექტორში, ენერგეტიკაში და ა.შ.

***– ბიზნესის პოლიტიკური წნეხისგან გათავისუფლებით გამოწვეულ დადებით შედეგებს გაზაფხულიდან უნდა ველოდეთ?***

– ჩვენ მომავალი წლის სადღაც პირველ ოთხ თვეში გარკვეული შედეგები უნდა დავინახოთ, იმიტომ რომ კოალიციური ხელისუფლების მოსვლის შემდეგ აქცენტები სწორედ მაგაზე კეთდება.

# კონფლიქტების მოგვარებაში სახალხო დიპლომატია დაგვეხმარება

მერი ნამორაძე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა 13-მილიონიანი ბიუჯეტიდან ყველაზე დიდ თანხებს დევნილი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე დახარჯავს. ეს სფერო კვლავ პრიორიტეტული დარჩება, რომელსაც შემდეგ პრიორიტეტებად კულტურა და ჯანდაცვა მოჰყვება.

როგორც ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ დავალებათა საკითხების მინისტრმა ლელა გულედანმა „ახალ თაობასთან“ საუბრისას აღნიშნა, სამინისტრო აქტიურად იწყებს არასამთავრობო სექტორთან მუშაობას, რათა უკეთესად მოხდეს დევნილთა პრობლემების გადაჭრა.

–ჩვენ აქტიურად ვიწყებთ თანამშრომლობას არასამთავრობო სექტორთან, რათა დევნილთა პრობლემები, რაც ამ ეტაპზე დგას, კარგად იყოს წარმოჩენილი და კოორდინირებულად ვიმუშაოთ, მეტი პრობლემების მოგვარება შევძლოთ.

დევნილი მოსახლეობისათვის პრიორიტეტად საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა და დასაქმება რჩება. როგორც სამინისტროში ამბობენ, აქტიურად შეეცდებიან ინვესტიციების მოზიდვას დევნილთა ბიზნეს-პროექტების წასახალისებლად, რამაც მათ დასაქმებას უნდა შეუწყოს ხელი:

– პირველ რიგში, საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფაა პრობლემა და ასევე დასაქმების პრობლემა დგას. დასაქმების პრობლემის მოსაგვარებლად გვინდა, კერძო ინვესტიციების შემოსვლასა და ფონდების შექმნას შევუწყოთ ხელი, სადაც ჩაიდება თანხები, შეიძლება, ბიზნეს-პროექტებიც მივიღოთ დევნილებისგან, ასეთი ინიციატივებიც გვექნება. აქცენტი ძირითადად ახალგაზრდებზე გაკეთდება, სტუდენტების საზღვარგარეთ სასწავლებლად გაგზავნა იქნება თუ მათი დასაქმება. ამასთან, უნივერსიტეტის სტუდენტებს ჩვენს ნებისმიერ უწყებაში მიეცემათ სტაჟირების გავლის საშუალება. სტაჟირების შემდეგ შეიძლება დარჩეს კიდეც ჩვენს სტრუქტურებში ახალგაზრდა, გააჩნია, როგორ გამოიჩენს თავს და როგორ აუწყობა ფეხს ჩვენს აქტივობას. გვინდა, მეტად ფუნქციურები ვიყოთ და მეტი დატვირთვა გვქონდეს. „პრივატბანკთან“ გავაფორმეთ ხელშეკრულება, რომელიც დაგვისაქმებს ახალგაზრდებს – ყოველწლიურად დაახლოებით 50 სტუდენტს, – გვითხრა გულედანმა.

მისი თქმით, მჭიდროდ თანამშრომლობენ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, დევნილთა და განსახლების, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებთან.

– ერთობლივი მუშაობა აქტიურად გვინდა დავიწყოთ, რათა ჩვენც შევეხიდოთ ცენტრალურ ხელისუფლებას და მათთან ერთად რისი გაკეთებაც შეგვიძლია, მაქსიმუმი გავაკეთოთ. ჯანდაცვაში მთელი რიგი პრობლემებია. მაგალითად, ოკუპირებულ ტერიტორიაზე რეფერალური პროგრამის განხორციელების თვალსაზრისით, კოორდინირებული მუშაობა არ ხდება. ცენტრალურ ხელისუფლებას ჯანდაცვაში არ აქვს ინფორმაცია გადმოსული აფხაზის შესახებ და ასევე იქაურ მცხოვრებლებს არ აქვთ ინფორმაცია ჩვენი პროგრამის შესახებ. ამ კუთხითაც გვინდა, აქტიური კოორდინაცია მოვახდინოთ და გადმოსულ მოქალაქეებზეც ავიღოთ პასუხისმგებლობა. არასამთავრობო ორგანიზაციები კურირებენ ამ საკითხს, მაგრამ გვინდა, ჩვენც ჩავერთოთ და კოორდინირება მოვახდინოთ ჯანდაცვის სამინისტროსთან, რათა იქითა მხრიდან გადმოსულმა ადამიანმა, ქართველი იქნება თუ აფხაზი და საჭიროებს პირველად ან გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას, მიიღოს ეს დახმარება. ძალიან კარგი პროგრამები არსებობს, უბრალოდ, არ ხდება ამის კოორდინაცია, – განაცხადა გულედანმა.

რაც შეეხება სახალხო დიპლომატიის ხელშეწყობას, მინისტრმა დასძინა, რომ ეს მხარე ჯერჯერობით გამოუყენებელია და ხელისუფლებამ გარკვეული ხედვა უნდა ჩამოაყალიბოს სახალხო დიპლომატიის გასააქტიურებლად.

– ბატონი ვახტანგი ძალიან ხშირად ახსენებს ამ მიმართულებას და იმას, რომ ამ პროცესში ჩვენი სტრუქტურები აუცილებლად უნდა ჩაერთონ. დღესაც არსებობს აფხაზ და ქართველ ხალხს შორის კავშირები, ოღონდ გამოუყენებელია. ძალიან ბევრი დევნილი კონტაქტობს ნათესავთან, მეგობართან სოციალური ქსელის საშუალებით. ბევრი დევნილი გადადის საზღვარზე. ახლა, რა თქმა უნდა, გართულდა საზღვრის გადაკვეთა, ცუდი სიტუაციაა ამ კუთხით, მაგრამ არაოფიციალური გადასასვლელებით დევნილები მაინც ახერხებენ კონტაქტს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ახლობლებთან. მთავარია, ჩამოვაყალიბოთ ხედვა, როგორ შეიძლება, ეს გამოვიყენოთ და, დარწმუნებული ვარ, ამ კუთხით უახლოეს მომავალში სერიოზულ ნაბიჯებს გადავდგამთ, – აღნიშნა გულედანმა.

# კენგურუს მეთოდი დღენაკლულთა გადარჩენის შანსად რჩება

მერი ნამორაძე

საქართველოში ყოველი 13 ახალშობილიდან დაახლოებით ერთი დღენაკლულია.

დღენაკლულად მედიკოსები ნაადრევად დაბადებულ ახალშობილს მიიჩნევენ, რომელიც ორსულობის 37 კვირის ვადამდე მოევლინება ქვეყანას. დღენაკლულ ახალშობილთა რიცხვი განსაკუთრებით მაღალია დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში, როგორიცაა ინდოეთი, ჩინეთი, ნიგერია, პაკისტანი, ინდონეზია, ბანგლადეში და ასე შემდეგ. საქართველოში არსებული მაჩვენებელი მაღალი რჩება. როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში ამბობენ, დღენაკლულობა წარმოადგენს ახალშობილთა სიკვდილიანობის მთავარ მიზეზს. მსოფლიოში ყოველწლიურად დაბადებული 15 მილიონი დღენაკლული ახალშობილიდან მილიონამდე იღუპება 5 წლამდე. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევათა 75%-ის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო ძვირად ღირებული სამედიცინო აპარატურისა და მკურნალობის გამოყენების გარეშე.

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ მარტივი და კარგად აპრობირებული, ხარჯთ-ეფექტური პრევენციული ღონისძიებებით შესაძლებელი ხდება დღენაკლულობის გართულებების თავიდან აცილება. დღენაკლულ ახალშობილთა მოვლის ერთ-ერთ იაფფასიან, თუმცა მეტად ეფექტურ მეთოდად სახელდება კენგურუს მეთოდი, რომლის ხშირი გამოყენება საზოგადოდ არ ხდება.



კენგურუს მეთოდი პირველად 1967 წელს დაინერგა. ამ მეთოდის გამოყენებით მცირეწონიანი ახალშობილის კანით კანზე კონტაქტი ხდება დედასთან, რაც ხელს უწყობს ძუძუთი კვების წამოწყებასა და ახალშობილის გათბობას. დღენაკლული ახალშობილის სხეულის ტემპერატურის შენარჩუნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მათი პატარა სხეული სწრაფად კარგავს სითბოს, რაც ზრდის დაავადებების, ინფექციებისა და სიკვდილის ალბათობას. ექსპერტების მოსაზრებით, ამ მეთოდის ფართო დანერგვამ ყოველწლიურად შეიძლება 450000 სიცოცხლე გადაარჩინოს.

როგორც დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში ამბობენ, დღენაკლულობის შემთხვევაში დაავადების ტვირთის შესამცირებლად აუცილებელია ვიპოვოთ გზები ორსულობის სრულ ვადამდე მიყვანისათვის ან 39 კვირამდე მაინც. შესწავლილია ის რისკ-ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ნაადრევ მშობიარობაზე, ასეთებია: ანამნეზში ნაადრევი მშობიარობის არსებობა, ქალის წონანაკლულობა, სიმსუქნე, დიაბეტი, მოწევა, მაღალი არტერიული წნევა, ქალის ასაკი – 17 წელზე ნაკლები ან 40 წელზე მეტი, გენეტიკური ფაქტორები, ორსულობა რამდენიმე ნაყოფით და ორსულობებს შორის არასაკმარისი ინტერვალი.

ახალშობილთა მოვლის თანამედროვე მეთოდების გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როცა საქმე დღენაკლულ ახალშობილებს ეხება. რისკ-ფაქტორების გამოვლენისა და შესაბამისი პრევენციული ზომების გატარებისათვის მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ანტენატალური მოვლის ხარისხის გაუმჯობესებასა და მის ფარგლებში მიწოდებული სერვისების გაფართოებას.

# ალექსი პეტრიაშვილმა კადეტთა სამხედრო ლიცეუმში ლექცია წაიკითხა

გუშინ, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი კადეტთა სამხედრო ლიცეუმს ეწვია. შეხვედრას სამივე კურსის 240 კადეტი დაესწრო.

სახელმწიფო მინისტრმა ახალგაზრდებს საჯარო ლექცია წაუკითხა. ალექსი პეტრიაშვილმა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე წარმატებულ რეფორმებზე, რეგიონულ უსაფრთხოებაზე, ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის საკითხებზე, ასევე ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებისა და ვილნიუსის სამიტის შესახებ ისაუბრა. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. კადეტების კითხვებს, რომელიც რეგიონული უსაფრთხოების საკითხებს, თანამედროვე პოლიტიკურ პროცესებსა და საქართველოს ალიანსის წევრობის პერსპექტივებს უკავშირდებოდა ალექსი პეტრიაშვილმა ამომწურავი პასუხები გასცა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ სახელმწიფო მინისტრმა ლიცეუმი დაათვალიერა. ღონისძიება ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის მიერ იყო ორგანიზებული.

**მედიანიუსი**

# საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდი ნაწილობრივ ამოქმედდა

საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური გვერდი პრესიდენტ.გოვ.გე ნაწილობრივ ამოქმედდა.

გვერდი საქართველოს ახალი პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციის დღიდან 17 ნოემბრიდან გაითიშა და რეკონსტრუქცია რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.

პრეზიდენტის განახლებულ გვერდზე განთავსებულია ყოველდღიური სიახლეები, ახალი პრეზიდენტის გამოსვლები და განცხადებები, შეხვედრები, ინიციატივები, ინტერვიუები, სამართლებრივი აქტები , წერილები და მიმართვები. ამას გარდა პრეზიდენტის ბიოგრაფია , ფოტო და ვიდეო გალერეა.

პრეზიდენტის ბიოგრაფიაში ნათქვამია, რომ გიორგი მარგველაშვილი არჩეულ იქნა საქართველოს პრეზიდენტად 2013 წლის 27 ოქტომბერს. პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მთავრობის ყოფილი ვიცე-პრემიერი და განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ბატონი მარგველაშვილი მტკიცე დემოკრატი და რეფორმატორია, რომელმაც გამოაცოცხლა ქვეყნის განათლების სისტემა მრავალწლიანი უგულვებელყოფის შემდეგ. 2013 წლის მაისში, მაშინ როდესაც ის არ წარმოადგენდა არცერთ პოლიტიკურ პარტიას, მმართველმა კოალიცია „ქართული ოცნებამ“ ის დაასახელა პრეზიდენტობის კანიდადატად და დამაჯერებლად გაიმარჯვა 62,18%-ით საპრეზიდენტო არჩევნებში.

ამავე ბიოგრაფიის მიხედვით, ცნობილი ხდება ,რომ საქართველოს პრეზიდენტი არის 44 წლის, დაუოჯახებელი. ჰყავს 20 წლის ქალიშვილი ანა მარგველაშვილი, რომელიც არის საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სტუდენტი. მისი მეგობარი ქალი, მაკა ჩიჩუა, არის მხატვარი და მსახიობი. თავისუფალ დროს, გიორგი მარგველაშვილი უთმობს ფეხით სიარულს, ცხენოსნობას და მასპინძლობს მეგობრებს დუშეთის სახლში. პრეზიდენტის განახლებულ გვერდზე განთავსებულ ისტორიის გრაფაში საქართველოს ყოფილი პრეზიდენტების ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძისა და მიხელ სააკაშვილის პრეზიდენტობის წლებია მითითებული. გვერდი ქართულ–რუსულ და ინგლისურენოვანია. პრეზიდენტის ოფიციალური გვერდი კვლავ რეკონსტრუქციის რეჟიმშია.

**მედიანიუსი**

# ჯორჯიის შტატის გენერალური ინსპექციის ვიზიტი დასრულდა

საქართველოში აშშ-ის ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიის გენერალური ინსპექციის დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი დასრულდა.

საქართველოს ამერიკული მხარე გენერალური ინსპექციის დონეზე პირველად სტუმრობდა. დღევანდელ დასკვნით შეხვედრაზე ქართველმა და ამერიკელმა კოლეგებმა სამუშაო ვიზიტის დროს განხილული საკითხები შეაჯამეს და სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის შესაძლებლობებზეც იმსჯელეს.

სამუშაო შეხვედრებზე ამერიკელმა სამხედროებმა ქართველ კოლეგებს გამოცდილება გაუზიარეს. მათ საქართველოში მონიტორინგის საკითხში სამხედრო და სამოქალაქო უწყებების თანამშრომლობის სპეციფიკის მიმართ ინტერესი გამოხატეს. ამერიკული დელეგაციის წარმომადგენლებმა ქართველ კოლეგებს საკუთარი ქვეყნის სამხედრო კონტროლის მექანიზმები დეტალურად გააცნეს.

ოთხდღიანი ვიზიტის ფარგლებში, ამერიკელმა სამხედრო მოსამსახურეებმა, ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიის გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილის, ვიცე-პოლკოვნიკ ანდრე ქემფბელის ხელმძღვანელობით, შეხვედრები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის დეპარტამენტის უფროსთან ანდრია გოცირიძესთან გამართეს. გაფართოებულ შეხვედრებს ასევე დაესწრნენ, გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელის მოადგილეები, სამმართველოს უფროსები და გაერთიანებული შტაბის საბრძოლო მზადყოფნის მონიტორინგის სამმართველოს უფროსი, პოლკოვნიკი ნიკოლოზ ჯანჯღავა. ანდრია გოცირიძის თქმით, ამერიკულ მხარესთან შეხვედრები ნაყოფიერი იყო და მომავალში მათთან თანამშრომლობა კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება სამინისტროს შიდა კონტროლისა და გამჭვირვალობის გზაზე. ვიზიტის დასასრულს, საქართველოს თავდაცვის უწყების წარმომადგენლებმა ამერიკელ კოლეგებს თანამშრომლობისა და გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადეს და ერთმანეთს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

**მედიანიუსი**

# საქართველოს პრეზიდენტს მის აღმატებულებას ბ-ნ გიორგი მარგველაშვილს

ბ-ნო გიორგი, საგანმანათლებლო ფირმა „ჩაღლარის“ სახელით, გულითადად გილოცავთ საქართველოს პრეზიდენტად არჩევას.

მოგახსენებთ, რომ „ჩაღლარის“ პირველი სასწავლო დაწესებულება საქართველოში 1992 წელს, თურქეთისა და საქართველოს მაშინდელ პრზიდენტებს– სულეიმან დემირელსა და ედუარდ შევარდნაძეს შორის „განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროებში ურთიერთთანამშრომლობისა და კეთილმეზობლობის შესახებ“ ხელმოწერილი ხელშეკრულების საფუძველზე გაიხსნა. ამით საძირკველი ჩაეყარა სასწავლო დაწესებულებების ქსელის ამოქმედებას საქართველოს მასშტაბით, რასაც მოჰყვა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის დაარსება 1995 წელს.

„ჩაღლარის“ სასწავლო დაწესებულებებს უკვე 20 წელია თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვთ საქართველოს განათლების სისტემის განვითარების საქმეში. ჩვენი მოსწავლეები წარმატებით წარმოადგენენ საქართველოს სახელს სხვადასხვა საერთაშორისო ოლიმპიადებში (მოპოვებული აქვთ 60 მედალი). „ჩაღლარი“, განათლებისა და მეცნიერების სამინიტროს მხარდაჭერით, ყოველწლიურად ატარებს ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა საერთაშორისო ოლიმპიადას, რომელსაც 30-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლები ესწრებიან. ასეთი ღონისძიებების წყალობით, უცხოელი ახალგაზრდები ეცნობიან საქართველოს, ქართულ კულტურას.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებს, რითიც თავისი წვლილი შეაქვს განათლებისა და მეცნიერების დონის ამაღლების საქმეში. ჩვენი სასწავლო დაწესებულებები ხელს უწყობს ორ ქვეყანას შორის მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობების განმტკიცებას.

დარწმუნებულნი ვართ, რომ თქვენი ლიდერობით საქართველო გააგრძელებს წინსვლას, ჩვენ გვწამს ქვეყნის უკეთესი მომავლის. მთელი ჩვენი სასწავლო დაწესებულებების ხელმძღვანელობის, პერსონალის, ლექტორების, მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების სახელით გილოცავთ და გისურვებთ წარმატებებს თქვენს მეტად საპასუხისმგებლო და საპატიო თანამდებობაზე. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და კეთილდღეობას პირად ცხოვრებაში.

**ღრმა პატივისცემით,**
**„ჩაღლარის“ სასწავლო დაწესებულებებისა და**
**შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის**
**სამეთვალყურეო საბჭოების თავმჯდომარე**
**ადემ ონალი**

# საბავშვო ევროვიზიის მონაწილეები უკრაინაში გაემგზავრნენ

ეკა ირემაშვილი

საბავშვო ევროვიზიის წლევანდელი ქართველი მონაწილეები უკრაინაში გაემგზავრნენ. ისინი მონაწილეობას მიიღებენ კიევში გამართულ რიგით მეცხრე ქართული კინოს ფესტივალში, რომელზეც წარმოდგენილი იქნება როგორც ძველი, ასევე ახალი ქართული ფილმები.

საქართველოდან გამგზავრებამდე ქართული ჯგუფის „ზი სმაილ შოფის“ მხარდამჭერი კონცერტი რუსთაველის გამზირზე გაიმართა და მასში კონკურსის წინა წლების მონაწილეებმა მიიღეს მონაწილეობა. ამ კონცერტით მათ წლევანდელი ქართველი კონკურსანტები გაამხნევეს. ბავშვების თქმით, მათ საკუთარი მომზადების იმედი აქვთ და ყველაფერს გააკეთებენ, რომ მაქსიმალური შედეგი აჩვენონ. საბავშვო ევროვიზიის ქართველი მონაწილეების გაცილება „ვისოლ ჯგუფმა“ და ამერიკული რესტორნების ქსელმაც გადაწყვიტა. დაიგეგმა ღია კონცერტი, რომელშიც საბავშვო ევროვიზიის ყველა დროის კონკურსანტმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის იყვნენ საქართველოს პირველი ხმა ევროვიზიაზე მარიამ რომელაშვილი, „ბზიკები“, „ქენდი“, „ზი ფანქიდსი“ და წლევანდელი კონკურსანტები.

ქართული ჯგუფი თანამედროვე ქართული კინოს ფესტივალზე კიევში იმღერებს და საკონკურსო სიმღერას შეასრულებს. 23 ნოემბერს რიგით მე-9 კინოფესტივალის ოფიციალური გახსნა კინოთეატრ „ჟოვტენში“ შედგება. საბავშვო ევროვიზიის კონკურსანტების გარდა, ცერემონიალში ქართული ცეკვის სახალხო ანსამბლი „იბერიელი“, ასევე სხვა შემოქმედებითი ჯგუფები და მომღერლები მიიღებენ მონაწილეობას. ფესტივალის საზეიმო გახსნის შემდეგ, ნაჩვენები იქნება ზაზა ურუშაძის ფილმი „მანდარინები“. ფესტივალის ორგანიზატორებია სრულიად უკრაინის საზოგადოებრივი გაერთიანება „გეორგია“ და უკრაინის ქართველთა ასოციაცია „იბერიელი“. ფესტივალი, 23-დან 27 ნოემბრამდე, უკრაინისა და საქართველოს კულტურის სამინისტროების ფინანსური მხარდაჭერით, უკრაინაში საქართველოს საელჩოსა და საქართველოს ეროვნული კინემატოგრაფიის ცენტრის დახმარებით ჩატარდება.

პირველი არხის ეთერში უკვე გადის 2013 წლის საბავშვო ევროვიზიის დღიურები. 15-წუთიან ფილმებში ასახულია, თუ როგორ ემზადებიან საქართველოს წარმომადგენლები კონკურსისთვის. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის „ევროვიზია ჯუნიორი“ წარმატების მომტანი აღმოჩნდა. საქართველო საბავშვო ევროფესტივალის გამარჯვებული ორჯერ გახდა, წელს კი კონკურსში მეშვიდედ მონაწილეობს.



საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონცერტზე ელენე მეგრელიშვილი კიევში იმ უმაღლეს ქულებს გამოცხადებს, რომელიც საქართველოს მოსახლეობამ და კომპეტენტურმა ჟიურიმ კონკურსის მონაწილეებს დაუწერა. ელენე 15 წლის არის და მეათე კლასის მოსწავლეა. ის დადის სიმღერაზე „თინ კლაბში“ და მონაწილეობდა სხვადასხვა კონცერტებში. საბავშვო ევროვიზიის პროდიუსერებმა კონკურსის წესებში წელს გარკვეული ცვლილებები შეიტანეს. კონკურსის ისტორიის განმავლობაში ბავშვები ქულებს თავიანთი ქვეყნებიდან პირდაპირი სატელევიზიო ჩართვისას აცხადებდნენ, წელს კი მათ საკუთარი ქვეყნის რჩეულები კიევში სცენიდან, კონკურსის წამყვანებთან ერთად, უნდა დაასახელონ.

უკვე ცნობილი გახდა, რომ მე-11 საბავშვო ევროფესტივალს ემილიე დე ფორესტი დაესწრება. ის ფესტივალზე სპეციალური სტუმრის სტატუსით არის მიწვეული. დანიის წარმომადგენელი ემილიე დე ფორესტი 58-ე ევროვიზიის სიმღერის კონკურსის გამარჯვებულია. მან თავისი საკონკურსო სიმღერით 281 ქულა მოიპოვა.

მე-11 საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე მაყურებელი უკრაინული მუსიკის კერპს რუსლანას იხილავს, რომელიც ბავშვებთან ერთად იმღერებს. სცენაზე მაყურებლის წინაშე წარსდგებიან ასევე, ემილიე დე ფორესტი, 58-ე ევროვიზიის სიმღერის კონკურსის გამარჯვებული და ზლატა ოგნევიჩი, წელს, კონკურსის ერთ-ერთი წამყვანი და ევროვიზიის სიმღერის კონკურსის მესამე ადგილის მფლობელი.

ასევე უკვე ცნობილია 2013 წლის საბავშვო ევროფესტივალის საკონკურსო სიმღერებიც. წელს კონკურსში 12 ქვეყანა მონაწილეობს. საქართველო „ზი სმაილ შოფ“, სომხეთი მონიკა ავანესიანი, აზერბაიჯანი რუსტამ კერიმოვი, ბერუსი ილია ვოლკოვი, მაკედონია ბარბარა პოპოვიჩი, მალტა გაია კაუჩი, მოლდოვა რაფაელ ბობეიკა, ნიდერლანდები ტყუპები მილენა და როსანა, რუსეთი დაიანა კირილოვა, ან მარინო მიშელ პერნიოლა, შვედეთი ელიას ელფორსი, უკრაინა (მასპინძელი მაუწყებელი) სოფია ტარასოვა,

2013 წლის საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსს უკრაინის მაუწყებელი 30 ნოემბერს კიევში უმასპინძლებს. კონკურსი ხელოვნების ეროვნულ სასახლეში გაიმართება. ის უკრაინაში ერთ-ერთი საუკეთესო საკონცერტო ნაგებობაა. დელეგაციების წევრები ახლადაშენებულ სასტუმროში განთავსდებიან, რომელიც ხელოვნების სასახლესთან ახლოს მდებარეობს. წლევანდელი კონკურსის წამყვანები ზლატა ოგნევიჩი და ტიმურ მიროშნიჩენკო იქნებიან.

საბავშვო ევროვიზიის პროდიუსერებმა კონკურსის წესებში წელს გარკვეული ინოვაციები შეიტანეს. ეს ცვლილებებია: ხმის მიცემის შედეგების გამოცხადება, აქამდე ბავშვები ქულებს თავიანთი ქვეყნებიდან პირდაპირი სატელევიზიო ჩართვისას აცხადებდნენ, წელს კი მათ ხმის მიცემის შედეგები კონკურსისას სცენიდან უნდა გააცნონ ევროპას. რაც შეეხება სცენაზე გამოსვლის რიგითობას, სცენაზე გამოსვლის თანმიმდევრობას 25 ნოემბერს, საბავშვო ევროფესტივალის გახსნით კონცერტზე ბავშვები თავად განსაზღვრავენ. გაიზარდა სიმღერის ხანგრძლოვობაც და ის 3 წუთს შეადგენს. „ფოსთქარდები“ (ვიდეორგოლი, რაც კონკურსანტის წარდგენას ისახავს მიზნად და მის სცენაზე გამოსვლამდე აჩვენებენ პუბლიკას) 15 წამიანი გახდა. ამ ცვლილებებით ბავშვებს მეტი შესაძლებლობა ექნებათ საკუთარი თავი უკეთ წარმოაჩინონ.

წლევანდელი საბავშვო ევროვიზიის მასპინძელმა მაუწყებელმა კონკურსის საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით კიევში მიმდინარე შეხვედრაზე სცენის დიზაინი წარმოადგინა. კონცეფცია წლევანდელი კონკურსის ლოგოს და სლოგანს ეფუძნება. წელს საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსის სლოგანია „იყავი კრეატიული“. ლოგოზე კი „ფაზელი“ ასაწყობი კაცუნა-გამოცანაა გამოსახული. ფაზელის აწყობა ბავშვების საყვარელი სათამაშოა, ის კრეატიულობას მოითხოვს, სადაც ცალკეული ნაწილების შეერთებით მიიღება ერთი მთლიანი, ეს კი ევროფესტივალების, ევროპის მთლიანობის იდეას უკავშირდება.

ევროპის მაუწყებელთა კავშირის წარმომადგენელი, ევროვიზიის კონკურსების ხელმძღვანელი ჯგუფი კიევში უკვე იმყოფებოდა და კონკურსთან დაკავშირებით საორგანიზაციო საკითხებსა და გეგმებს გაეცნო. მე-11 საბავშვო ევროფესტივალის მასპინძელმა უკრაინის მაუწყებელმა ჯგუფის წევრებს სცენის დიზაინი, კონკურსის კონცეფცია, რეპეტიციების განრიგი, კონკურსანტების სცენაზე გამოსვლის რიგითობა, სოციალური პროგრამა, ევროვიზიის წვეულების გახსნის, ევროკლუბის, ფანკლუბის განთავსების, მასმედიის წარმომადგენელთა დასწრების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები გააცნო.

კონკურსზე გამარჯვებულისთვის დაწესებულია ჯილდო: კონკურსის ლოგოსა და სლოგანიდან გამომდინარე შეიქმნა ფაზელი-კაცუნას სამი განსხვავებული ფერის ფიგურა. სამახსოვრო ჯილდო წელს პირველად, გამარჯვებულის გარდა, მეორე და მესამე ადგილების მფლობელებსაც გადაეცემათ.

მე-11 საბავშვო ევროფესტივალზე სპეციალური სტუმრის სტატუსით იქნება მიწვეული 2012 წლის კონკურსის გამარჯვებული უკრაინის წარმომადგენელი ანასტასია პეტრიკი. საბავშვო ევროვიზიაზე იმღერებს 2013 წლის ევროფესტივალის მესამე ადგილის მფლობელი ზლატა ოგნევიჩიც.

კონკურსის პირდაპირ ტრანსლიაციას საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი კიევიდან განახორციელებს. ეს არ არის პირველი ემთხვევა, როდესაც საბავშვო ევროვიზია უკრაინაში ტარდება, ამ კონკურსს უკრაინამ 2009 წელსაც უმასპინძლა.

# საქართველოში, შესაძლოა, 6319 ძეგლს სტატუსი მოეხსნას

დასაწყისი მე-12 გვერდზე

როგორც „იკომოს საქართველოს ეროვნული კავშირი“ თბილისის მთაწმინდის რაიონის რაიონული სასამართლოს მიერ. იგი აერთიანებს 15 ნამდვილ წევრს და 45 წევრ-კორესპონდენტს. იკომოს საქართველოს ეროვნული კომიტეტის ნამდვილი წევრები არიან ლია ბოკუჩავა (არქიტექტორ-რესტავრატორი), მერაბ ბოჭოიძე (არქიტექტორ-რესტავრატორი), ირინე ელიზბარაშვილი (ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი), ნიკოლოზ ვაჩეიშვილი (ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი), მანანა თევზაძე (ექსპერტი), ნინო ინაიშვილი (ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი), ირაკლი კორძახია (იურისტი), ნინო კორძახია (არქიტექტორ-რესტავრატორი), ნანა კუპრაშვილი (ხელოვნებათმცოდნე), ეთერ მახათელაშვილი (არქიტექტორ-რესტავრატორი), მანანა სურამელაშვილი (ხელოვნებათმცოდნე), მარინე ყენია (ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი), ციცინო ჩაჩხუნაშვილი (ხელოვნებათმცოდნე), ნატო ცინცაბაძე (არქიტექტორ რესტავრატორი), გია ხურცილავა (მშენებელ-რესტავრატორი).

იკომოს საქართველოს მოღვაწეობის სფეროა კონსერვაციის საერთაშორისო პრინციპების, ტექნოლოგიის და მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება; პილოტ პროექტებისა და პროგრამების მომზადება და განხორციელება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დარგში; საერთაშორისო მისიებთან და ექსპერტებთან თანამშრომლობა ძეგლებისა და პროექტების შეფასებისთვის; თანამშრომლობა იუნესკოსთან; საერთაშორისო და ადგილობრივი საწვრთნელი პროგრამების, სემინარების, კონფერენციების მომზადება და ორგანიზება; იკომოსის სხვა ეროვნულ და საერთაშორისო ქვეკომიტეტებთან თანამშრომლობა, როგორიც არის: ხალხური ხუროთმოძღვრების საერთაშორისო კომიტეტი, ისტორიული ქალაქებისა და სოფლების საერთაშორისო კომიტეტი, კულტურული ტურიზმის საერთაშორისი სამეცნიერო კომიტეტი და ა.შ.; თანამშრომლობა სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებთან კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში; საერთაშორისო და ადგილობრივი საზოგადოებრივი გათვითცნობიერების კამპანიების წარმოება.

იკომოს საქართველოს მიერ განხორციელებული პროექტებია, კონსერვაცია: ფიტარეთის სამონასტრო კომპლექსი, იკორთის მთავარანგელოზის ტაძარი, ზემო სვანეთი, უშგულის თემი, სოფელი ჩაჟაში, ბ-თ-ჯ მილსადენის დერეფნის არეალში არსებული მიწისზედა ძეგლთა შესწავლა, II და III ფაზა, ტაძრისის მონასტერი. წმინდა გიორგის ეკლესია (ბ-თ-ჯ მილსადენის დერეფანი), „შევინარჩუნოთ ძველი თბილისი“. ბეთლემი: ბეთლემის უბნის კონსერვაციის გეგმა – ჩარევის სახელმძღვანელო პრინციპები, გასეირნება ბეთლემის კლდის უბანში, ბეთლემის უბნის რევიტალიზაცია. თბილისის ისტორიული უბანი: საცხოვრებელი სახლები – პროფესიული დოკუმენტაცია და ფიზიკური სტაბილიზაციის გადაუდებელი ღონისძიებები, თბილისის სინაგოგა – პროფესიული დოკუმენტაცია, რესტავრაციის პროექტი და ფიზიკური სტაბილიზაციის გადაუდებელი ღონისძიებები, საწრთვნელი და სამუშაო შეხვედრა (ტრეინინგი და ვორკშოფი), საერთაშორისო საწვრთნელი კურსი – „ხალხური ხუროთმოძღვრება და მათი დაცვა“, რეგიონალური სამუშაო შეხვედრა – „კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტი“, რეგიონალური სამუშაო შეხვედრა – „სტიქიური მოვლენები და გადაუდებელი მოქმედებები კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის“.

# ეროვნული არქივი საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობს

ეკა ირემაშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის დელეგაცია, გენერალური დირექტორის თეონა იაშვილის ხელმძღვანელობით ბელგიაში, ქალაქ ბრიუსელში 22-24 ნოემბერს დაგეგმილ არქივების საერთაშორისო საბჭოს მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციაში „ანგარიშვალდებულება, გამჭვირვალობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა“ მიიღებს მონაწილეობას.

ღონისძიების ორგანიზატორები, არქივების საერთაშორისო საბჭოსთან ერთად, არიან ბელგიის სახელმწიფო არქივი და სამეფო ბიბლიოთეკა. კონფერენციის ძირითადი თემებია: თანამედროვე ტექნოლოგიები და დოკუმენტების შენახვის საკითხები; ჩანაწერების მართვის თანამედროვე მიდგომები; ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; ელექტრონული არქივების დანერგვა და განვითარება და სხვა.

კონფერენციაში მონაწილეობას 50-მდე ქვეყნის დელეგაცია მიიღებს.

ვიზიტის ფარგლებში ეროვნული არქივის ხელმძღვანელი შეხვედრებს გამართავს უცხოელ კოლეგებთან. ეწვევა ქალაქ გენტის არქივსა და ბელგიის სოციალური ისტორიის ინსტიტუტს, რომელთანაც ეროვნული არქივი 2011 წლიდან თანამშრომლობს. ამ დროის მანძილზე მხარეებმა არაერთი საარქივო დოკუმენტის ასლი გაცვალეს.

აღსანიშნავია, რომ ბელგიის სოციალური ისტორიის ინსტიტუტის დელეგაციამ 2013 წლის სექტემბერში არქივს გადასცა ბელგიელი ძმების მიულსების შთამომავლების მიერ შეგროვილი მასალის ელექტრონული ასლები, რომლებიც 1909-1926 წლებში ბელგიელი ძმების დარკვეთში სამრეწველო საქმიანობას ასახავს. აქ აღწერილია იმ პერიოდის საქართველოს კულტურული და სამრეწველო ცხოვრება; ფოტოებზე ასახულია მანგანუმის საბადოები, ტექნიკური აღჭურვილობა, მუშათა ურთიერთობები, სოფლის მცხოვრებლები, მათი ტრადიციები, ბუნების ხედები და სხვა. წერილობითი დოკუმენტები, ძირითადად, ფრანგულ ენაზეა შედგენილი.

სხვა საკითხებთან ერთად, შეხვედრისას მხარეები განიხილავენ მიულსების არქივის გამოყენებით 2014 წელს თბილისში ექსპოზიციის მოწყობის საკითხს.

## განცხადებები

● სმენის დაქვეითების – სასმენი ნერვის ნევრიტის, ოსტეოქონდროზის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, რადიკულიტის, სახსრების ანთების, შეუხორცებელი ჭრილობებისა და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟით. მიღება მხოლოდ წინასწარ ჩაწერით. ტელ: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● სასწრაფოდ იყიდება ბინა მდებარე მოსკოვის გამზირზე ახლადაშენებულ 11-სართულიან კორპუსში, მე-9 სართულზე, 55 მკვ აივნით და კარგი ხედით, ფასი შეთანხმებით. ტელ: 599191967 გელა.

● მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემაზე, კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების და ა.შ. დაზიანებული და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა, ასევე წონის დაკლება 5-15 კგ თვეში, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-156-333; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია..

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# მიხეილ ბერიშვილი და გიორგი ჯგერენაია ქართულ კალათბურთზე საუბრობენ

საკალათბურთო სუპერლიგას ორი დაუმარცხებელი გუნდი ჰყავს – „დინამო“ და „არმია“. ამ ორივე გუნდს საკუთარი საკალათბურთო ბაზა გააჩნია და საქართველოში მომზადების საუკეთესო პირობები აქვს. არმიელების ძირითად ხუთეულში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ მიხეილ ბერიშვილსა და გიორგი ჯგერენაიას, რომლებთან ინტერვიუ სუპერლიგის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

*– როგორ შეაფასებდით ახალ სეზონს? რა მოლოდინი გაქვთ წლევანდელი ჩემპიონატისგან?*

**მიხეილ ბერიშვილი:** შარშან ლეგიონერების სიმრავლიდან გამომდინარე უფრო მაღალი დონის ტურნირი იყო, იმედია, მეორე წრიდან ჩემპიონატს ლეგიონერები შემოემატებიან და თამაშის ხარისხიც აიწევს. ჩვენი მიზანი წელს ჩემპიონობაა. ამ სეზონში უფრო თანაბარი გუნდები ასპარეზობენ. სასიხარულოა, რომ „ბათუმი'გაძლიერებულია, „დინამო“ საჩემპიონო გუნდია, „ქუთაისი“ ყოველთვის იყო გამორჩეული, შსს აკადემია, „სოხუმი“ – თითოეული მათგანი სერიოზული მეტოქეა.

**გიორგი ჯგერენაია:** ყველაზე ძლიერი მათგან, ალბათ, „დინამოა“. რაც შეგვეხება ჩვენ, კარგად დავიწყეთ, რამდენიმე მნიშვნელოვანი თამაში გადავაგორეთ, მაგალითად „ბათუმთან“... მაგრამ ურთულესი მატჩები გვაქვს დარჩენილი და სერიოზულად უნდა მოვემზადოთ. აქამდე ჩატარებულ თამაშებში მოსალოდნელი იყო ჩვენი გამარჯვება, თუმცა დარჩენილი 3 მატჩი საკმაოდ მძიმეა და კარგია, რომ საკმარისი დრო გვაქვს მოსამზადებლად.

*– მიშა, რას იტყვით ახალ კლუბზე? რატომ აირჩიეთ „არმია“ და როგორი ატმოსფეროა გუნდში?*

**მიხეილ ბერიშვილი:** „ოლიმპში ყველაფერი შეიცვალა – მწვრთნელი, ხელმძღვანელობა, მთლიანად გუნდი... შემოთავაზება „არმიიდან“ იყო და აქ გადმოვედი... გუნდში საუკეთესო ატმოსფეროა, ბიჭებს ყველანაირი კომფორტი და პირობა გვაქვს შექმნილი ვარჯიშისთვის. ნამდვილი ოჯახივით ვართ.

*– „არმია“ უკვე მეორე სეზონია ლეგიონერების გარეშე ასპარეზობს. რას ფიქრობთ ამაზე?*

**მიხეილ ბერიშვილი:** ლეგიონერები ჩემპიონატში აუცილებელია, კონკრეტულად ჩვენ გუნდს რაც შეეხება, „არმია“ კარგად არის შეთამაშებული და ლეგიონერი ამ ეტაპზე არ გვესაჭიროება... ზოგადად კი კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ რაც მეტი უცხოელი იქნება ჩემპიონატში, მით უფრო უკეთესია დონის ასამაღლებლად.

**გიორგი ჯგერენაია:** ვეთანხმები მიშას, საკალათბურთო სუპერლიგაში ლეგიონერები აუცილებლად უნდა ასპარეზობდნენ.

*– როგორ შეაფასებდით ეროვნული ნაკრების ასპარეზობას ევროპის ჩემპიონატზე?*

**გიორგი ჯგერენაია:** წელს ძალიან საინტერესო ნაკრები გვყავდა, ბიჭებმა სასიხარულოდ გამაკვირვეს, ორი წამყვანი მოთამაშე გვაკლდა ფაჩულიას და შენგელიას სახით და არ მეგონა, ასე კარგად თუ იასპარეზებდა ეროვნული ნაკრები. გამოჩნდა, რომ ნაკრების სისტემამ, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა, გაამართლა. წინ წამოიწია ბევრმა მოთამაშემ, რომლებმაც თავის თავზე აიღეს ლიდერობა და როლები გადაინაწილეს, მაგალითად გიორგი ცინცაძემ, რომელიც საუკეთესო იყო.

**მიხეილ ბერიშვილი:** მეც ასე ვფიქრობ, საუკეთესო მოთამაშეები გვაკლდნენ, მაგრამ ბიჭებმა ძალიან წარმატებულად იასპარეზეს.

**გიორგი ჯგერენაია:** მართალია, ეს შედეგზე არ აისახა, მაგრამ ბოლო წამებზე წყდებოდა თამაშის ბედი და ნაკრების ასპარეზობა ევროპის ჩემპიონატზე დადებითად უნდა შეფასდეს. მომავალში გუნდს შენგელია და ფაჩულია დაემატებიან და ბევრად უკეთეს შედეგს ვაჩვენებთ.

*– წლევანდელ სეზონში „არმიას“ 18-წლამდელთა ასაკობრივ ჩემპიონატშიც გამოჰყავს გუნდი...*

**გიორგი ჯგერენაია:** ეს ძალიან კარგი და მისასალმებელი ფაქტია, ბავშვობაში ჩვენ ამის მსგავსი პირობები არ გვქონია. ბავშვებისთვის ეს დიდი სტიმულია, ისინი ჩვენთან ერთად ვარჯიშობენ და დიდ გამოცდილებას იღებენ... ორმა კალათბურთელმა – თორნიკე გაგუამ და გიორგი ქავთარაძემ სუპერლიგაშიც იასპარეზეს, მწვრთნელები ახალგაზრდებს ხელს უწყობენ და ყველანაირ სტიმულს აძლევენ, ბავშვების გაზრდისთვის და განვითარებისთვის ეს აუცილებელია.

**მიხეილ ბერიშვილი:** სტიმული მართლაც დიდია – სუპერლიგაში თამაში. სუპერლიგის სხვა კლუბებმაც, ვისაც ჯერ არ ჰყავს საკალათბურთო სკოლა, მაგალითი უნდა აიღონ. აუცილებელია ამის გაკეთება. კარგი მოთამაშეების დამატება და გუნდის შევსება სწორედ აქედან ხდება.



*– მოგვიყევით თქვენ შესახებ, როდის და რატომ დაიწყეთ კალათბურთის თამაში?*

**მიხეილ ბერიშვილი:** 9 წლის ვიყავი, როცა კალათბურთზე მივედი „ვითაში“, შემდეგ კი საკალათბურთო აკადემია გაიხსნა და იქ გადავედი. გელა წულაძის და მიხეილ კობეშავიძის გაზრდილი ვარ. სანამ კალათბურთზე შევიდოდი, ჩოგბურთით ვიყავი დაკავებული. კალათბურთით ჩემი დაინტერესება ნოდარ ქორქიას დამსახურებაა, რომელიც მამაჩემის მეგობარი იყო. პირველად კალათბურთზე სწორედ მან მიმიყვანა. უნდა აღვნიშნო მამაჩემის როლი ჩემს საკალათბურთო კარიერაში, მან ძალიან დიდი წვლილი შეიტანა ჩემი, როგორც მოთამაშის ჩამოყალიბებაში და ამისთვის დიდი მადლობა მას.

**გიორგი ჯგერენაია:** ძალიან ღრმა ბავშვობიდან დავიწყე კალათბურთის თამაში, აღარც კი მახსოვს, როდის. ჯერ მამა მავარჯიშებდა, რომელიც ასევე კალათბურთელი იყო, შემდეგ კი ვაჟა კვარაცხელიასთან ვთამაშობდი, სანამ უცხოეთში წავიდოდი.

*– რომელი იყო თქვენს კარიერაში ყველაზე დასამახსოვრებელი და ემოციური გამარჯვება?*

**გიორგი ჯგერენაია:** მახსოვს 16-წლამდელთა გამარჯვება, როცა ა დივიზიონში“ გადავედით. ბევრი დასამახსოვრებელი გამარჯვება იყო, მათ შორის საქართველოს ჩემპიონატშიც, კონკრეტულად ვერ გამოვყოფ...

**მიხეილ ბერიშვილი:** რა გითხრათ, ჩემპიონი ჯერ ვერ გავხდი. ვფიქრობ, მთავარი და დასამახსოვრებელი გამარჯვებების წინ გველოდება.

**გიორგი ჯგერენაია:** მეც ამის იმედი მაქვს.

*– როგორ ფიქრობთ, რა არის ყველაზე დიდი სირთულე სპორტსმენის კარიერაში?*

**მიხეილ ბერიშვილი:** პირველ რიგში, ტრავმა. ძალიან რთულია მოთამაშისთვის, განსაკუთრებით რეაბილიტაციის პერიოდი.

**გიორგი ჯგერენაია:** სპორტული ცხოვრება საკმაოდ რთულია, მუდმივად რეჟიმში და გრაფიკში გიწევს ყოფნა, მაგრამ იმდენად გვიყვარს კალათბურთი, რომ ყველაფერს ვთმობთ და ბევრ რამეზე უარს ვამბობთ.

*– ვინ არის თქვენთვის გამორჩეული მოთამაშე და რომელია საოცნებო კლუბი?*

**მიხეილ ბერიშვილი:** მთელი ისტორიის მანძილზე ჩემთვის მაიკლ ჯორდანი იყო და ყოველთვის იქნება კალათბურთის მეფე. ისე, ლებრონ ჯეიმსი მომწონს. საოცნებო გუნდი გამორჩეულად არ მაქვს, ნბა-ს ნებისმიერ გუნდში თამაში უდიდესი წარმატებაა.

**გიორგი ჯგერენაია:** ბავშვობიდან ყოველთვის ნბა-ში მოხვედრის ოცნება გვქონდა. თუმცა საოცნებო კლუბი ევროპული „რეალია“, ბავშვობიდან მიყვარდა ეს გუნდი. საყვარელი მოთამაშე არ მყავს, მაგრამ ეროვნული ნაკრებიდან მომწონს ვიქტორ სანიკიძე და საერთოდ, ისეთ მოთამაშეებს გამოვარჩევდი, რომლებთანაც ჩემს თავს და თამაშის სტილს მეტ-ნაკლებად ვაიგივებ.

*– როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?*

**მიხეილ ბერიშვილი:** კონკრეტულად დაგეგმილი არაფერი გვაქვს. ყოველ ზაფხულს ახალი ხელშეკრულება, ახალი კლუბი, სეზონის დასრულებას ველოდებით ხოლმე... ამიტომ კონკრეტულად ვერ ვგეგმავ, თუმცა სურვილი და ამბიცია, თამაშის უცხოეთში გაგრძელებისა, რა თქმა უნდა, არის.

**გიორგი ჯგერენაია:** დავეთანხმები მიშას, სურვილები ნამდვილად გვაქვს უფრო სერიოზულ და მაღალი დონის ჩემპიონატებში ვიასპარეზოთ. ასევე, ნაკრებში თამაში ჩვენი დიდი სურვილი და მიზანია.

*– კალათბურთის გარდა, სპორტის რომელიმე სახეობა მოგწონთ?*

**მიხეილ ბერიშვილი:** ფეხბურთი მიყვარს და „ბარსელონას“ დიდი გულშემატკივარი ვარ. ასევე ძალიან მიყვარს ნარდი და ტურნირებზე სულ გამოვდივარ ხოლმე.

**გიორგი ჯგერენაია:** ზოგადად, სპორტის ბევრი სახეობა მომწონს, თუმცა ამერიკულ ფეხბურთს გამოვარჩევდი, ამ ბოლო დროს კრივის ყურებაც აქტიურად დავიწყე.

*– როგორ ატარებთ თავისუფალ დროს?*

**გიორგი ჯგერენაია:** თავისუფალ დროს მეგობრებთან ერთად ვატარებ, როგორც ყველა ახალგაზრდა. ვერაფრით გაგაკვირვებთ, ვერც ცეკვით და პიანინოზე დაკვრით.

**მიხეილ ბერიშვილი:** მეც ძირითადად მეგობრებთან ვერთობი.

*– როგორ ფიქრობთ, რა აკლია დღეს ქართულ კალათბურთს ყველაზე მეტად?*

**გიორგი ჯგერენაია:** პირველ რიგში აღვნიშნავდი თამაშების ნაკლებობას. ასევე, ჩემპიონატს აკლია ფინანსები, გულშემატკივრები და უკვე ლეგიონერებიც. ცუდია, რომ ტელევიზიით არ გადაიცემა მატჩები, ამ გზით ბევრი ადევნებდა ჩემპიონატს თვალს და მოთამაშეებსაც გვქონდა საშუალება, საკუთარი თამაში გაგვეანალიზებინა.

**მიხეილ ბერიშვილი:** მოვუწოდებთ გულშემატკივარს, რომ აუცილებლად იარონ თამაშებზე, მათი გამხნევება ჩვენთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. მაყურებლით სავსე დარბაზში თამაშს სულ სხვა ემოცია და ხიბლი აქვს. დავამატებდი ტრანსლაციის უქონლობას. ადრე ყველა უყურებდა ტელევიზიით. რაც უფრო მეტი ხალხი გაიცნობს კალათბურთს, მით უკეთესია. ჩემი ახლობლები ყოველთვის უყურებდნენ თამაშებს და ბევრი საზღვარგარეთიდანაც გვგულშემატკივრობდა. საწყენია, რომ ახლა ამის საშუალება აღარ აქვთ.

*– რა რჩევებს მისცემდით დამწყებ კალათბურთელებს? როგორია თქვენი წარმატების ფორმულა?*

**გიორგი ჯგერენაია:** აირჩიონ თავიანთი გზა და არ იფიქრონ, რომ რაიმე არ შეუძლიათ. დასახული მიზანი აუცილებლად ბოლომდე მიიყვანონ, ამისთვის დიდი შრომაა საჭირო.

**მიხეილ ბერიშვილი:** ვეთანხმები გიორგის. ნიჭი და გამართლება სპორტში მნიშვნელოვანია, თუმცა მთავარი შრომაა, რომელიც აუცილებლად დაუფასდებათ.

## ქართველ ბატუტისტთა წარმატება

ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გამართულ ბატუტზე მხტომელთა ასაკობრივ მსოფლიოს ჩემპიონატზე დიდ წარმატებას მიაღწიეს ახალგაზრდა ქართველმა ბატუტზე მხტომელებმა.

15-16 წლის ასაკის სპორტსმენთა შორის სინქრონულ ხტომებში საუკეთესო შედეგი აჩვენეს თეონა ჯანჯღავამ და ანა ოდიშვილმა, რომლებმაც ოქროს მედლები მოიპოვეს და ჩემპიონები გახდნენ.

მსოფლიო ჩემპიონატიდან დაბრუნების შემდეგ საქართველოს ბატუტზე მხტომელთა ნაკრების წევრებმა მედიისათვის ღია ვარჯიში ტანვარჯიშის დარბაზში გამართეს.

ღია ვარჯიშზე ახალგაზრდა ქართველ სპორტსმენებს წარმატება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძემ, სპორტის დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი დოლაბერიძემ და ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტმა კონსტანტინე ლაშხმა მიულოცეს.

საკვალიფიკაციო ეტაპზე ქართველ გოგონათა წყვილმა 41.800 ქულით მე-4 ადგილი დაიკავა და ფინალში გამოსვლის უფლება მოიპოვა, სადაც ჯანჯღავამ და ოდიშვილმა სხვებზე უკეთ იასპარეზეს და 44.500 ქულით პირველობა არავის დაუთმეს.

გამარჯვებულებს 1.400-1.400 ქულით ჩამორჩნენ გერმანელები – მონა ვაილერი, ფილის ლენსკერი და რუსები ვალერია კირილენკო, მარია შილოვა, რომლებსაც, შესაბამისად, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები ერგოთ.

ამ ასაკში კიდევ ერთ მედლამდე ცოტა დააკლდა ანა ოდიშვილს ინდივიდუალურ ხტომებში. კვალიფიკაციაში მან მე-2 შედეგი აჩვენა, ფინალში კი 49.165 ქულით მე-5 ადგილი დაიკავა და ბრინჯაოს მედლამდე მხოლოდ 0.8 ქულა დააკლდა.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე მსაჯად მიწვეული იყო საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციის გენერალური მდივანი რუსუდან ხოფერია.

## ვინ დაგვაკლდება მსოფლიო ჩემპიონატზე

სულ ახლახან გაირკვა მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე 32 ნაკრების ვინაობა. მომავალ ზაფხულს ბრაზილიაში ისეთი ვარსკვლავები დაგვაკლდება, ვისი ხილვაც, ალბათ, ფეხბურთის ყველა გულშემატკივარს სურდა.

გარეთ ბეილი და აარონ რემზი უელსის ნაკრების ღირსებას იცავენ. მათ ვერ მოახერხეს შესარჩევი ჯგუფის დაძლევა. მომავალი ოპტიმიზმის საშუალებას აძლევთ, განსაკუთრებით ახლა, როცა აარონ რემზი ფორმაშია და თამაშის ხარისხი გააუმჯობესა.

პეტერ ჩეხი და ტომაშ როსიცკი ვერ დაეხმარნენ ჩეხეთის ნაკრებს 32 გუნდში მოხვედრილიყვნენ და 2014 წლის ზაფხულში ბრაზილიაში ებრძოლათ. დასანანია, მით უმეტეს ორივე მათგანი 30 წელს გადასცდა.

ბრანისლავ ივანოვიჩი, ნევენ სუბოტიჩი და ალექსანდრ კოლაროვი – ასეთი ვარსკვლავური გვარების მიუხედავად, სერბეთის დაცვამ ვერაფერი მოუხერხა მეტოქე ნაკრების თავდამსხმელებს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში.

რობერტ ლევანდოსკი, იაკუბ ბლაჩიკოვსკი და ვოიცეხ შჩესნიც ძლიერ დააკლდება მომავალი წლის მუნდიალს პოლონეთის ნაკრების სხვა წევრებთან ერთად. ლევანდოვსკის გვარს, ალბათ, ხშირად შევხვდებით ახალი ამბების პირველ გვერდებზე, დასანანია, რომ მსოფლიო ჩემპიონატთან არ იქნება დაკავშირებული.

დანიელ აგერმა და კრისტიან ერიქსენმა ვერ მოახერხეს დანიის ნაკ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## უეფას წარმომადგენლებმა თბილისის მუშაობა დადებითად შეაფასეს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მნიშვნელოვანი ვიზიტით ეწვია უეფას წარმომადგენლობითი სამუშაო ჯგუფი, რომლის მთავარი მიზანი 2015 წელს თბილისში გასამართი უეფას სუპერთასისთვის მოსამზადებელი სამუშაოების დათვალიერება და ქართული მხარისთვის რეკომენდაციების გაწევა იყო.

რამდენიმედღიანი ნაყოფიერი და ინტენსიური მუშაობის შემდეგ უეფას დელეგაცია თბილისიდან კმაყოფილი და იმედიანი წავიდა. ვიზიტის შესახებ კი სფფ-ის გენერალურმა მდივანმა რევაზ არველაძემ ისაუბრა.

რევაზ არველაძე:

– უეფადან საკმაოდ მაღალი რანგის სტუმრები გვყავდა. ვიზიტის ძირითადი თემა იყო უეფას 2015 წლის სუპერთასის საორგანიზაციო საკითხები; ისეთები, როგორიცაა თამაშისთვის მომზადება, აეროპორტისა და ქალაქში ტრანსპორტირების თემები, ორივე მონაწილე გუნდის გულშემატკივრებისთვის ფანზონების გაკეთება, სტადიონების დათვალიერება – რომელი იქნება უფრო კარგი ამ ღონისძიებისთვის და ა.შ.

უეფას დელეგაციაში იყო საკლუბო გათამაშების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფინალური მატჩების დირექტორი, რომელიც უკვე წლებია ხელმძღვანელობს უეფას ჩემპიონთა ლიგისა და სხვა ფინალების ჩატარების ორგანიზებას; აქ იყვნენ ამ დეპარტამენტების თანამშრომლები და, რასაკვირველია, უეფას იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენელი, რომელმაც უკვე დაგვიტოვა იმ დიდი ხელშეკრულების ე.წ. „დრაფტი“, რომელზეც უეფამ და ქართულმა მხარემ უნდა მოაწერონ ხელი. მხარეში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გარდა, ასევე იგულისხმება რამდენიმე ინსტანცია – აეროპორტი, სტადიონი, ქალაქის მერია და სხვა საჭირო ორგანიზაციები.

ჩვენ კიდევ გვაქვს რამდენიმე თვე, რომ სტადიონთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება მივიღოთ. მარტისთვის უკვე დავგეგმეთ უეფას მომდევნო ვიზიტი თბილისში, რომელიც კიდევ უფრო მეტ სიცხადეს მოგვიტანს ბევრ საკითხთან დაკავშირებით.

გარდა იმისა, რომ ყოველდღიური, ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა ჩვენს ფედერაციაში, სტუმრებს ჰქონდათ შეხვედრა ქალაქის მერთან, ორივე სტადიონის („დინამო არენა“ და „მიხეილ მესხი“) ხელმძღვანელობასთან და უშუალოდ, თამაშების პროცესში ნახეს ეს სტადიონები; ასევე, დაათვალიერეს ის ადგილები, სადაც შეიძლება განთავსდეს ფანზონები. ნახეს რამდენიმე ვარიანტი, სადაც უნდა გაიმართოს სუპერთასის ოფიციალური გალა-ვახშამი, რომელიც ამ დიდი ღონისძიების ტრადიციული ნაწილია და სადაც წარმოდგენილია თასი, ესწრებიან უეფასა და კლუბების ხელმძღვანელები... ვიმუშავეთ იმ თემაზეც, თუ როგორ უნდა მოხდეს ქალაქის ბრენდინგი ანუ როგორ უნდა შეიფუთოს ქალაქი ამ ღონისძიებისთვის.

როგორც უკვე გითხარით, უეფას მომავალი ვიზიტი, სავარაუდოდ, 2014 წლის მარტში შედგება. ჩვენი ძირითადი ამოცანა კი, მათ ჩამოსვლამდე სტადიონების თემაზე უფრო კარგად ჩამოყალიბება იქნება. რა რეკომენდაციებიც ჩვენ მივიღეთ, არაფერი განსაკუთრებული და რთული ამაში არ არის. ყველაფერს აქვს თავისი დრო და ეტაპი. ამ ეტაპზე ჩვენ ჯერ გადაწყვეტილებები გვაქვს მისაღები; მერე, ბევრი რამაა გასაკეთებელი და ბოლო ეტაპია ყველაზე დატვირთული და მნიშვნელოვანი.

ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბილეთის ფასს, სტადიონს, რადგან ძალიან გვინდა, რომ სუპერთასს „მიხეილ მესხმა“ უმასპინძლოს, მაგრამ ეს საკითხი ცოტა მოგვიანებით გადაწყდება. ახლავე შემიძლია გითხრათ და ეს უკვე არაერთხელ გავაჟღერეთ, რომ ბილეთების საკითხი კვოტირებული იქნება: მონაწილე კლუბები მიიღებენ გარკვეულ რაოდენობას, ნაციონალური ფედერაციები თავის კვოტას, უეფა, მისი სტუმრები, სპონსორები და ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტი გარკვეულ რაოდენობას. დანარჩენი ბილეთები კი, როგორც ყოველთვის უეფას ვებგვერდზე გაიყიდება.

მარტში კი, მთავარი რაც მოხდება – გაფორმდება ხელშეკრულება უეფასა და ქართულ მხარეს შორის, სადაც მხარეების ყველა ვალდებულება დეტალურად იქნება გაწერილი.

დიდი სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი სტუმრები თბილისიდან უზომოდ კმაყოფილები წავიდნენ. კმაყოფილები ჩვენი მზაობით, ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტის ინტელექტუალური რესურსითა და კომუნიკაბელურობით, რაც ძალიან მიხარია და მეამაყება.

## შედეგები

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| კლივლენდი-ვაშინგტონი | 91:98 |
| ნიუ იორკი-ინდიანა | 96:103(ოტ) |
| ორლანდო-მაიამი | 92:120 |
| ფილადელფია-ტორონტო | 98:108 |
| შარლოტი-ბრუკლინი | 95:91 |
| ატლანტა-დეტროიტი | 93:85 |
| მილუოკი-პორტლენდი | 82:91 |
| **ზაზა ფაჩულია: 8 ქულა, 11 მოხსნა** | |
| მინესოტა-კლიპერსი | 98:102 |
| ნიუ ორლეანი-იუტა | 105:98 |
| სან ანტონიო-ბოსტონი | 104:93 |
| ფინიქსი-საკრამენტო | 106:113 |
| დალასი-ჰიუსტონი | 123:120 |
| გოლდენ სტეიტი-მემფისი | 81:88(ოტ) |

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| ოტავა-მინესოტა | 3:4 |
| ვაშინგტონი-პიტსბურგი | 0:4 |
| ანაჰაიმი-ნიუ ჯერსი | 3:4(ოტ) |
| კალგარი-კოლამბუსი | 1:2(ოტ) |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ქვეყნის ციხესიმაგრეების აღდგენა-რეაბილიტაცია დაიწყო

ეკა ირემაშვილი

სიძველეები არ არის მხოლოდ საკულტო ნაგებობები. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ახალი პრიორიტეტია – ქვეყნის ციხე-სიმაგრეების ეტაპობრივი აღდგენა-რეაბილიტაცია.

სახელმწიფო დაცვის სტატუსი ქვეყნის რამდენიმე ათას ძეგლს აქვს მინიჭებული, აქედან ქვეყნის უმაღლესი კატეგორიის – ეროვნული მნიშვნელობის სტატუსის მქონე საფორტიფიკაციო ნაგებობები დღემდე ყურადღების მიღმაა მიტოვებული და გადაუდებელ საკონსერვაციო სამუშაოების ჩატარებას წლებია საჭიროებს.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით და დაფინანსებით, იუნესკოს წინასწარულ ნუსხაში მყოფი ხერთვისის ციხის, ყველაზე მძიმე მდგომარეობაში არსებული აწყურის ციხისა და წლების წინ მეწყრის შედეგად დაზიანებული ბებრის ციხის გადაუდებელი ფიზიკური სამუშაოები მცხეთაში, უკვე დაწყებულია. სამუშაოების წარმოების ხარისხი მკაცრად კონტროლდება ეროვნული სააგენტოს ახლადშექმნილი ხარისხის კონტროლისა და ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურის მიერ. სამუშაოების მიმდინარეობა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა მერაბ ბოჭიძემ თავად მოინახულა და შეაფასა.

2009 წელს მეწყრის შედეგად ბებრის ციხის ციტადელის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილი გრუნტთან ერთად მოწყდა ძირითად ციხეს და დასავლეთის და ჩრდილოეთისკენ მიმართული კედლები განადგურების პირას აღმოჩნდა. ამავე წლებში, სამშენებლო წესების მიხედვით ჩატარებული კვლევით ბებრისციხეს - ყველაზე მძიმე, დაზიანების მე-3 კატეგორიით შეფასდა და დეტალურად გაირკვა დამეწყრის ძირითადი ზონები. სპეციალისტები ბებრის ციხის გადარჩენის პირველ ეტაპზე ციხის ჩრდილოეთ კედლის, როგორც ყველაზე დაზიანებული ნაწილის გამაგრება-აღდგენაზე მუშაობენ. ბებრისციხე მცხეთის მუნიციპალიტეტშია. მას უძველეს დროს ერქვა ბელტა. აგებულია ანტიკურ ხანაში.

– ქართულ წერილობით წყაროებში ბებრისციხე პირველად იხსენიება უცნობ მემატიანესთან, რომლის თანახმადაც საქართველოს მეფე დემეტრე პირველი გარდაიცვალა ბელტისციხში, შემდეგ იგი წაასვენეს და გელათში, მისგანვე კურთხეულ ტაძარში დაკრძალეს. ბებრისციხის მშენებლობას XVIII ს. ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი არდამ ქართლის ერისთავს მიაწერს, რომლის ზეობა ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების პერიოდს უნდა ემთხვეოდეს. ბებრისციხე-ბელტისციხე მცხეთა ქალაქის ჩრდილოეთიდან ჩამკეტი მცველის როლს ასრულებდა. იმ ადგილას, სადაც იგი დგას ხეობა მეტად ვიწროა, ამიტომ ციხე მშვენივრად რაზავდა ქალაქს ამ მხრიდან.

2006-2008 წლებში ციხეზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილმა მრავალრიცხოვანმა და სხვადასხვა პერიოდის მასალამ ცხადყო, რომ IV საუკუნიდან მოყოლებული ვიდრე XVIII საუკუნის ჩათვლით ბებრისციხე მოქმედი ციხე-სიმაგრე იყო. ბებრისციხე კომპლექტურადაა აგებული შემაღლებულ კონცხზე. ციხე ორი ნაწილისაგან შედგება: მთავარი ციტადელი, მას სამხრეთით პატარა ეზო აკრავს. გეგმაში იგი სამკუთხედს უახლოვდება. სამივე კუთხეში კოშკები მდგარა, რომელთაგანაც სამხრეთ-აღმოსავლეთისა ყველაზე დიდია. იგი რამდენიმე სართულისაგან



შედგება, რაც მის არა მარტო თავდაცვით, არამედ საცხოვრებელ დანიშნულებასაც მიუთითებს. ჩრდილოეთის კოშკი ზომით უფრო მცირეა, თუმცა აგებულებით იგივე ტიპის. ორივე კოშკში ერთი საინტერესო დეტალია შემორჩენილი: ღრმა ნიშებში განლაგებულია საბრძოლო ტვრელები, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა მშვილდ-ისრის სროლა. ეს კი ვერ მოხდებოდა ორი-სამი მეტრის სისქის კედლებიდან, თუ მათში განიერი და ღრმა ნიშები არ გაკეთდებოდა. მესამე, აღმოსავლეთის კოშკი ასევე დანგრეულია და მოგვიანებით ამ ადგილას, გაუქმებული ციხის ტერიტორიაზე, საგუშაგო კოშკი აუგიათ, რომელიც იქვე მდგარი კოშკისაგან განსხვავებით ცილინდრული ფორმისაა, – ამბობენ სააგენტოში.

ბებრისციხის შესახებ შემონახულია ლეგენდა: ოდესღაც ეს მიწა ეკუთვნოდა ვინმე თავად სიმონს. მას აქ ხეობის ვიწროში, აუგია სიმაგრე და შიგ გზისმცველი ჩაუყენებია. თავად ორი შვილი ჰყოლია; ლამაზი მაკრინე და გულქვა მამუკა. მამის გარდაცვალების შემდეგ, მამუკას დიდძალი გადასახადი დაუკისრებია ქვეშევრდომებისათვის. მარინეს შებრალებია ისინი და მამუკას მათი გადასახადისაგან გათავისუფლება სთხოვა. გამძვინვარებულმა ძმამ მაკრინე კოშკში გამოამწყვდია. ერთ დღეს, როდესაც ყმებისათვის წყალ-წყალა საჭმელი მზადდებოდა, გამოჩენილან ყვავები და ქვაბში ჩაცვენილან. ყმებს საჭმელი გადაუსხიათ, ამის შემხედვარე მამუკა გაბრაზებულა და გლეხებს დასაჭერად დადევნებია. უეცრად ქვაბიდან გველები ამოცვენილან და მამუკას შემოხვევიან. სასოწარკვეთილი მამუკა ღმერთს შეევედრა: ოღონდ მიხსენი და ეკლესიას აგიგებო. ამ სურათს ხედავდა თურმე კოშკში დამალული მაკრინე, რომელიც მხურვალედ ევედრებოდა ღმერთს. ღმერთს შეუსმენია მათი ვედრება. და-ძმას ეკლესიურად ცხოვრება დაუწყიათ. და მონაზვნად აღკვეცილა, მამუკა კი ბერად შემდგარა. 70 წლის მაკრინე გარდაიცვალა. დასაფლავების დღეს მისულა თეთრწვერა მოხუცი, რომელიც მიცვალებულს ეამბორა შუბლზე და წარმოსთქვა: „დაო ჩემო, ჩვენ შევასრულეთ ჩვენი აღთქმა“. ამ სიტყვების დასრულებისთანავე იქვე ჩაკეცილა და სული განუტევებია, ამიტომ ეწოდება ციხეს „ბებრისციხე“.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გადაუდებელი გამაგრებითი სამუშაოები მიმდინარეობს აწყურის ციხის ჩრდილოეთ კედლის ყველაზე ავარიულ მონაკვეთში. აწყურის ციხის მდგომარეობა ყოველწლიურად მძიმდება. კედლის ჩამონგრევის საფრთხე ზამთრის დადგომის წინ მატულობს, რომლის პარალელურად, სპეციალისტები კონსერვაციის აუცილებლობაზე დიდი ხანია საუბრობენ. ამ ეტაპზე აწყურის ციხეზე რესტავრატორები საგანგებო რეჟიმში მუშაობენ იმისთვის რომ, მოახლოებულ ზამთარში არ მოხდეს არა მხოლოდ ძირგამონგრეული ნაწილის, არამედ მისი მომიჯნავე ავარიული უბნების მოსალოდნელი ნგრევა.

აწყურის ციხე ფეოდალური ციხესიმაგრეა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, სოფელ აწყურთან. მატიანეში პირველად იხსენიება XI საუკუნის შუა წლებში.

– აწყურის ციხე სამხრეთიდან იცავდა ბორჯომის ხეობას. XVI საუკუნის II ნახევარში ციხე ოსმალებმა დაიკავეს. როცა აწყურის ციხეს რუს-ქართველთა გაერთიანებული ლაშქარი შემოეწყო, მაგრამ მისი აღება ვერ მოხერხდა. ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების თანახმად, განთავისუფლებულ იქნა ოსმალთა ბატონობისაგან. აწყურის ციხის მშენებლებმა მოხერხებულად გამოიყენეს მაღალი და ძნელად მისადგომი კლდის რელიეფი და შექმნეს სამშენებლო თვალსაზრისით რთული და საინტერესო ნაგებობა. ციხეში შესვლა კლდეში გამოკვეთილი ვიწრო გვირაბით შეიძლება. შიდა ნაგებობა იმდენად ძნელად მისადგომი იყო, რომ მტერი გვირაბში შეჭრის შემდეგაც ვერ დაიმორჩილებდა ადვილად. ამჟამად ციხე მთლიანი ნაგებობა აღარ არის. შეინიშნება სხვადასხვა დროის მრავალი სამშენებლო ფენა. ამჟამად აწყურის ციხე დანგრევის პირასაა, – განმარტავენ სააგენტოში.

მესამე ძეგლი, რომელზეც სარესტავრაციო სამუშაოებია დაწყებული ხერთვისის ციხეა. ის 2007 წლიდან იუნესკოს წინასწარულ ნუსხაშია შეტანილი. მდგომარეობა მძიმეა დასავლეთის მრუდწახნაგოვან კოშკსა და ციტადელის გალავანზე. სამუშაოები ადგილობრივი ჯიშის ქვითა და კირის დუღაბის გამოყენებით ხორციელდება. ხერთვისის პროექტი გასულ წლებში იკომოსსაქართველომ მოამზადა – პროექტის მიხედვით, ხერთვისის მთავარი კოშკის აღმოსავლეთ ფასადის ქვედა მონაკვეთებში ჩამოშლილი საპირე წყობის აღდგენა, უხეშად ნათალი წყობის თავდაპირველი ხასიათის გამეორებით, კირის დუღაბზე მიმდინარეობს; ასევე ხორციელდება გვიანდელი გამონგრეული კარის ღიობის წირთხლების ამოყვანა აგურის წყობით, და ხის ზღუდარის მოწყობა; დასავლეთის ფასადის არაავთენტური, გამოქარული და დაზიანებული საპირე წყობის შეცვლა თავდაპირველი უხეშად ნათალი წყობით და კოშკის ზედა ნაწილის გამოფიტული კონტურის კონსერვაცია. ციტადელის გალავნის სამხრეთ დასავლეთ კედელზე მიმდინარეობს კონტრფორსის და კედლის მიმდებარე ნაწილების დაზიანებული და ჩამოცვენილი საპირე წყობის აღდგენა უხეშად დამუშავებული ადგილობრივი ჯიშის ქვით. დასავლეთ კედლის სამხრეთ-დასავლეთ კუთხის კონტრფორსის ქვედა ნაწილების და მისი მიმდებარე მონაკვეთებში დაზიანებული და ჩამოცვენილი საპირე წყობის აღდგენა. ციტადელში შესასვლელ კარის ღიობისთვის ლითონის გისოსიანი კარის დამზადება და მონტაჟი.

– ხერთვისი შუა საუკუნეების ციხესიმაგრეა სამხრეთ საქართველოში, ჯავახეთში. ის მოქმედი სიმაგრე იყო ფეოდალური ხანის მთელ მანძილზე. 2007 წლის 24 ოქტომბრიდან ხერთვისი ვარძიის მონასტერთან ერთად შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ სიაში. მემატიანე ლეონტი მროველის ცნობით, რომელიც ზეპირ ტრადიციას უნდა ემყარებოდეს, ალექსანდრე მაკედონელს ძვ. წ. IV საუკუნის 20-იან წლებში, აღმოსავლეთში ლაშქრობის დროს, საქართველოს სხვა ციხე-ქალაქებთან ერთად ხერთვისიც უნახავს. ხერთვისი მნიშვნელოვან მაგისტრალზე მდებარეობდა, ექვემდებარებოდა ფარავნის და მტკვრის მიმდებარე რეგიონის დასახლებული პუნქტები. XVI საუკუნეში ხერთვისის ფეოდალური მფლობელები მონაცვლეობით იყვნენ ქამქამისძენი, ხერთვისარნი, ამატაკიანნი ან შალიკაშვილნი. სამხრეთ საქართველოში ოსმალთა ექსპანსიის დროს, ჯავახეთის სხვა ციხესიმაგრეებთან ერთად ოსმალებს ხერთვისიც ჩაბარდა. შემდგომში იგი ოსმალეთის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრი იყო. XVIII საუკუნის 70-იან წლებში ის მეფე ერეკლე II-მ აიღო. რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს, ციხე რუსეთის ჯარებმა გაათავისუფლეს. ხერთვისი ბევრჯერ გადაუკეთებიათ, შეიმჩნევა ადრინდელი შუა საუკუნეების სამშენებლო ფენა. ციხე შედგება ციტადელისა და გალავნისაგან. ციტადელი მთის ვიწრო, კლდოვან ქიმზეა აღმართული, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მიუდგომელია. წყლით მარაგდებოდა ჩრდილო-დასავლეთით გაყვანილი გვირაბის საშუალებით, – აღნიშნავენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში.

როგორც სააგენტო განმარტავს, აღნიშნულ ციხე სიმაგრეებზე სარეაბილიტაციო სამუშაობის პირველი ეტაპი დეკემბრის ბოლომდე დასრულდება.

# ვის დააჯილდოვებენ „მეგაზე“?

ეკა ირემაშვილი

10 დეკემბერს საქართველოს მუსიკალური დაჯილდოების „მეგა“ მორიგი საზეიმო ცერემონიალი გაიმართება, რომელიც სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულებს დაასახელებს და მათ დააჯილდოვებს. როგორც მისი ავტორი და დამფუძნებელი ბესო ჩუბინიძე ამბობს, წელს ღონისძიება მარჯანიშვილის თეატრში ჩატარდება. მანამდე კი მისი ორგანიზატორები საგანგებო განცხადებას ავრცელებენ, რომელსაც „ახალი თაობა“ უცვლელად გთავაზობთ:

– „მუსიკალური დაჯილდოების ცერემონიალი „მეგა“ დაარსდა 1999 წელს, ამ პერიოდისთვის არსებული 7 სხვადასხვა დასახელების დაჯილდოების ცერემონიალებთან კონკურენციაში რთულად მოიპოვა საკუთარი ადგილი, ვიდრე ქვეყნის მთავარ მუსიკალურ დაჯილდოებამდე. გადაიტანა რევოლუციები, ომები, მიწისძვრები, პრეზიდენტები, პრემიერ-მინისტრები, მერები, კულტურის სამინისტროები, შავები, ქურდები, ცისფერები, პიდარასტები, გადაიტანა ყველაფერი რისი წარმოდგენაც შეგიძლიათ ვითარცა 2013 წლამდე მოსაღწევად!

ყველაზე მნიშვნელოვანი ამ წლების მანძილზე ის არის, რომ არცერთი არც-ერთი წელი არ ჩაუგდია და ყველაფრის და ყველას მიუხედავად აკეთებდა ყოველწლიურ დაჯილდოების ცერემონიალს, არცერთი წელი არ იუკადრისა არც ფილარმონიის დარბაზი, არც რესტორნის, არც კლუბის, არც თეატრის ყოველთვის ერთგულად ემსახურებოდა მიზანს რომელიც 1999 წლიდან დაისახა: ქართველი ხელოვანების სიცოცხლეშივე დაფასება!

„მეგა“ ერთადერთია (ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციისგან განსხვავებით) ვინც სიკვდილის შემდეგ უკვდავყო ისეთი დიდი მუსიკოსების სახელი როგორიც იყო დათო ოძელაშვილი (და დაარსდა „ოძელას მეგა“) ირაკლი ჩარკვიანი (და დაარსდა „მეფეს მეგა“) თეონა ქუმსიაშვილი (და დაარსდა „თეონას მეგა“).

არცერთი წლის არცერთ პერიოდში არ შეუწყვეტია მთელს საქართველოში მონიტორინგი, ფიზიკურად ჩასვლა-ძებნა-ძიების პროცესი! არცერთხელ არ უთქვამს უარი არცერთი ფესტივალის, კონცერტის თუ ღონისძიების განხილვაზე, „მეგა“ ყოველთვის დამოუკიდებელი საშუალებებით აწარმოებს საქართველოს შემოვლას და ყველაფრის დოკუმენტალიზაციას!

„მეგა“ არასოდეს ერეოდა ხალხის არჩევანში, მეტიც ხშირად არც იზიარებს ამა თუ იმ ნომინაციაში გამარჯვებულის ტიტულს, ხანდახან ფიქრობს, რომ დაუმსახურებლადაც იღებენ ქვეყნის მთავარ მუსიკალურ ჯილდოს ზოგიერთები, მაგრამ „მეგა“ არასოდეს ერთპიროვნულად არ წყვეტდა ამ საკითხს, ხალხის აზრი (ყოველგვარი კომერციული სმს-ების და იდიოტური ლაიქების გარეშე, პირდაპირ უსმენდა ხალხს, მთელს საქართველოში) ხალხის აზრი იყო, არის და იქნება პრიორიტეტი. „მეგა“ არ აღიარებს სხვა ავტორიტეტებს ამ საქმეში, გარდა ხალხისა!

„მეგას“ ჰქონდა, აქვს და ექნება შეცდომები, იმიტომ, რომ მას ადამიანები ხელმძღვანელობენ, რომელთაც უყვართ და ერთგულობენ ამ საქმეს და არანაირად 1999 წლიდანაც კი, არ სურდათ პროექტის ერთჯერადობა! ამიტომაც არ ყოფილა მისი ჩატარება დამოკიდებული არცერთი მთავრობის, ხელისუფლების, პრეზიდენტის, პრემიერმინისტრის ან „მათისტების“ დახმარებაზე, მეტიც „მეგას“ ყოველთვის ყავდა და ყავს დღესაც მოშურნე ჩინოვნიკები სპეცსახელისუფლო ორგანიზაციებში, რომლებსაც დღესაც კი აკვირვებთ, თუ რატომ, რატომ არცერთ წელიწადს არ ჩაიშალა საქართველოს მუსიკალური დაჯილდოების ცერემონიალი.

მალე საქართველოში გამოიჩეკება ახალი ცერემონიალები, კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციების მხრიდან დაფინანსებულ-მოწყობილი! მალე ქართულ შოუბიზნესს ტალღასავით გადაუვლის მყვირალა სახელები და ორგანიზატორთა სახეები, მაგრამ როგორც მაშინ, როცა ქართულ რეალობაში გამოჩნდა ქართული შოუბიზნესის დაღუპვის დასაწყისის ხელშემწყობი ორგანიზაცია „არტიმედი“ და არავინ მოგვისმინა, ახლაც ვაცხადებთ მაშინდელივით, ეს ტალღები ცუნამივით გადაუვლის ყველაფერს! ამიტომ იყავით ფრთხილად, ყურადღებით – ყველაფერი რაც ბრწყინავს და ყვირის, ოქრო და ბოჩელი არ არის! – ერთჯერადი – მხოლოდ პრეზერვატივია კარგი!

საქართველოს მუსიკალური დაჯილდოების ცერემონიალი „მეგა“ გილოცავთ მოახლოებულ მე-14 დაჯილდოებას და ყველა მოწვეულ სტუმარს, ნომინანტს, ჟურნალისტს (მოსაწვევები მხოლოდ 300 სტუმარს შეხვდება სამწუხაროდ, რადგან მარჯანიშვილის თეატრის დიდი დარბაზი არც ისე დიდია) დაგელოდებათ – 10 დეკემბერს 19:00 სთ-ზე“, – აღნიშნულია სპეციალურ განცხადებაში.

# ვინ დაგვაკლდება მსოფლიო ჩემპიონატზე

დასაწყისი მე-9 გვერდზე

რებისთვის მუნდიალის საგზურის მოპოვება, შესარჩევ ჯგუფში მე-2 ადგილზე გავიდნენ, მაგრამ საკმარისი არ აღმოჩნდა. სამწუხაროა „მამლების“ ნახევარმცველის კრეატიული შეტევების გარეშე მუნდიალის ყურება.

მარტინ შკრტელმა და მარეკ ჰამშიკმა ვერ შეძლეს, მეორედ გასულიყვნენ მსოფლიო ჩემპიონატზე ქვეყნის არსებობის ისტორიაში. მათ ეს პირველად 2010 წელს გააკეთეს. სლოვაკეთის გამოჩენა სამხრეთ აფრიკაში ნამდვილი სიურპრიზი იყო.

დაბოლოს, ზლატან იბრაჰიმოვიჩი, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი და „ოქროს ბურთის“ კანდიდატი. ბოსნიელი მამის და ხორვატი დედის შვილი, შვედეთის ნაკრების ნამდვილი ლიდერია და მისი შემართება პორტუგალიის ნაკრების წინააღმდეგ თამაშში აღფრთოვანებას იწვევს. პლეი ოფის 2-მატჩიან შეხვედრაში პორტუგალიასთან მოუწია დაპირისპირება, სადაც მისმა გუნდმა 2 მატჩის ჯამში 2:5 დათმო.

ამ სიას კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი დაემატოს – დავიდ ალაბა (ავსტრია), ჰენრიჰ მხითარიანი (სომხეთი), არდა თურანი (თურქეთი), სტევან იოვეტიჩი (ჩერნოგორია). თუმცა, ამ ფეხბურთელების გუნდებს ნაკლებად ჰქონდათ შანსი, მუნდიალზე მოხვედრილიყვნენ.

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ცარიელი, თაფლგამოცლილი ფიჭა; 2. კუსტბის ძველი სახელწოდება; 3. თბილისის მმართველი IX-XII საუკუნეებში; 4. დაბალი ხარისხის ალმასი; 5. ესპანეთის ძველი დედაქალაქი; 6. გულიანი კანფეტი; 8. ქუჩების, შენობათა ფასადების ფერად-დეკორაციული განათება; 10. ატლანტიკის ოკეანისა და ხმელთაშუა ზღვების დამაკავშირებელი სრუტე; 11. პატარა სურათი, ლიტერატურული ან მუსიკალური ნაწარმოები; 14. ტყვია-თუთიის საბადო სამაჩაბლოში; 15. უკრაინული ლუდი; 16. შავი ფისი.

**თარაზულად:** 1. ორგანიზმის ან რომელიმე ორგანოს სპეციფიკური მოქმედება, დანიშნულება; 4. მცენარეთა შემსწავლელი მეცნიერება; 7. მდინარე რომში; 9. ძილის მომგვრელი საშუალება; 12. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 13. ხელოვნების მუზეუმი პარიზში; 14. მართკუთხა სამკუთხედის ერთ-ერთი გვერდი; 17. გოეთეს ტრაგედია; 18. ვინმეზე დამოკიდებულებისაგან გათავისუფლება, უფლებრივად გათანასწორება; 19. უფროსი მწყემსი; 20. პოლიტიკური პარტია ისრაელში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ხერგიანი; 2. იუნგა; 3. ყაპუზუნა; 4. დიდუბე; 7. კროლი; 9. ერაძე; 12. კრიტერიუმი; 14. ბულონი; 15. ნუსხური; 17. კანტატა; 18. ომალო.

**თარაზულად:** 5. ცელსიუსი; 6. ორაგული; 8. ვაგნერი; 10. კელასური; 11. ანდორა; 13. ბლატერი; 16. შეწირული; 18. კამეა; 19. ასაჰი; 21. უმანკო; 22. ბროწეული; 23. გაუტამა.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ორლი; 2. ნუყრი; 3. აკამა; 4. ცეკვა; 5. ცეზარი; 6. თოთიბაძე; 8. მანჯგალაძე; 10. კრიმანჭული; 11. სამეგრელო; 14. ბელგია; 15. ბეტისი; 16. დაშნა.

**თარაზულად**: 1. ოპუნცია; 4. ცუცხვათი; 7. ლიეჟი; 9. მარკა; 12. გიურზა; 13. გნომა; 14. ბრონტე; 17. პლევრა; 18. ილუმინატორი; 19. რეალობა; 20. ჰაშიში.

## უკრაინის უმაღლესმა რადამ იულია ტიმოშენკოს საზღვარგარეთ მკურნალობას მხარი არ დაუჭირა

უკრაინის უმაღლესმა რადამ არ მიიღო კანონი, რომელიც პატიმრების, მათ შორის, ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრის იულია ტიმოშენკოს საზღვარგარეთ მკურნალობას ითვალისწინებდა. ამის შესახებ უკრაინული მედია იუწყება.




გავრცელებული ინფორმაციით, უკრაინელმა დეპუტატებმა წარმოდგენილი ექვსი კანონპროექტიდან არც ერთს არ დაუჭირეს მხარი.

როგორც „ინტერფაქს-უკრაინა" იუწყება, უკრაინის უმაღლეს რადაში განსახილველად შესულმა ექვსივე კანონპროექტმა, რომელიც პატიმრების საზღვარგარეთ მკურნალობას ითვალისწინებდა, 195 ხმაზე მეტი ვერ მოიპოვა. სააგენტოს ინფორმაციით, „რეგიონების" პარტიის ფრაქციამ და უკრაინის კომპარტიამ ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს.

ოპოზიციამ რადას ასეთ ქმედებას სამარცხვინო უწოდა და ქვეყნის ხელისუფლებას ყოფილი პრემიერის პატიმრობიდან დღესვე გათავისუფლება მოსთხოვა.

იულია ტიმოშენკოს საკითხის მოგვარება და მისი პატიმრობიდან გათავისუფლება ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა, რომელსაც ევროკავშირი უკრაინას უყენებს ვილნიუსის სამიტამდე, რომელზე უკრაინა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას გეგმავს.

ევროკავშირის წარმომადგენლებმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ ტიმოშენკოს საკითხის მოგვარების გარეშე შეთანხმებას ხელი ვერ მოეწერება.

შეგახსენებთ, უკრაინის ხელისუფლება გააფრთხილეს, რომ თუ ვილნიუსში ასოცირების შესახებ შეთანხმებას არ მოეწერება ხელი, ბრიუსელსა და კიევს შორის ურთიერთობებში პაუზა, შესაძლოა, ძალიან დიდი ხნით გაიწელოს.

ევროპის კავშირის თავმჯდომარე ლიტვის პრეზიდენტმა დალია გრიბაუსკაიტემ განაცხადა, რომ ევროკავშირი არ მოაწერს ხელს უკრაინის ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე ექსპრემიერ იულია ტიმოშენკოს საკითხის გადაწყვეტის გარეშე.

„არ არსებობს გარანტია, რომ შეთანხმებას ხელი ერთი ან ორი წლის შემდეგ მაინც მოეწერება. ურთიერთობებში პაუზა, შესაძლოა, ძალიან დიდი ხნით გაიწელოს", – აღნიშნა გრიბაუსკაიტემ.

„ევროკავშირი მზადაა, დაეხმაროს უკრაინას მოლაპარაკებებში საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, რათა გაუძლოს რუსეთის ეკონომიკურ ზეწოლას, რომელიც მას მოუწოდებს, საბაჟო კავშირში გაწევრიანდეს", – ეს განცხადება ლიტვის პრეზიდენტმა დალია გრიბაუსკაიტემ „ფრანს-პრესისთვის" მიცემულ ინტერვიუში გააკეთა.

„ევროკავშირი მზადაა, მოლაპარაკებები დაიწყოს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან უკრაინის ეკონომიკის დახმარებისათვის კრედიტის გამოყოფის საკითხზე. ევროპა მზადაა, წინააღმდეგობა გაუწიოს მესამე ქვეყნების ზეწოლას", – განაცხადა პრეზიდენტმა, რომელიც ამჟამად ევროკავშირში თავმჯდომარეობს.

## ამერიკამ და ავღანეთმა უსაფრთხოების ხელშეკრულების პროექტი შეათანხმეს



„როიტერის" ცნობით, ოთხშაბათს ამერიკამ და ავღანეთმა მნიშვნელოვან უსაფრთხოების შესახებ ხელშეკრულების პროექტზე მოახერხეს შეთანხმება, რომელიც 2014 წლის შემდეგ ავღანეთში ამერიკელი სამხედროების დარჩენას განსაზღვრავს. ახლა ამ პროექტს ავღანეთის უხუცესთა საბჭოზე განიხილავენ.

როგორც ცნობილია, საერთაშორისო კოალიციის ჯარები ავღანეთს 2014 წლის ბოლოს ტოვებენ.

შეთანხმების პროექტში, სხვა საკითხებთან ერთად, ამერიკელი სამხედროების მიერ კონტრტერორისტულ ოპერაციებში მონაწილეობაზეც არის საუბარი. როგორც ცნობილია, ამ შეთანხმების დადების გარეშე ვაშინგტონი ავღანეთიდან 2014 წლის ბოლოს ჯარებს მთლიანად გაიყვანს და ავღანეთის ძალებს „თალიბანის" წინააღმდეგ მოქმედება მათი დახმარების გარეშე მოუწევს.

მიღწეული შეთანხმება ძალაში 2015 წლის 1 იანვრიდან შევა და 2024 წლის ბოლომდე იმოქმედებს. ერთ-ერთი ამერიკელი მაღალჩინოსნის თქმით, ჯერ საბოლოოდ არ არის განსაზღვრული 2014 წლის შემდეგ ავღანეთში დარჩენილი ამერიკელი სამხედროების რაოდენობა.

ჯონ კერის სიტყვებით, მათი რიცხვი „შეზღუდული" იქნება: „მათი მისია ძირითადად შემოიფარგლება ავღანელი სამხედროების სწავლებით, არანაირ მონაწილეობას არ მიიღებენ ამერიკელი სამხედროები საბრძოლო ღონისძიებებში", – განაცხადა ჯონ კერიმ. ამასთანავე, შეთანხმების პროექტის მიხედვით, როგორც ამერიკის მედიასაშუალებები წერენ, სამხედრო კონტინგენტს, რომელიც ავღანეთში დარჩება, შესაძლებლობა ექნება, ჩაატაროს ანტიტერორისტული ღონისძიებები ავღანეთის არმიისა და უსაფრთხოების ძალების დასახმარებლად. შეგახსენებთ, რომ ამერიკამ ავღანეთში ჯარები 2001 წლის 11 სექტემბრის ამერიკაზე „ალ ქაიდას" მიერ განხორციელებული თავდასხმების შემდეგ შეიყვანა.

ავღანეთის პრეზიდენტმა ჰამიდ ყარზაიმ უმაღლესი საერთოავღანური ასამბლეის წევრებს მოუწოდა, შეათანხმონ ხელშეკრულება ვაშინგტონთან, რომელიც აშშ-ის ჯარებს ქვეყანაში 2014 წლის შემდეგ დარჩენის უფლებას მისცემს. ასამბლეის გახსნისას ყარზაიმ განაცხადა, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა ის დაარწმუნა, რომ ეს შეთანხმება რეგიონში სტაბილურობის გამყარებისკენაა მიმართული.

ასევე ავღანელმა ლიდერმა აღნიშნა, რომ ამ შეთანხმებას მხარს უჭერენ ინდოეთი, ჩინეთი და რუსეთი.

ამ შეთანხმების ერთ-ერთ სადავო საკითხად რჩება ამერიკელი სამხედროების ნებართვა ადგილობრივი მოსახლეობის სახლებში შესვლასთან დაკავშირებით.

ამას გარდა, ჯერაც გაურკვეველია, ამერიკელი სამხედროები ავღანურ კანონებს დაემორჩილებიან თუ ამერიკულს. ადრე ყარზაიმ განაცხადა, რომ 2014 წლის ბოლოს ავღანეთში შესაძლოა 15 ათასამდე უცხო ქვეყნის ჯარისკაცი დარჩეს.

## სისი ეგვიპტის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ გამორიცხავს



ეგვიპტის არმიის გენერალი აბდელ ფატაჰ ალ-სისი, რომელმაც გასულ ზაფხულს მოქმედი პრეზიდენტი მოჰამედ მურსი გადააყენა, მომავალი წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ გამორიცხავს.

კუვეიტის ერთ-ერთი გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში არჩევნებში მონაწილეობის შესახებ სისიმ აღნიშნა: „ვნახავთ, იქამდე რა მოხდება".

ცოტა ხნის წინ ქვეყანაში კვლავ გაიმართა მურსის მხარდამჭერების აქცია, სადაც მონაწილეები აბდელ ფატაჰ ალ-სისის აფრთხილებდნენ, პრეზიდენტობაზე არც ეფიქრა.

ასევე, მშვიდობიანი საპროტესტო აქცია ეგვიპტეში შეტაკებებით დასრულდა. კაიროს ქუჩებში ერთმანეთს ფეხბურთის გულშემატკივრები და სამართალდამცველები დაუპირისპირდნენ.

მიტინგი ორი წლის წინ საპროტესტო აქციაზე მოკლული დემონსტრანტების ხსოვნის პატივსაცემად ტარდებოდა, თუმცა მოგვიანებით დაპირისპირებაში გადაიზარდა.

აქციის დასაშლელად პოლიციამ ცრემლსადენი გაზი და ხელკეტები გამოიყენა. ტელეკომპანია „ევრონიუსის" ინფორმაციით, შეტაკებების შედეგად, სულ მცირე, 1 ადამიანი დაიღუპა და 20-ზე მეტი დაშავდა.

## ბორის აკუნინმა პუტინის თანდასწრებით ლიტერატორებთან შეხვედრაზე უარი თქვა

მწერალმა ბორის აკუნინმა უარი განაცხადა, მონაწილეობა მიეღო რუსულ ლიტერატურულ შეკრებაში, რადგან მასზე ვლადიმერ პუტინი აპირებს დასწრებას.

როგორც აკუნინმა თავისი პოზიცია ახსნა, „ავტორიტარული მმართველის ირგვლივ კორდებალეტის გამოსახვით მწერალი ან ნებისმიერი საზოგადო მოღვაწე ეთანხმება მისი მმართველობის მეთოდებს".

„სანამ ქვეყანაში პოლიტპატიმრები არიან, მმართველთან ახლოს ყოფნა, თუნდაც ერთ შენობაში, არ შემიძლია. ეს ნიშნავს, რომ მე შესაძლებლად მიმაჩნია, მოვისმინო საუბარი მშვენიერებაზე იმ ადამიანისგან, რომელსაც ციხეში ჰყავს ადამიანები თავისი პოლიტიკური შეხედულებების გამო... სიამოვნებით გავესაუბრები პუტინს ლიტერატურულ თემებზე მას შემდეგ, რაც ყველა „პოლიტიკურს" გაუშვებს", – აღნიშნავს აკუნინი.

ბორის აკუნინი (ნამდვილი სახელი და გვარი გრიგოლ შალვას ძე ჩხარტიშვილი) მწერალი, იაპონისტი და მთარგმნელია. მხატვრულ ნაწარმოებს აქვეყნებს ბორის აკუნინის ფსევდონიმით. დაიბადა 1956 წლის 20 მაისს ზესტაფონში, ოფიცერ-არტილერისტ შალვა ჩხარტიშვილისა და რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის, ბერტა ისააკის ასულ ბრაზინსკის ოჯახში. 1958 წელს ჩხარტიშვილების ოჯახი საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა. 1973 წელს მოსკოვის 36-ე ინგლისური სკოლა დაამთავრა. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის, აზია-აფრიკის ქვეყნების ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. აქვს ისტორიკოს-იაპონიისმცოდნის დიპლომი. თარგმნის მხატვრულ ლიტერატურას ინგლისური და იაპონური ენებიდან რუსულზე. ჩხარტიშვილის თარგმანით გამოცემულია შემდგომი ავტორების ნაწარმოებები: იუკიო მისიმა, კენძი მარუიამა, მასაჰიკო სიმადა, კობო აბე, ცინიიტი ჰოსი, ტაკეში კაიკო. მუშაობდა ჟურნალ „ინოსტრანნაია ლიტერატურას" მთავარი რედაქტორის მოადგილედ (1999-2000). მისი მთავარი რედაქტორობით გამოიცა 20-ტომეული „იაპონური ლიტერატურის ანთოლოგია". 1998 წლიდან გრიგოლ ჩხარტიშვილი ლიტერატურულ შემოქმედებას ეწევა ფსევდონიმით ბორის აკუნინი. იაპონურ სიტყვა „აკუნინს" ქართულში ზუსტი შესატყვისი არ მოეძებნება. დაახლოებით ითარგმნება, როგორც „ავკაცი", „ბოროტი ადამიანი", „ადამიანი, რომელიც კანონს არ იცავს". კრიტიკულ და დოკუმენტურ შრომებს ნამდვილი სახელითა და გვარით აქვეყნებს.

2009 წლის 29 აპრილს ბორის აკუნინი ამომავალი მზის მეოთხე ხარისხის ორდენის კავალერი გახდა. 2009 წლის 10 აგვისტოს რუსეთსა და იაპონიის კულტურულ ურთიერთობებში შეტანილი წვლილისთვის იაპონიის მთავრობამ სახელმწიფო პრემია მიანიჭა.

## საჰარაში ნაპოვნ უძველეს მეტეორიტ „შავ ლამაზმანს" ასაკი გამოუთვალეს




2011 წელს საჰარის უდაბნოში ნაპოვნი მეტეორიტი მარსიდან დედამიწაზე დაცემული უძველესი ციური სხეულია, მაგრამ მეცნიერებმა მას ასაკი კიდევ მოუმატეს. მკვლევრების აზრით, ქვა 4,4 მილიარდი წლისაა – იტყობინება „ბი-ბი-სი". ადრე მიიჩნევდნენ, რომ მეტეორიტის ასაკი დაახლოებით 2,1 მილიარდი წელია. აღსანიშნავია, რომ წითელი პლანეტის ასეთი უძველესი ნიმუში მეცნიერებს ადრე არასოდეს მიუღიათ. „შავი ლამაზმანის" სახელით ცნობილი მეტეორიტი მარსის სამხრეთი ზედაპირის ფრაგმენტს წარმოადგენს, სადაც ახლა ჩამქრალი ვულკანების მრავალრიცხოვანი კრატერებია. „როგორც იქნა, ჩვენ მივიღეთ ადრეული მარსის ნიმუშები, რათა მისი საიდუმლოებები ამოვხსნათ", – ამბობს ფლორიდის უნივერსიტეტის თანამშრომელი მუნირ ჰამაუნი. მისი თქმით, აღმოჩენილმა მეტეორიტმა მარსის ზედაპირი მაშინ დატოვა, როდესაც პლანეტა ჯერ კიდევ ბავშვურ ასაკში იმყოფებოდა, დაახლოებით 200 მილიონ წელს ითვლიდა.

„ანალიზები პასუხს მოგვცემს კითხვაზე, როგორი იყო საწყის პერიოდში ატმოსფერო წითელ პლანეტაზე. ამ მომენტში მარსი მომატებული სეისმური აქტივობით გამოირჩეოდა", – ხაზს უსვამს მეცნიერი. ჯერჯერობით დადგენილი არ არის, როდის დაეცა მეტეორიტი დედამიწაზე. ზოგიერთი მონაცემით, ეს დაახლოებით 600 მილიონი წლის წინ მოხდა. მეტეორიტი ამერიკელმა მეცნიერმა მაროკოში შეიძინა მოვაჭრეებისგან, რომლებიც საჰარის უდაბნოში ნაპოვნ უჩვეულო ქვებს ყიდიან.

**მოამზადა გვრა მამულაშვილმა**

## სამგლოვიარო განცხადებები



შვილები ნანი, ირა, რძალი თამარ ბალავაძეები, და მაყვალა, ძმა მურმან მელქაძეები, სიძეები თამაზ თითილოკაშვილი, ოთარ თუშიშვილი, შვილიშვილები რამაზ, იკა თითილოკაშვილები, მაია, ია თუშიშვილები, ალეკო, გიორგი, მარიამ ბალავაძეები და უახლოესი ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ციალა გიორგის ასული მელქაძე-ბალავაძე**

პანაშვიდი: 22 ნოემბერს, 17 საათზე.
დაკრძალვა: 23 ნოემბერს, 14 საათზე.
მისამართი: ქ.თბილისი, რატევანის ქუჩა №16.

---

„ახალი თაობა" სამძიმარს უცხადებს მაია თუშიშვილს, რამაზ და იკა თითილოკაშვილებს ბებიის

**ციალა მელქაძე-ბალავაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ვუსამძიმრებთ შვილებს – მამუკა, ჯემალ, გოგი ჯღარკავებს, რძალს დალი კვარაცხელიას, შვილიშვილებს კახას, დათოს, თამუნას, მარიამსა და გიორგის დიდებული ქალბატონის

**დუშა ანტონის ასულ სანაია-ჯღარკავას**

გარდაცვალების გამო.
დაკრძალვა: კვირას, 24 ნოემბერს.
მისამართი: მარტვილის რაიონი, სოფელი ნაგვაზავო.

*მიქაიების ოჯახი*

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

## TV პროგრამა

**პარასკევი 22 ნოემბერი**

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00** "ნოსტალგია" – მხ/ფ "**ბორსალინო და კომპანია**" (ა.დელონი) **17.00** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **19.05** "შეხვედრები მცხეთაში" **20.50** პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) **22.30** სპორტული თოქ-შოუ: "არენა" (პ/ე) **23.30** "ახალი ქართული კინო" – მხ/ფ "**გასეირნება ყარაბაღში**" **01.20** მხ/ფ "**ცხოვრება" როგორც სახლი**" (კ.კლაინი)

**08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **10.30** "არგუმენტების დრო" (ხუთშ. გ/ჩვ) **14.00, 16.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო" (პ/ე)

**06.45** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.00** ქრონიკა **10.05** სერ. "**ცივი გული**" **11.20, 12.05** სერ. "**სიყვარულის საფრთხე**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** კულინარიული დუელი (გ/ჩ) **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **21.50** თოქ შოუ – ღია ეთერი (პ/ე) **00.00** ქ/სერ. "**ჩვენი ამბავი**" **01.00** მხ/ფ "**უცნაური პერსონა**" (დ.ჰოფმანი)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ."**ბრაზილიის გამზირი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" **17.00** კომედი შოუ. **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** პოზიცია **23.00** ვანოს შოუ **00.30** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად. **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**06.10** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.35** მხ/ფ "**ნისლების სანაპირო**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** მთავარანგელოზობა **10.45** მოკ/ფ "**შნო**" **11.00** "ზღვარზე" გად. V **11.25** ისტორიის გაკვეთილი **12.10** მხ/ფ "**დაგვიანებული სასიძო**" **13.15** ქართული მულტფილმი **13.35** ქართული კინოს ოსტატები - გიორგი შავგულიძე **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **15.55** კონცერტი - "თბილისური ავტოგრაფი" **17.05** კვირიაკე **18.10** აქტუალური თემა **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ჩარირამა**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ცეკვის არისტოკრატი" **00.25** ისტორიის დღიური **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე**"

მაესტრო **7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00** **სერიალი "დაკარგული დრო"** **12.40** თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.) **14.30** გადაცემა "პულსი" (გამ.) **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00** **სერიალი "ასი".** **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე".** **23.00, 3.15** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ.)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


22 ნოემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6751 |
| ევრო | 2,2657 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,7055 |
| 100 რუსული რუბლი | 5,1161 |

## ამინდის პროგნოზი 22 ნოემბრისთვის




## ფაჩულიასა და შენგელიას გუნდები ცხრილის ფსკერზე არიან

ზაზა ფაჩულიას გუნდმა წაგებებს უხშირა. „მილუოკი ბაქსმა“ მორიგი შეხვედრა შინ, „პორტლენდ ბლეიზერსთან“ 82:91 წააგო. „ირმები“ ბოლო მეოთხედამდე არ ნებდებოდნენ, თუმცა გაცილებით უკეთესი შედეგების მქონე პორტლენდელებმა თამაში ლოგიკურ შედეგამდე მიიყვანეს და მორიგი გამარჯვება მოიპოვეს.



ქართველი ცენტრი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 28 წუთი გაატარა. აღსანიშნავია, რომ მილუოკელთა შემადგენლობაში 29 წუთზე მეტი არავის უთამაშია. ფაჩულიამ 10 ორქულიანიდან 4, ხოლო 4 საჯარიმოდან 3 ჩააგდო, 11 ქულა მოაგროვა და ორმაგ მოხსნამდე 2 მოხსნა დააკლდა. ზაზამ თამაში 11 ქულით, 8 მოხსნით, 1 ჩაჭრითა და 1 დაფარებით დაასრულა.

2 მოგებითა და 8 მარცხით ფაჩულიას გუნდი აღმოსავლეთ კონფერენციაში ბოლო, მე-15 ადგილზეა.

წააგო თორნიკე შენგელიას „ბრუკლინ ნეთსმაც“, რომელიც სტუმრად „შარლოტ ბობკეტსთან“ 91:95 დამარცხდა. თორნიკე შენგელია განაცხადში კი იმყოფებოდა, მაგრამ მოედანზე გასვლის შანსი არ მისცემია.

ბრუკლინელებს 3 მოგების წილ 8 წაგება მოუგროვდათ, რის შედეგად აღმოსავლეთ კონფერენციაში მხოლოდ ფაჩულიას „მილუოკის“ უსწრებენ.

მ. ჟ.

## რუსთაველის თეატრი მოლდოვეთში მიდის

ეკა ირემაშვილი

24 ნოემბერს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი გასტროლით მოლდოვეთში მიდის. თეატრი მოლდოვეთში კიშინიოვის მეხუთე საერთაშორისო ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას.

— რუსთაველის თეატრი, ფესტივალში რეჟისორ რობერტ სტურუას სპექტაკლს „მარია კალასი“ ითამაშებს. სპექტაკლში მსახიობები ლელა ალიბეგაშვილი, დათო დარჩია, დავით უფლისაშვილი, ქეთი სანიკიძე, ლელა ახალაია და მოწვეული ახალგაზრდა ტენორი აჩიკო გოგიტიძე მონაწილეობენ, — ამბობენ რუსთაველის თეატრში.

„მარია კალასი გაკვეთილი“ რუსთაველის თეატრისა და „თეატრი—ფაბრიკას“ ერთობლივი ნამუშევარია. ის რობერტ სტურუამ ტერენს მაკნელის პიესის მიხედვით დადგა. თარგმანი მანანა ანთაძეს ეკუთვნის, სცენური ვერსია რობერტ სტურუას და ნინო კანტიძეს. სპექტაკლში გამოყენებულია ვერდის, ბელინის, პუჩინის, ბეთჰოვენისა და გია ყანჩელის მუსიკა. მოქმედი პირნი და შემსრულებელნი: მარია კალასი — ლელა ალიბეგაშვილი, აკომპანიატორი — დავით დარჩია, პირველი სოპრანო — ლელა ახალაია, ტენორი — არჩილ გოგიტიძე, მეორე სოპრანო — ქეთი სვანიძე, სცენის მუშა — დავით უფლისაშვილი.

უდიდესი მომღერალი ქალი გაკვეთილს ატარებს კონსერვატორიის სტუდენტებთან. ახალი „თეატრი-ფაბრიკა“ ტერენს მაკნელის პიესის საკუთარ ტრაგიკომიკურ სცენურ ვერსიას წარმოგიდგენთ და ლეგენდარული მარია კალასის რთული ცხოვრების ისტორიას გიამბობთ.



საერთაშორისო ფესტივალი კიშინიოვში 22-29 ნოემბრის ჩათვლით იმართება. რუსთაველის დასი თბილისში 28 ნოემბერს დაბრუნდება.

## საქართველოში, შესაძლოა, 6319 ძეგლს სტატუსი მოეხსნას

ეკა ირემაშვილი

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონში“ ცვლილებების ამოქმედებით, შესაძლოა, საქართველოში 6319 ძეგლს სტატუსი მოეხსნას. ამის შესახებ საგენგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე „იკომოს საქართველოს“ გენერალურმა მდივანმა ნატო ცინცაბაძემ განაცხადა:



— სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებულია 6.803 ძეგლი, აქედან ეროვნული მნიშვნელობისაა 484, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის — 6319. თუ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონში ცვლილებები ძალაში შევა, საქართველოში კანონით დაცული და უზრუნველყოფილი მხოლოდ 484 ძეგლი იქნება. დანარჩენ 6.319 ძეგლს კი, შესაძლებელია, გამარტივებული წესით სტატუსი მოეხსნას. ძეგლის სტატუსის გამარტივებული წესით მოხსნა ემუქრება ბორჯომის პარკს, ურაველის მონასტერს, რომანოვების სასახლეს აბასთუმანში, ბებრის ციხეს მცხეთაში, ასევე, თბილისში ადგილობრივი მნიშვნელობის ძეგლებს, მათ შორის ეროვნულ ბიბლიოთეკას, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტს, ოპერას, რუსთაველის თეატრს, ნარიყალას, მარჯანიშვილის თეატრს, თბილისის ობსერვატორიას, თბილისის აბანოებს, ქაშუეთის ეკლესიას, სიონს, მთაწმინდის პანთეონს და სხვა ნაგებობებს.

როგორც ნატო ცინცაბაძემ განაცხადა, საკანონმდებლო ცვლილებები, არსებული ინფორმაციით, წმინდა მიხეილის საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიას უკავშირდება:

— არსებობს ინვესტორი, რომელიც საავადმყოფოს სიახლოვეს მდგარი ნაგებობებისთვის ძეგლის სტატუსის მოხსნას ითხოვს, რათა ისინი დაანგრიოს. აღნიშნული მოთხოვნა კი უკანონოა. ეკონომიკის სამინისტრომ კულტურის სამინისტროს ნაგებობისთვის სტატუსის მოხსნა მოსთხოვა. პროფესიულმა ორგანიზაციამ კი დადო დასკვნა, რომ ამ ძეგლისთვის სტატუსის მოხსნის საფუძველი არ არსებობს. შესაბამისად, კულტურის სამინისტროზე განხორციელდა ზეწოლა და სამინისტრომ იპოვა გამოსავალი და ეკონომიკის სამინისტროს კანონის შეცვლა შესთავაზა. მთავრობას შეუძლია მოუხსნას ძეგლის სტატუსი კულტურის სამინისტროს თანხმობით. მაინტერესებს, იმ შემთხვევაში, თუ კულტურის სამინისტრო არ დათანხმდა ძეგლის სტატუსის მოხსნას, რა ხდება? პრემიერ-მინისტრს ხსნიან, თუ ის თავად უნდა გადადგეს? ეს არის კანონში ზეწოლის ჩადება კულტურის სამინისტროზე. ეს არის სურვილი, შექმნა ფორმალური კულტურის სამინისტრო შენს ქვეყანაში. არსებობს კიდევ ერთი ვარაუდი, რომ აღნიშნული კანონის ინიცირება ქიაჩელის ქუჩაზე ახალი რეზიდენციის მიმდებარე ტერიტორიაზე მდგარ ნაგებობებსაც უკავშირდება. ახალი საპრეზიდენტო რეზიდენციის უკან გზის გაყვანაა დაგეგმილი, სადაც ძეგლის სტატუსის მქონე არაერთი სახლია, რომელსაც მარტივად ვერ დაანგრევენ, რადგან მათი დანგრევა დაუშვებელია, — განმარტა ნატო ცინცაბაძემ.

ეკონომიკის სამინისტროს ინიცირებით, პარლამენტში „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონში ცვლილებათა პროექტი შევიდა, კერძოდ, იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ ძეგლის სტატუსის მოხსნა განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა გამარტივდეს.

იკომოს საქართველოს ეროვნული კომიტეტის მიმართულებების სექციებია ხალხური არქიტექტურა; ისტორიული ქალაქები და სოფლები; კულტურული ტურიზმი; კედლის მხატვრობა; კვლევა და მეთოდოლოგია;

„იკომოს საქართველოს“ ეროვნული კომიტეტი დაფუძნდა საქართველოში 1993 წელს, როგორც ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს იკომოს ეროვნული კომიტეტი. იგი დამტკიცებული და მიღებული იქნა იკომოსის X გენერალურ ასამბლეაზე შრილანკაში და რეგისტრირებულია პარიზში გენერალურ სამდივნოში.

საქართველოში რეგისტრირებულია,

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## რიყის პარკში წვიმის მუსიკოსები იმღერებენ

ეკა ირემაშვილი

23 ნოემბერს გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულზე რიყის პარკში წვიმის მუსიკოსები იმღერებენ. კონცერტი „ვარდების რევოლუციის“ ათი წლისთავს მიეძღვნება.

კონცერტი ორგანიზატორი წვიმის მუსიკოსებთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილია. კონცერტის პარალელურად, დაგეგმილია ფოტოების, ნახატების და ფლორისტების გამოფენების მოწყობაც.

როგორც ცნობილი გახდა, ამ კონცერტში მონაწილეობის სურვილი ბევრმა მუსიკოსმა გამოთქვა, თუმცა მათ ვინაობას ორგანიზატორები კონცერტამდე არ ახმაურებენ. არც ის არის ცნობილი ვინ იზრუნებს ღია ცის ქვეშ გამართული კონცერტის ტექნიკურად უზრუნველყოფაზე, სავარაუდოდ თბილისის მერია. რაც შეეხებათ კონცერტში მონაწილეებს, ისინი მზად არიან ამ კონცერტში მონაწილეობა სრულიად უსასყიდლოდ მიიღონ. ღონისძიების ორგანიზატორები არასამთავრობო ორგანიზაციები „პროპატრია“, „ახალგაზრდები ევროპული მომავლისთვის“ და „პროფესიონალთა კლუბი“ არიან.

საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლის მალხაზ ფიროსმანიშვილის თქმით:



— ვთვლით, რომ „ვარდების რევოლუცია“, როგორც ისტორიული მოვლენა, იმსახურებს, რომ ეს თარიღი ყოველთვის აღინიშნებოდეს, რადგან ეს არის საერთო სახალხო მოვლენა. ის არ არის არცერთი პოლიტიკური პარტიის კუთვნილება, ის ხალხს ეკუთვნის. ჩვენ მივმართეთ იმ მუსიკოსებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ 2003 წელს „ვარდების რევოლუციის“ მომზადებასა და განვითარებაში. ის მუსიკოსები, ვინც თვლიან, რომ ამ ღონისძიებაში მონაწილეობა საჭიროა და აუცილებელი, როგორც სამოქალაქო პოზიციის გამოხატვა, კონცერტს გამართავენ.

მუსიკოსის ვახო ბაბუნაშვილის განცხადებით:

— ჯერ არ არის ცნობილი, ვინ მიიღებს მონაწილეობას ღონისძიებაში. სია ჯერ არ არის ცნობილი. მათ, ვინც თვლის, რომ ეს მართლა დადებითი მოვლენა იყო უახლოეს ისტორიაში, სიამოვნებით მივიღებთ, სცენაზე ვეპატიჟებით. ყველას, რა თქმა უნდა, არა. ეს არ იქნება დიდი და გრანდიოზული კონცერტი, ეს იქნება ჩვენი გამოხატულება ამ თარიღისადმი.

ღონისძიების ფინანსურ უზრუნველყოფას საინიციატივო ჯგუფის წევრები პირადი სახსრებით გეგმავენ. ასევე აპირებენ ბანკში ანგარიშის გახსნას, სადაც ღონისძიებისთვის შემოწირულობების მიღება შეეძლებათ.

ღონისძიებაში აქტიურად ჩართვის სურვილი გამოთქვა კოალიციამ „ევროპული საქართველოსთვის“. ორგანიზაციის ლიდერის ქეთა გაბიანის განცხადებით:

—ქვეყნის ისტორიაში იმ დროს მოხდა ყველაზე კარგი რამ, რაც უნდა მომხდარიყო. ამიტომ ამ დღის აღნიშვნას აუცილებლად მიმაჩნია. „ვარდების რევოლუციის“ 10 წლისთავს, ცხადია, აღვნიშნავთ. ამ საღამოს ორგანიზატორობას არასამთავრობო ორგანიზაციები გეგმავენ. ახლა იმაზე ვფიქრობთ, რა აჯობებს და როგორ აჯობებს. უბრალოდ ეს ყველაფერი თანხებთან არის დაკავშირებული და ახლა ამ თანხების მოძიებაზე ვფიქრობთ. თბილისის მერია ვერაფერში დაგვეხმარება, ჩვენ ყველაფერს დამოუკიდებლად გავაკეთებთ.

## ყველამ გაითვალისწინეთ!

### ასტროპროგნოზი 22 ნოემბრისთვის

ეს დღე მშვიდად გაატარეთ

**ვერძი** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **კირჩხიბი** — გადაიხალისეთ გარდერობი, შეხვედრაზე მიდიხართ. **ლომი** — ბრწყინვალე ფორმაში ხართ, ასე განაგრძეთ. **ქალწული** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** — კითხვის ნიშანი გაწუხებთ, პასუხი თქვენით უნდა იპოვოთ. **მორიელი** — ახალი შემოთავაზება ნამდვილად მოსაწონია. **მშვილდოსანი** — იმიჯი შეიცვალეთ, წარმატება არ აგცდებათ. **თხის რქა** — ფული გაქვთ, მაგრამ კიდევ იშოვით. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, საქმეს აწესრიგებთ. **თევზები** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ჰავაის კუნძულების ადმინისტრაციული ცენტრი; 2. ბუღალტერიაში სხვაობა შემოსავლისა და გასავლის ჯამებს შორის; 3. ევერესტის დამლაშქრავი ქართველი ალპინისტი; 4. ირლანდიური ლუდის მწარმოებელი ფირმა; 7. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 9. მოძღვრება ზნეობისა და მორალის შესახებ; 12. ნივთიერება, რომელსაც გამოიმუშავებს თირკმლის ზედა ჯირკვალი; 14. მასწავლებელი, დამრიგებელი იაპონიაში; 15. ფანტასტიკური ჟანრის ამერიკელი მწერალი; 17. დედამიწის ჩრდილო პოლარული ზონა; 20. ავადმყოფური გამონაზარდი ხეზე, კორძი.

**თარაზულად:** 5. უმაღლესი მწვერვალი ალპებში; 6. ცეცხლსასროლი იარაღის კონსტრუქტორი გერმანელი ძმების გვარი; 8. ეგეოსის ზღვისპირა კურორტი თურქეთში; 10. სტაფილოს ნაყოფში არსებული მოყვითალო ფერის პიგმენტი; 11. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 13. ფართო, ხეივნიანი ქუჩის, პროსპექტის სახელწოდება ლათინურ ამერიკაში; 16. სახელმწიფო შუა-აზიაში; 18. წვრილი ხმა მრავალხმიან სიმღერაში; 19. ნაქსოვი ფეხსამოსი; 21. ხევისბერი ფშავ-ხევსურეთში; 22. უბანი თბილისში; 23. ქალთა ჯგუფური ცეკვა კაბარეში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



ლურჯი ნითელი ყვითელი შავი